ივლისი 3 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 114-115 (408-409) ფასი 40 თეთრი

## ივნისის თვის პარამეტრები

**თვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა:**

კისლოვოდსკის შეხვედრაზე საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია „კავკასიაში ეროვნებათშორის თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ“.

**თვის ყველაზე საპატიო სტუმარი:**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი.

**თვის სენსაცია:**

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე რუსეთის გარკვეულმა პოლიტიკურმა წრეებმა ამ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მონაწილეთა შორის დაასახელეს.

**თვის ყველაზე სასიამოვნო მოვლენა:**

ფუნქციონირება დაიწყო დედაქალაქის განახლებულმა აეროპორტმა.

**თვის ყველაზე უსიამოვნო მოვლენა:**

გაძვირდა პურპროდუქტები.

**თვის ტენდენცია:**

ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა, მყარია ეროვნული ვალუტის კურსი, თუმცა რაიმე სერიოზული ძვრები, მოსახლეობის დაუცველი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არ დაფიქსირებულა.

ივნისის თვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი კალენდარი და მიმოხილვა იხილეთ მე-16 გვერდზე.

მასმედია

## სიტყვის ფასი

დამოუკიდებლობის წლებში თუკი შესაძლებელია, ვისაუბროთ რომელიმე სფეროს სწრაფ პროგრესზე, ეს, უპირველეს ყოვლისა, პრესაა. ჩვენში, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის ბოლო წლებში გამოჩნდნენ თავისუფალი გაზეთები და იმთავითვე, შესაძლოა, შედარებით მოკრძალებული დონით, მაგრამ მაინც იკისრეს ის საზოგადოებრივი მისია, რაც ზოგადად აკისრია პრესას.

დღეს საქართველოში რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანო არსებობს და მეტ-ნაკლები რეგულარობით გამოდის. რედაქციებში კარგა ხანია გაქრა ცენზურის მონსტრის აჩრდილი და პრესაში გამოქვეყნებულ მასალათა პათოსის ერთადერთი განმსაზღვრელია ჟურნალისტების, რეპორტიორების, ექსპერტების თუ რედაქტორ-გამომცემლების მოქალაქეობრივი მრწამსი და პოლიტიკური ორიენტაცია.



სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც, პრაქტიკულად, თავიდან ყალიბდება ქვეყნის საკანონმდებლო სისტემა და საფუძველი ეყრება სრულიად ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, პრესის როლზე საუბარი, ვფიქრობთ, ზედმეტია. თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პრესის მუშაკთა მხრიდან, ეს როლი ზოგჯერ ხაზგასმულად ნეგატიურის წარმოჩენით ან საპირისპირო ტენდენციით ვლინდება და ამგვარი უკიდურესობანი უდავოდ დაბლა სწევს მასმედიისადმი საზოგადოების ნდობის დონეს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ჟურნალისტი აჭარბებს თავის კომპეტენციას და თავისი ტენდენციურობით ან არაკეთილსინდისიერებით აშკარად არღვევს კანონს, მაგრამ, სავალალო ისაა, რომ ამგვარი ვითარებით კარგად სარგებლობენ პრესის დისკრედიტაციის მოსურნე ძალები და ცალკეული შემთხვევისთვის მთელ პრესას ადანაშაულებენ. რატომღაც, ახლა დროს, საზოგადოებაც ადვილად ივიწყებს, რომ თითქმის ყველა დანაშაულებრივ ფაქტზე, რომელიც შემდგომ გახმაურდა, პირველად სწორედ გაზეთებმა ამოიღეს ხმა. არავინ ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო პირისთვის პრესის მიერ რაიმე ბრალდების წაყენებისთანავე უნდა გაჩნდეს სიმართლის კანონიერად გარკვევის აუცილებლობა, ჩვენთან კი ან ვითომც არაფერი მომხდარა, ან მაგანნი კანონით დაემუქრებიან პრესას და ამით ცდილობენ თავისი უბრალოების საჯაროდ დამტკიცებას.

კანონით პრესაზე ზემოქმედება დღეს უნიადაგო მცდელობაა, რადგან სწორედ უკანონობის გამოა, რომ გაზეთების მუშაობას, ჯერჯერობით, სათანადო ეფექტი არა აქვს და საზოგადოება სრულფასოვნად ვერ იყენებს პრესას.

ჩვენში გავრცელებული თვალსაზრისით, დემოკრატიულ ქვეყნებში კანონები მოქმედებენ იმიტომ, რომ ეს ქვეყნები ცივილიზებულნი არიან. არადა, ეს სახელმწიფოები ცივილიზებულნი არიან სწორედ იმიტომ, რომ იქ კანონები მოქმედებენ.

ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება იმ ქვეყნის პრესის კანონის გაცნობა, რომელიც უაღრესად კანონმორჩილი საზოგადოებრივი წყობით გამოირჩევა. მხედველობაში გვყავს ფედერაციული რესპუბლიკა გერმანია.

გერმანიაში თითოეულ ფედერალურ მიწას საკუთარი პრესის კანონი აქვს. ეს კანონები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. დღეს მკითხველს ვთავაზობთ ჰამბურგის პრესის კანონს, როგორც გერმანიისთვის ყველაზე ტიპიურს.

იხილეთ მე—11 გვ.

მედიცინა

## ტუბერკულოზი მძვინვარებს — ჩვენ მშვიდად ვართ!

სხვა უამრავ პრობლემას შორის, დღეს უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ინფექციური დაავადებების გავრცელება და ავადმყოფთა რიცხვის სტიქიური ზრდა. საგანგაშოა, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველოში ინფექციურ დაავადებათა კატასტროფული რაოდენობა აღინიშნება. ეს გამოწვეულია ჩვენი ყოველდღიურობით, ცხოვრების არამართებული წესით, სამკურნალოების დაბალი სამედიცინო კულტურით, განუკითხავი ვითარებით, მოსახლეობის უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვებით და სხვა უამრავი მიზეზით.

ტუბერკულოზი სწორედ რომ სოციალური დაავადებაა. მის გამომწვევად ტუბერკულოზის მიკრობაქტერიები მიიჩნევა და ის ჰაერწვეთოვანი, კონტაქტური გზით ვრცელდება. ადამიანის ინფიცირების წყარო შეიძლება გახდეს ბაქტერიებით დაბინძურებული საკვები (რაც ასე ხშირია ჩვენს ყოფაში) და გაცილებით იშვიათად — ცხოველი (რომელიც რძით გადასცემს ინფექციას ჯანმრთელ ორგანიზმს). ხშირია ოჯახური კერების წარმოშობის საშიშროება. უმეტესად, ტუბერკულოზით მოზრდილები ავადდებიან, რაც შემდგომ, მათთან კონტაქტში მყოფ ბავშვებს დაავადების დიდ საფრთხეს უქმნის. დაავადების ორი პერიოდი გამოიყოფა: პირველადი და მეორადი. ტუბერკულოზი მკურნალობას ემორჩილება და ადრეულ ფორმებში გამოვლინების შემთხვევაში შესაძლებელია დაავადებისგან სრული განკურნება.

ამ საკითხებთან დაკავშირებით განმარტება ვთხოვეთ თბილისის მთავარ ფთიზიატრს, მეოთხე ტუბდისპანსერის მთავარ ექიმს, ქალბატონ მერი ახალაძეს:

იხილეთ მე—14 გვ.




სენი

## საქართველო — ნარკომანიის კლასიკური ქვეყანა

„საქართველო ნარკომანიის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა, ამას უკვე საერთაშორისო ექსპერტებიც აღნიშნავენ“, — განაცხადა გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ კონფერენციაზე შს სამინისტროს ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა ჯემალ ჯანაშიამ. ნარკომანიას და მასთან ბრძოლის გზებს მიეძღვნა სასახლეში გამართული კონფერენცია, რომელსაც ექიმი-სპეციალისტები, პოლიციის, ქალაქის მერიის და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იხილეთ მე—3 გვ.

## ევროპის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები („კავკასიონის“ ვერსია)




რუსეთი

## დღეს გადაწყდება, შეელევა თუ არა რუსეთი ნამგალსა და უროს



დღეს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე, გადამწყვეტი ტურია. პირველმა ეტაპმა ვერ შეძლო გამარჯვებულის დასახელება, გამოვლინდა მხოლოდ ორი ლიდერი — ამჟამინდელი პრეზიდენტი ბორის ელცინი და რუსეთის პირველი კომუნისტი — გენადი ზიუგანოვი. სწორედ დღევანდელი არჩევნები გადაწყვეტს, ვინ ჩაიბარებს კრემლის გასაღებს; რა გზას აირჩევს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რას მიანიჭებს იგი უპირატესობას — მოდიფიცირებულ სოციალიზმს, ზიუგანოვის სახით, თუ, ჯერ კიდევ ბუნდოვანი პერსპექტივის მქონე კაპიტალიზმს, რომელსაც ბორის ელცინი განასახიერებს.

იხილეთ მე—10 გვ.



პირველი ტურის შემდეგ, პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო აგიტაციის ტაქტიკა, ძირითადად, ალბათ, მაინც, ცაიტნოტის გამო, რადიკალურად შეიცვალა და კულუარებში გადაინაცვლა. თუმცა,სიმძაფრე და სიმწვავე გაცილებით მეტი შეიძინა და ამიტომ დაძაბულობამ კულისებს მიღმაც „გაჟონა“. მანიპულირების ამპლიტუდა და ტაქტიკურად გათვლილი ნაბიჯების გადადგმის საშუალება, ბუნებრივია, ბორის ელცინს მეტი ჰქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რეალური ხელისუფლება, ჯერჯერობით კვლავ მის ხელშია. მან ისარგებლა კიდეც ამ უპირატესობით, რასაც ქვეყნის მთავრობაში რამდენიმე საკადრო გადაადგილება

## ჟინვალის წყალსაცავი საფრთხეში იქცა

მეცნიერებათა აკადემიის თიანეთის პრობლემათა კომპლექსური კვლევის კომისიის თავმჯდომარემ კობა არაბულმა განაცხადა, რომ წყალსაცავში წყლის დონემ 810 ნიშნულს მიაღწია (ნორმაა 800 ნიშნული), რის შედეგადაც დაიტბორა სოფლების — ანანურისა და თვალავის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და კარ-მიდამო, ანანურის ტაძარი კი წყლის ზედაპირზე აღმოჩნდა.

იფრინდა

## შემთხვევითობა თუ დივერსია?

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთმა მაღალი ჩინის ოფიცერმა ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის მახლობლად საბრძოლო მასალების აფეთქებას და სამხედრო საწყობში გაჩენილ ხანძარს დივერსია უწოდა. მათი თქმით, აქ ინახებოდა საქართველოს კუთვნილი საბრძოლო მასალების რეზერვის უდიდესი ნაწილი. ბოლო თვეში აქ შემოიტანეს შეიარაღება სამხრეთ საქართველოს რაიონებიდან. ოფიცრები მიიჩნევენ, რომ დივერსიის მიზანია საქართველოს სამხედრო პოტენციალის შემცირება.

BGI

## სამხრეთ ოსეთის კულტურული ცხოვრების სიახლენი

სამხრეთ ოსეთში მშვიდობიანი მოწესრიგების პირველ ნიშნად კულტურული ცხოვრების აღორძინება იქცა. ცხინვალსა და სოფელ ხეთაგუროვში მუშაობა დაიწყო ორმა თეატრალურმა კოლექტივმა, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ამონდთან“ კი შემოქმედებითი სტუდია შეიქმნა. მიმდინარეობს მზადება სახალხო დღესასწაულ „კოსტას დღეებისთვის“, რომელიც ყოველწლიურად ოქტომბერში იმართება. გარდა ამისა, ცხინვალის მხატვრული სასწავლებლისთვის ბიუჯეტიდან 10 მილიონი რუბლია გამოყოფილი.

BGI

## საქართველოს გაწევრიანება მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ჩატარებული პრესკონფერენცია მიეძღვნა 26 ივნისს ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოსთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან მონაწილედ გახდომისთვის. 17 ივლისს მუშა ჯგუფი გაემგზავრება ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრის სტატუსზე სამუშაოდ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველო ჩაერთო მსოფლიო გზების რუკაში. დამტკიცდა მარშრუტებიფოთი-თბილისი-წითელი ხიდი, ლარსი-ყაზბეგი-ვლადიკავკაზი, სამხრეთის დერეფანი სომხეთისა და თურქეთის მიმართულებით.

ზემოთაღნიშნული მარშრუტების მსოფლიო რუკაში ჩართვის გამო, მზადდება საქართველოს პრეზიდენტის პროგრამა ძირითადი საავტომობილო გზების წესრიგში მოსაყვანად, რისთვისაც მსოფლიო ბანკი მხოლოდ გზის საფარის შეკეთებაზე გამოყოფს 5 მილიონ დოლარს. ასევე გამოიყოფა თანხები საგზაო ფონდიდან და რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

## ნავთობის საკითხთან დაკავშირებით

ამერიკული „პაუ ბეკერ დიველოპმენტ კომპანი“ უახლოეს მომავალში საქართველოში შექმნის ერთობლივ საწარმოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცირე სიმძლავრის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისთვის. პროექტის უზრუნველსაყოფად ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელი ბილ უაიტი.

წელიწადში 50 ათასი ტონა სიმძლავრის პირველი მინი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დამონტაჟდება გაჩიანში, სადაც გადამუშავდება რესპუბლიკაში მოპოვებული ნავთობი. მისი პროგნოზული მონაცემები შეფასებულია — 380 მილიონი ტონა ხმელეთზე და დახლოებით 200 მილიონი ტონა — შავი ზღვის შელფზე. გარდა ამისა, ბ.უაიტის ვიზიტის დროს მხარეები განიხილავენ აღნიშნული ფირმის მონაწილეობის საკითხს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაში, რომელზეც საქართველოს ტერიტორაზე გავლით ტრანსპორტირდება „ადრეული“ ნავთობი აზერბაიჯანის საზღვაო საბადოებიდან (აზერი, ჩირაღი და გიუნეშლი).

## რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით

საქართველოში რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთათვის, მათი ოჯახის წევრებისთვის, რუსეთის მოქალაქეებისთვის, აგრეთვე კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთათვის, ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ფოთი, ოჩამჩირე, სოხუმი, გუდაუთა, ცხინვალი, დასახლებებში — ვაზიანი და ახალი ალექსეევკა, სამხედრო ნაწილების კლუბებში შექმნილია საარჩევნო უბნები. ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა სამუშაოები. გახსნილია 20 საარჩევნო უბანი, რომელიც იმუშავებს დილის 8 საათიდან 22 საათამდე.

არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში წესრიგის დაცვის მიზნით, მობილიზებულია პოლიცია.

იფრინდა

## საქართველოს პრეზიდენტ[...] შუამავლობას სთავაზობს[...]

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თვითონ შემო[...] შუამავლობა ჩეჩნეთის პრობლემების მოწესრიგებაში, — განაცხადა საქარ[...] ვიზიტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში დაბრუნებისას, ჩეჩნეთის რესპ[...] საგარეო პოლიტიკური და საგარეო ეკონომიკური კავშირების უწყების ხელმძღ[...] რუსლან მადიევმა. მან აღნიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძემ თავისი წი[...] სახელმწიფო კანცელარიის ხელმძღვანელის პეტრე მამრაძის მეშვეობით გად[...]

ჩეჩენმა მინისტრმა აღნიშნა, რომ ივლისის მეორე ნახევარში შედგება [...] ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი თბილისში, სადაც ხელი მოეწერება დოკუმ[...] პაკეტს, რომელთა პროექტებიც მან საქართველოს ოფიციალურ წრეებს განსახ[...] დაუტოვა.

დოკუმენტთა შორისაა შეთანხმებები სავაჭრო-ეკონომიკური, სატრან[...] კავშირების, ტერორიზმთან ბრძოლის, აგრეთვე, კულტურის სფეროში თანამშრო[...] შესახებ.

რუსლან მადიევმა შენიშნა, რომ მსგავსი შეთანხმებები უკვე მ[...] აზერბაიჯანთან და რუსეთის ფედერაციის ხუთ სუბიექტთან.

Кавказ-[...]

## ფასები შემცირდა

გასული კვირის განმავლობაში სამომხმარებლო ბაზარზე აღინიშნა ფასების მცირეოდენი შემცირება. ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი 28 ივნისისთვის, 21 ივნისთან შედარებით, 0,1 პროცენტით შემცირდა, მათ შორის, სასურსათო საქონელზე ფასებმა დაიკლო 0,1 პროცენტით, მომსახურების ტარიფები შემცირდა ასევე 0,1 პროცენტით, ხოლო ფასები არასასურსათო საქონელზე უცვლელი დარჩა. ცალკეული დასახელების საქონლიდან აღსანიშნავია წინა კვირასთან შედარებით ფასების დაცემა ბენზინზე 45 თეთრიდან 43 თეთრამდე (4,4 პროცენტი).

იფრინდა

## კვლავ სტაგნაცია

მართვის უკიდურესად [...] დონის გამო, ნედლეულის, მა[...] და სხვა რესურსების უკმა[...] შედეგად, საწარმოთა მნიშ[...] ნაწილი ჯერაც ვერ ახერხებ[...] წარმოების პროცესის თუნდა[...] მალურ დონეზე შენარჩუნებ[...] ნულია მათი სიმძლავრეები და [...] ვერ ამოქმედებულან. ასეთი [...] ების რიცხვი, 5 თვის მონა[...] შეადგენდა 665-ს, ანუ საერთო [...] დენობის 37,2 პროცენტს.

იფრ[...]

## ირლანდიელები საიმედო პარტნიორები არიან

ირლანდიური ფირმა „JPM“, რომელიც თბილისის აეროპორტის რეკონს[...] მონაწილეობდა, როგორც ჩანს, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტების [...] რუქციის შეკვეთასაც მიიღებს. უახლოეს დროში ფირმის და საქართველო[...] ტრანსპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლები ეწვევიან კოპიტნარის აერ[...] და განსაზღვრავენ მომავალი სამუშაოს მოცულობას.

„JPM“ — საიმედო და პატიოსანი კომპანიაა, — განაცხადა საჰაერო ტრან[...] დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ჭანკოტაძემ, — ახლა მთავარია, რომ [...] დაფინანსების წყარო“.

## მუდამ «კოკა-კოლა»

**23 ივნისს საქართველოში ოლიმპიური რბენის დღე ჩატარ[...] მთელ მსოფლიოში 10 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობ[...] ღონისძიებაში.**

**როგორც მოგეხსენებათ, „კოკა-კოლა“ ამ ღონისძიების ტრადი[...] ული სპონსორია მთელ მსოფლიოში.**

**საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ამ დღეისთვის სერიო[...] ლი სამუშაოები ჩატარდა. „კოკა-კოლას“ და ოლიმპიური კომიტე[...] ერთობლივი ძალისხმევით თბილისში და საქართველოს რიგ რაიო[...] ბში, კერძოდ კი ბათუმში, ქუთაისში, საგარეჯოში, გორში, რუსთა[...] და ბორჯომში ესტაფეტა მოეწყო. გამოჩნდა უამრავი მსურველი, [...] მლებმაც მონაწილეობა მიიღეს „კოკა-კოლას“ ესტაფეტაში. გამ[...] ვებულნი „კოკა-კოლას“ პრიზებით დასაჩუქრდნენ.**



# საქართველო — ნარკომანიის კლასიკური ქვეყანა

...რველი გვერდიდან

## ...დენი ...კომანია ...ართველოში

...არ გვეცოდინება, რამდენი ...ა საქართველოში, ვერც შე-...ებით ამ სენს. ძველი მთავ-...აც აღრიცხავდა, თუ ვინ რა ...ნახა, რატომ გაძნელდა ასე ...ების აღრიცხვა?“ — **მიმართა ...ნისტროს ნარკომანიისა და ...ნესის წინააღმდეგ ბრძოლის ... ბიუროს უფროსს ჯემალ ... პროფესორმა შოთა გამყ-... ზუსტი რიცხვის დასახელე-... ბატონმა ჯემალ ჯანაშიამ ...** თუმცა, **აღნიშნა, რომ ოფი-... რიცხვი — ხუთი ათასი ... — ოდნავადაც ვერ ასახავს ...** სურათს.

...მანიის **პროფილაქტიკის, ...ნო და სოციალური რეაბი-...ს ხელშემწყობი საქართვე-...ოგადოება „ხსოვნის“ მიერ ...** პროექტში **ნათქვამია, რომ** ...ში სხვადასხვა არაოფი-... მონაცემებით 250-300 ათა-...მანი და ნარკოტიკების მო-..., რაც მოსახლეობის ოთხ-...ტს შეადგენს“. **დაახლო-... რიცხვი დაასახელა ნარ-...ს კვლევითი ინსტიტუტის ...რმა გელა ლეჟავამ.**

...**ვაებული ვარაუდი გამოთ-...აქის ფსიქონევროლოგიური ...რის მთავარმა ექიმმა ზაზა ...ამ.** „ორი წლის განმავლობაში ... ათას ოთხასმა კაცმა ...ნდა ვიფიქროთ, რომ ეს ...ში მყოფი ნარკომანების ... ნახევარი. აქედან გამო-...ლისში — სამი, მაქსიმუმ ... ნარკომანია. მთელ რეს-...კი, შეუძლებელია, რომ ...დათხუთმეტ ათასზე მეტი ... იყოს“, — **თქვა მან.**

## ...კომანი — ...დყოფი თუ ...შავე

...შორისო პრაქტიკისა და ...ნახმად, ნარკომანი ავად-...მცა, იგი ავადმყოფად ... მივიჩნიოთ, როცა საზო-... იზოლირებულია. თუ მას ... საზოგადოებასთან კავში-...ავთ, ნარკომანი ხშირად ...ნ არის დაკავშირებული. ... ოდგომით ხელმძღვანელო-... ლდამცავი ორგანოები“, ... ბატონმა **ჯემალ ჯანაშიამ.** ...მანია არის სოციალური ...ლო ნარკომანი — ავა-..., ...ქელმაც სურვილის მიხე-... იმკურნალოს, როგორც ...დ, ისე ანონიმურად“, — ...ამია „ხსოვნის“ **პროექტში. რო-...ნს. საქართველოში კანონმ-...** ჯერ **კიდევ არ განსაზღვ-...** ზუსტად **ნარკომანის სტატუსს ...ინდივიდუალური შეხედულებები ...** მნიშვნელოვან **როლს ასრუ-...**

## ...გორ ...მკურნალოთ ...კომანებს

...ნალ წლებში... გაუქმდა ... მკურნალობის დაწესებუ-... ქალაქსა და რაიონში ...ლოგიური კაბინეტების ...ბა“, — **ნათქვამია „ხა-...“** პროექტში.

...ში ამჟამად ყველაზე ... მეტადოლით მკურნალო-...ლია, ეს ძალიან ძვირი ჯდება, ... 550 დოლარი, მაგრამ ... უნდა გამონახოს სახს-... საერთაშორისო სტატისტიკით ... ათი-თორმეტი პროცენტი ..., მათ შორის, ინგლისში, ... ორმოცდაათი პროცენ-ტი, შეერთებულ შტატებში კი, თითქმის, ოთხმოცდაათი — ოთხმოცდათორმეტი პროცენტი. საქართველოში სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა, მშვენიური ბაზა გვაქვს, რომელიც უცხოეთისას არ ჩამოუვარდება. ჩვენთან წელიწადში ათი-თხუთმეტი კაცი თუ მოდის სამკურნალოდ, ისიც მაშინ, სისაური ან ჯანაშია თუ შეაშინებს“, — **განაცხადა ბატონმა გელა ლეჟავამ.**

„თუ ნარკომანის მკურნალობა არ დაფინანსდა, რაიმე წინსვლა გამორიცხულია. პარადოქსია, მაგრამ ნარკომანმა ფული უნდა გადაიხადოს, რომ აღრიცხვაზე ჩაეწეროს ან აღრიცხვიდან მოიხსნას,“ — **თქვა ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის კონსულტანტმა აკაკი გამყრელიძემ.**

„მეტადოლით მკურნალობა მსოფლიოში, ძირითადად, ყველგან უარყვეს, — **თქვა ზაზა ასათიანმა.** — ჩვენს ინსტიტუტში ვმკურნალობთ ტრამალით (ტრამადოლი), რომელიც არის ძლიერმოქმედი ანალგეტიკი. ტრამადოლის გარდა ვიყენებთ ოპობრუფენის ჯგუფის წამლებსაც, რომლებიც სახსრების ტკივილს აყუჩებს. გარდა ამისა, გვაქვს ვიტამინები, რომლებსაც უფასოდ ვაძლევთ. მკურნალობის ფასი, მაქსიმუმ, ასოცი დოლარი ჯდება. ტრამალი რომ უფასოდ



გვქონდეს, პაციენტები მხოლოდ ექიმების მომსახურების ღირებულებას გადაიხდიდნენ“.

**როგორც ზაზა ასათიანმა განაცხადა, ორი წლის განმავლობაში, დაახლოებით 1400 პაციენტს უმკურნალეს. მათგან 300-400 კაცი სრულიად განიკურნა, ამდენივე მომაგრებულივით არის ინსტიტუტზე — მოდიან და ტრამალის გარკვეულ დოზას იღებენ. სხვა მხრივ, თავს კარგად გრძნობენ, სამსახურშიც დადიან, მაგრამ ფსიქოლოგიურად ბოლომდე ვერ მოერივნენ საკუთარ თავს. ზოგიერთი მათგანი სამოციანი და სამოცდაათიანი წლებიდან არის ნარკომანი.**

**ინსტიტუტში უარყვეს მკურნალობის საწყის ეტაპზე ვიტამინებით გამდიდრებული გემოდეზის გადასხმის პრაქტიკა, რადგან პაციენტი ფიზიკურად სწრაფად ძლიერდება და, შესაბამისად, უძლიერდება აბსტილენცია („ლომკა“). გადასხმას მხოლოდ მას შემდეგ მიმართავენ, როცა პაციენტს ყველანაირი ტკივილი ეხსნება, ვიტამინებს კი, ძირითადად, ტაბლეტების სახით აძლევენ.**

**როგორც ბატონი ზაზა ასათიანი ამბობს, შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. ორი წლის გამოცდილების მანძილზე დაგროვდა საკმაო მასალა, რაც იძლევა საშუალებას, რომ ზუსტად გამოიკვლიონ წამლის ზემოქმედება, რაც ჯერ არავის შეუსწავლია.**

## პოლიცია და ნარკომანია

„ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროში 400 თანამშრომელია, რომლებიც ძირითადად ნარკოტიკების რეალიზატორების და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ იბრძვიან, — **თქვა ბატონმა ჯემალ ჯანაშიამ,** — ნარკომანებთან ურთიერთობა კი უბნის ინსპექტორების პრეროგატივად დარჩა“. **როგორც ზაზა ასათიანმა განაცხადა, მათ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ბიუროს თანამშრომლებთან, თუმცა, ბევრი პოლიციელი, რომლებსაც საერთოდ არ ეხება ამ პრობლემასთან ბრძოლა, მათ პაციენტებს ხვდება და ნარკოტიკის ჩაგდების მუქარით ან ფულს სძალავს, ან წამალს. ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლამ შედეგი უკვე გამოიღო და ბოლო პერიოდში თითქმის აღმოიფხვრა.**

## ვინ ხდება ნარკომანი

„რვა მამრობითი სქესის ნარკომანზე ერთი ქალი ნარკომანი მოდის. ბოლო პერიოდში აქტიურად იზრდება ნარკოტიკების მოხმარება ქალებსა და მოზარდებს შორის“, — **თქვა ბურამ მამაცაშვილმა. ნარკომანებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის განსაკუთრებით ბევრია 18 წლის ასაკის ახალგაზრდა, სოციალური შემადგენლობით კი მათი უმრავლესობა შეძლებული ოჯახებიდან არის, რადგან ეს ძალიან ძვირი „სიამოვნებაა“. წამლის ერთი დოზა 15-20 დოლარი ჯდება, ზოგიერთ ნარკომანს კი დღეში ათი დოზა ძლივს ჰყოფნის.**

## საქართველო — ნარკობიზნესის ცენტრი

„ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო საქართველო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ცენტრად იქცევა“, — თქვა **ჯემალ ჯანაშიამ. მიმდინარე წელს ამოღებულია ოცი კილოგრამი ოპიუმი, ნახევარი კილოგრამი ჰეროინი, აგრეთვე კოკაინი, მეტადოლი და ისეთი ძლიერი საშუალებები, რაც ადრე არ გამოიყენებოდა. ეს უფრო მეტია, ვიდრე წინა რამდენიმე წლის განმაელობაში იქნა ამოღებული. გარდა ამისა, პოლიციამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პასუხისგებაში გადასცა 8500 დამნაშავე, ნარკოტიკების შემოტანისთვის დაკავებულია უცხოეთის 1200 მოქალაქე.**

**საქართველოში გაჩნდა ნარკოტიკული მცენარეების შიდა წარმოება, პოლიცია სხვადასხვა რაიონში ყოველდღიურად ანადგურებს კანაფისა და ყაყაჩოს ნათესებს.**

„ხდება საერთაშორისო დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების ინტეგრაცია. ასეთ პირობებში როგორც სამართლებრივი, ისე მეთოდოლოგიური ბაზა უნდა იყოს სიტუაციის ადეკვატური. პრეზიდენტმა რამდენიმე წლის წინ დაგვავალა, შეგვემუშავებინა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა, რაც მოიცავს ორგანიზაციულ, იდეოლოგიურ და სამართლებრივ ბაზას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და მრავალ სხვა ასპექტს“, — **განაცხადა ბატონმა ჯემალ ჯანაშიამ.**

## გულგრილობა — ხალხის მთავარი მტერი

„სანამ საზოგადოება გულგრილად იქნება ამ პრობლემის მიმართ განწყობილი, მანამ არც საქმეს ეშველება. ამ გულგრილობის ნიშანი კი დღევანდელი შეკრებაც არის, რომელსაც 270 მოწვეულიდან მხოლოდ 150 კაცი ესწრება“, — **თქვა ბატონმა ბურამ მამაცაშვილმა. მხოლოდ პოლიცია და ექიმები ვერაფერს გახდებიან, თუ საზოგადოება შემწყნარებლურად იქნება განწყობილი. დასავლეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ თუ შესაბამისი საზოგადოებრივი ფონი შეიქმნება, ნარკომანია სულაც არ არის გადაუჭრელი პრობლემა.**

კვირიკე სუბარი

ჩეჩნეთი

# არჩევნები ჩეჩნეთში

რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური ჩეჩნეთში გუშინ დაიწყო და დღეს დამთავრდება. რესპუბლიკური საარჩევნო



კომისიის ცნობით, სამშაბათს, დღის პირველი საათისთვის, არჩევნებში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა ამომრჩეველთა მხოლოდ ათ პროცენტს.

ვერ მოხერხდა ინციდენტის თავიდან აცილებაც: გროზნოს ცენტრში, სადაც ერთ-ერთი საარჩევნო უბანი იყო განთავსებული, მოხდა აფეთქება. შედეგად — შენობაში ჩაიმტვრა ფანჯრები, ბევრმა მცხოვრებმა კი ტრავმა მიიღო.

# ჩეჩნეთის ოპოზიციის პოზიცია

„ჩვენ ყოველმხრივ მივილტვოდით ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებისკენ, მივდიოდით ყველანაირ დათმობაზე. ყოველთვის მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომისას, იმედი გვქონდა, რომ მიღწეული შეთანხმებები შესრულდებოდა. მაგრამ ახლა ვხვდებით, რომ უაზრო იყო რაიმეს მიღწევის მოლოდინი ფედერალური დელეგაციის იმ წევრებთან, რომლებსაც მოსკოვში და ნაზრანში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად მოქმედებაც კი არ სურდათ“ - განაცხადა იჩქერიის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მოსკოვში ვაგაპ ტუტაკოვმა. მან აღნიშნა, რომ „ვიდრე ფედერალური დელეგაციის შემადგენლობაში შედიან კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი სერგეი სტეპაშინი, აგრეთვე, რუსეთის ძალოვან უწყებათა წარმომადგენლები, მოლაპარაკებების გზით კონფლიქტის მოგვარების იმედად ყოფნა — სიბრიყვეა“.

ტუტაკოვის თქმით, რუსეთის დელეგაციის შემადგენლობის ნაწილის შეცვლა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო. შეიარაღებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა, აგრეთვე მოითხოვეს ზავგაევის მთავრობის დათხოვნა და ჩეჩნეთში ჩატარებული ეროვნული კრების არჩევნების შედეგების გაუქმება, რადგან ადრე მიღწეული შეთანხმებით, იგი უნდა ჩატარებული იყო მხოლოდ რესპუბლიკიდან ფედერალური ჯარების გაყვანის შემდეგ.

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფედერალური მხარე დათანხმდება თავისი დელეგაციის ზოგიერთი წევრის შეცვლაზე, არა მგონია, რომ ეს გადაჭრის პრობლემას. ახლა, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურამდე საათებიღა დარჩა, გენერლები დროის გაწელვას ცდილობენ. თუ რა სურს რუსეთის მხარეს, მხოლოდ 3 ივლისის შემდეგ გახდება ნათელი. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ: არჩევნების შემდეგ ტაქტიკას შევცვლით და ვშიშობ, ეს ფედერალური მხარისთვის მტკივნეული აღმოჩნდება. მაგრამ ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც შეიძლება აიძულო ისინი დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან რეალური პრობლემების რეალურად გადასაწყვეტად“, — დასძინა ვაგაპ ტუტაკოვმა.

Кавказ-Пресс

სახელმწიფოს მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებას თვითმმართველობის პრინციპების საფუძველზე.

საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, ქართულ საზოგადოებაში ამ საკითხებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა როგორც სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის, ასევე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისტემის ძირეული პრინციპების შესახებ.

მმართველობითი სისტემის გარდაქმნა უკვე დაწყებულია, მაგრამ მის გასაგრძელებლად საჭიროა გარკვეული კონსენსუსის გამონახვა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასა თუ დაინტერესებულ ჯგუფს შორის.

წინა პარლამენტში ეს საკითხი მწვავე დებატებისა და განხილვის საგნად იქცა, თუმცა, როგორც კანონმდებელთა შორის, ისე ფართო საზოგადოებაში ვერ მომწიფდა აზრი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას სწორ მიმართულებას მისცემდა. ამიტომაც, ქვეყნისთვის ესოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი კვლავ დადგა ახლანდელი პარლამენტის დღის წესრიგში.

საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურმა მოამზადა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის პრინციპების კონცეფცია. ამჟამად მიმდინარეობს საკითხის საჯარო განხილვა, კონსულტაციები პოლიტიკურ პარტიებთან. განსხვავებულ მოსაზრებათა შეჯერების და გარკვეული თანხმობის მიღწევის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს შეთანხმებულ პროექტს, რომელსაც საკანონმდებლო ხელისუფლება საშემოდგომო სესიაზე განიხილავს.

გვესაუბრება საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის ხელმძღვანელი **თემურ ფიფია.**

# «სამხარეო მოწყობა სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგაა მიმართული»

— კონსტიტუციაში მინიშნებულია, რომ სახელმწიფოებრივი მოწყობა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ, ცალკე კონსტიტუციური კანონით განისაზღვრება. ასეთი კონსტიტუციური კანონის მიღება ვერ მოხდება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების მოგვარების გარეშე. რამ გამოიწვია ამ არგუმენტის უგულებელყოფა და რა აუცილებელმა ფაქტორებმა განაპირობეს პროცესის ფორსირება?

**— უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ კონსტიტუციური პრინციპი — სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა განისაზღვროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ — არავის უარუყვია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გაჭიანურდა. ამიტომაც, საჭიროა საქართველოში არსებული დანარჩენი მხარეების სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხების გარკვეულწილად მოგვარება. ამ შემთხვევაში ასეთი გამოსავალი გამოინახა: მიღებულ უნდა იქნეს არა ზოგადი კანონი სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის შესახებ, არამედ განისაზღვროს სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის ძირითადი პრინციპები. ძირითადი პრინციპების შემუშავების შემდეგ, პარლამენტმა უნდა მიიღოს ცალკეული კანონები ამა თუ იმ მხარის შესახებ. მხოლოდ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ მოხერხდება სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის შესახებ საერთო კონსტიტუციური კანონის მიღება.**

— ესე იგი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარდა, ამ ეტაპზე განისაზღვრება ყველა დანარჩენი რეგიონის სტატუსი?

**— სასურველია, რომ ყველა რეგიონს განესაზღვროს სტატუსი, მაგრამ საამისოდ ჯერ სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის ზოგადი კანონია მისაღები.**

— რას გულისხმობთ სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის ზოგად კანონში?

**— ზოგად კანონში განისაზღვრება არა კონკრეტულად ის საკითხი, თუ რამდენი მხარისგან შედგება საქართველო და სად ვრცელდება მისი იურისდიქცია, არამედ ზოგადი კანონი განსაზღვრავს სოფლის, ქალაქის, მხარის ცნებას.**

— რატომ მიიჩნევთ, რომ, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომის პირობებში სამხარეო ადმინისტრაციების ჩამოყალიბება სახელმწიფოებრიობის გადარჩენის პრაქტიკული აუცილებლობით იყო განპირობებული?

**— შექმნილმა რეალურმა სურათმა გვიჩვენა, რომ ცენტრიდან ათ რეგიონად დაყოფილი საქართველოს მართვა გაცილებით მარტივია, ვიდრე ცენტრიდან 84 რაიონად დაყოფილი ქვეყნის გაძღოლა.**

**რაც შეეხება იმას, თუ რა ეფექტი მოგვცა სამოქალაქო ომის პერიოდში სამხარეო ადმინისტრაციების შექმნამ, ეს ცალკე საუბრის თემაა. ყოველ შემთხვევაში, სამხარეო ადმინისტრაციების ჩამოყალიბება ქვეყნისთვის ქაოსისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა.**

**მინდა გითხრათ, რომ თვით ჯაბა იოსელიანმაც კი, რომელიც სამხარეო მოწყობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, „მხედრიონი" სწორედ რეგიონული პრინციპის მიხედვით ააგო და მართალიც იყო, ვინაიდან, მართვის ეფექტურობის თვალსაზრისით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა მომგებიანია. ასე არსებობდა კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, თბილისის „მხედრიონი" და ასე შემდეგ. სხვა საქმეა, რომ იოსელიანს ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა ხელს არ აძლევდა, ამ სტრუქტურის შექმნა ცენტრალური ხელისუფლების რგოლის განმტკიცებას გამოიწვევდა. ეს კი, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგებოდა „მხედრიონის" ინტერესებს.**

— თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ სამხარეო დაყოფა სეპარატიზმის გაღვივებას შეუწყობს ხელს და ამ არგუმენტის გასამყარებლად აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაგალითს იშველიებენ...

**— აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში სულ სხვა ტენდენციებმა იძალა და ამას არანაირი საერთო სამხარეო დაყოფასთან არ აქვს.**

**მაინტერესებს, ვინ განსაზღვრა, სეპარატიზმი იარსებებს თუ არა რაიონის დონეზე? სეპარატიზმმა, შეიძლება, სოფლის დონეზეც კი იჩინოს თავი. ამიტომ, უნიტარული მოდელი შეუცვლელად რომც დავტოვოთ, არ გვაქვს იმის გარანტია, რომ იმ რაიონებში, სადაც ქვეყნის ერთიანობას შეიძლება შეექმნას პრობლემები, ეს ტენდენციები მაინც არ გაღვივდება. ეს ისტორიულადაც ასე იყო, როცა საქართველოში საერისთავოები სწორედ ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად იქმნებოდა. თუმცა, იქ შემდგომ სხვა ფაქტორები იჩენდნენ ხოლმე თავს, რის გამოც, ეს ინსტიტუტი საბედისწეროდ შემოუბრუნდებოდა ხოლმე ცენტრალურ ხელისუფლებას. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ქვეყანაში სამხარეო ადმინისტრაციები სწორედ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით შევქმენით. ამდენად, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ყველაზე მეტად სამხარეო მოწყობაზე გადასვლა სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგაა მიმართული და ის, ვინც სეპარატიზმის გაღვივებაში გვდებს ბრალს, კარგად დააკვირდეს, რა პროპორციებითაა ეს მხარეები შექმნილი და არის თუ არა იქ, თუნდაც დემოგრაფიულად, საქართველოს პოლიტიკური ინტერესები გათვალისწინებული!**

**თავისი მნიშვნელობით უდიდესი ქალაქებიც კი, საქართველოში რიგითი ქალაქის თუ რაიონის დონეზე იქნა დაყვანილი. ჩვენ გვსურს, ეს პროცესები შევცვალოთ და ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მძლავრი რეგიონული კერა, რაც ახალი ქართული ორგანიზმის, პოლიტიკურ-ეკონომიკური ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაში მოხდება თბილისში ზედმეტად უზურპირებული ხელისუფლების ფუნქციების გადანაწილება რეგიონებში, რაც სამხარეო ცენტრების მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის. ის პოლიტიკური, ეკონომიკური, ინტელექტუალური ძალები, რომლებიც თბილისში არიან კონცენტრირებულნი და, ფაქტობრივად, ხშობენ პოტენციალის წინ წამოწევას, მთელი საქართველოს მასშტაბით გადანაწილდება. დარწმუნებული ვარ, ორ-სამ წელიწადში თორმეტამდე მძლავრ რეგიონს შევქმნით, რომლებიც ახალ ბიძგს მისცემენ ქართულ ინტელექტუალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ აღმავლობას. ამის უარყოფა არ შეიძლება.**

**პირველ ყოვლისა, რეგიონები შექმნილია არა ეთნიკური ნიშნით, არამედ ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრინციპების საფუძველზე. მხარეში გაერთიანებულ რაიონებში მსგავსი ეკონომიკური საკითხებია თავმოყრილი. მაგალითისთვის, მცხეთა-მთიანეთის მხარეში შეუძლებელია მეცხვარეობის დარგის მართვა ცენტრიდან. ამდენად, პრობლემის მოგვარება მხოლოდ იმ რეგიონშია შესაძლებელი, სადაც ესა თუ ის დარგი მძლავრადაა კონცენტრირებული.**

— სამხარეო ადმინისტრაციების შექმნით რაიონული დაყოფა მთლიანად გაუქმდება?

**— კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ ამ ეტაპზე რაიონების გაუქმება ყოვლად დაუშვებელია. რაიონები ისევ დარჩება, მაგრამ ხელისუფლების გადანაწილება მოხდება რაიონიდან სოფლის დონეზე. დღეს, ისე როგორც არასდროს, ავამაღლებთ სოფლის გამგებლის როლს. რაიონებს, თუ ეს აუცილებლობით არ იქნა განპირობებული, არ გავაუქმებთ. მაგალითად, სომხეთში რაიონები გააუქმეს და ექვსი სამხარეო ადმინისტრაცია შექმნეს. ეს პროცესი სპონტანურად განხორციელდა, რამაც მოსახლეობა მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა.**

— რატომ მიიჩნევთ, რომ სახელმწიფოსა და მხარეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაცია შესაძლო გახდება არა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური აქტის მიღებით, არამედ თითოეული მხარის სტატუსის ცალ-ცალკე განსაზღვრით? გამოდის, რომ გურიას და სამეგრელოს, რაჭას და იმერეთს, შესაძლოა, სხვადასხვა სტატუსი ჰქონდეს?

**— ჩვენი სამსახურის მიერ შემუშავებული კონცეფცია საქართველოს კონსტიტუციაზე დაყრდნობითაა აგებული. ისინი, ვინც დღეს რომელიმე მხარის სტატუსზე მუშაობენ, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებენ, რის უფლებას გვაძლევს ჩვენ საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუცია გვაძლევს მხოლოდ და მხოლოდ რეგიონალიზმის საფუძველს და არა სხვაგვარი ტერიტორიული მოწყობის შესაძლებლობას. რეგიონალიზმი ნიშნავს იმას, რომ დაცულია სახელმწიფო სუვერენიტეტი, განსაზღვრულია სახელმწიფოს ძირითადი უფლება-მოვალეობანი, ხოლო დანარჩენი საკითხების გადანაწილება ხდება დაბალ რგოლებში: მხარეში, რაიონში, ქალაქში. მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ მხარეში მოხდება იმ უფლებების დელეგირება, რაც კონსტიტუციით ცენტრს არ განესაზღვრება. ამ შემთხვევაში ჩვენ იმ რეალობიდან გამოვდივართ, რომელიც სადღეისოდ არსებობს. საქართველოში არის აფხაზეთი და აჭარა — ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით. მათ აქვთ საკუთარი ჰიმნი, კონსტიტუცია, პარლამენტი. ჩვენ ახლა მათ ამ უფლებებს ვერ წავართმევთ. შეუძლებელია მათი უფლებების რომელიმე რაიონის დონეზე დაყვანა.**

— აჭარაში და აფხაზეთში ადგილობრივი მმართველობის ფორმასაც, ალბათ, მხარის პარლამენტი განსაზღვრავს...

**— რა თქმა უნდა, მმართველობის ფორმას თავად მხარის პარლამენტი ირჩევს. მხარეს პრემიერი ეყოლება თუ პრეზიდენტი, ამას ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტს. სხვათა შორის, ამით ბევრ პრობლემას მოვუხსნით როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას.**

**რაც შეეხება დანარჩენ მხარეებს, დასაწყის ეტაპზე მათი**
უფლებები გარკვეულწილა[...]
ზღუდული იქნება: ცხადია,
რეგიონებს არც საკუთარი კ[...]
სტიტუცია ექნებათ, არც სა[...]
თარი ჰიმნი და არც სხვა სა[...]
ლმწიფო სიმბოლიკა. თუ[...]
არც იმას გამოვრიცხავ, რ[...]
დროთა განმავლობაში შესაძ[...]
ბელია მათი უფლებები გაიზ[...]
დოს. მომავალში მხარეებს, შ[...]
ძლება, ჰქონდეთ საკუთარი პ[...]
ლამენტი, კონსტიტუცია.

გერმანია დაყოფილია მ[...]
ბად, ყველა მიწას აქვს საკუთ[...]
პარლამენტი და სარგებ[...]
ცალკეული ნორმატიული აქ[...]
ბის მიღების უფლებით, [...]
ფედერალური კონსტიტუ[...]
საფუძვლებიდან მომდინარე[...]
აჭარის და აფხაზეთის კონს[...]
ტუციაც, ცხადია, საქართველ[...]
კონსტიტუციის პრინციპებზე [...]
ნება აგებული.

— თქვენ აღნიშნეთ, [...]
საწყის ეტაპზე სხვა დანარჩენ [...]
რეებს შეზღუდული უფლებები [...]
ნებათ, მაგრამ სამომავლოდ შ[...]
ლებელია, მათ გაფართოებული [...]
ლებებიც მიენიჭოთ, თუნდაც, ს[...]
თარი პარლამენტის, კონსტიტუ[...]
სახით...

— ადგილობრივ ადმინ[...]
რაციულ ერთეულს უფ[...]
აქვს, ჰქონდეს საკუთარი სახ[...]
მწიფო სიმბოლიკა: გერბი, [...]
ლემა, ალამი. ყველა სოფ[...]
შეიძლება ჰქონდეს თავისი გ[...]
ბი და ალამი. სხვათა შორ[...]
საქართველოში ამის ტრადი[...]
არსებობდა და ამაში ც[...]
პირადად მე, ვერაფერს ვხედ[...]

— ამდენად, შესაძლებე[...]
არსებობდეს, ვთქვათ, გურიის [...]
ლამენტი?

— მე მგონია, რომ [...]
ეტაპზე ეს არ იქნება. სამოც[...]
ათი წლის განმავლობაში გვ[...]
ჟინებდნენ, რომ ფეოდალუ[...]
დაქუცმაცებულობამ დაღუპა [...]
ქართველო და დღესაც სამხა[...]
დაყოფას ტრაგედიად აღიქვა[...]
ამიტომ, ასეთი ისტორიუ[...]
ცნობიერების ფონზე, რად[...]
ლური ნაბიჯების გადად[...]
რთული პროცესი იქნება. ყვე[...]
ფერი ეს ცხოვრებამ უნდა [...]
რეგულიროს. ხელოვნურად [...]
მეს ფორსირება არ შეიძლ[...]
პროცესი მეთოდურად, ნაბიჯ[...]
ბიჯ უნდა განხორციელდეს.

— ითვალისწინებთ თუ [...]
იმის შესაძლებლობას, რომ სახე[...]
წიფომ შეზღუდოს ან გააუ[...]
რომელიმე მხარის სტატუსი [...]
აღადგინოს ცენტრალიზებული [...]
ლმწიფო მმართველობა?

— ჩვენს კონცეფცი[...]
ნათქვამია, რომ ზოგი[...]
მხარეში ან რომელიმე რა[...]
ნში შესაძლებელია დარ[...]
იგივე სისტემა, დავუშ[...]
შევქმნათ გურიის, კახე[...]
მხარე, მაგრამ არ შევქმ[...]
ვთქვათ, სამეგრელოს მხა[...]
ეს იქნება დამოკიდებული [...]
ლკეულ რეგიონში შექმ[...]
ვითარებაზე. აქ მთავარ[...]
რას მოითხოვს სახელმწ[...]
ინტერესები. ამ შემთხვევ[...]
თუკი პრეზიდენტი და პარ[...]
მენტი არ მიიჩნევენ საჭირ[...]
რომელიმე რაიონში სამხა[...]
ადმინისტრაციის შექმ[...]
მმართველობის მოდელი [...]
ლელი დარჩება. ამდენად, [...]
ლკეულ რეგიონზე კანო[...]
მიღება გაცილებით გა[...]
ლებს ადგილებზე პრობლ[...]
ბის უმტკივნეულოდ გად[...]
ვეტას.

თუკი რაიონში, სოფელ[...]
ან მხარეში ისეთი პროცეს[...]
განვითარდა, რომელიც ცე[...]
რალური ხელისუფლების [...]
ნააღმდეგ იქნება მიმართ[...]
ცენტრალურ ხელისუფ[...]
აქვს უფლება, გააუქმოს [...]
გორც წარმომადგენლობ[...]
ორგანო, ისე მთელი მხ[...]
გაუქმებული მხარე შემდ[...]
ში უშუალოდ ცენტრალ[...]
ხელისუფლებას დაექვე[...]
ბარება.

ესაუ[...]

დიანა გაბროშვი[...]

აშშ

# არიზონა — «გველის წიწილების ბუდე»

აშშ-ში, არიზონას შტატში, დააპატიმრეს ანტისამთავრობო დაჯგუფება „მილიცია-გველის წიწილის" წევრები. დაკავებულია ამ გასამხედროებული ფორმირების 12 წარმომადგენელი. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, მათ განზრახული ჰქონდათ ფედერალური მთავრობის წევრთა წინააღმდეგ ფენიქსში ტერორისტული აქტების სერიის მოწყობა.

მათ განკარგულებაში არსებულ ვიდეოკასეტაზე ერთ-ერთი ბოევიკი აღწერს ამ ობიექტის დაცვის სისტემას და კომუნიკაციებს, რომელზედაც თავდასხმა იგეგმებოდა.

„მილიცია-გველის წიწილის" წევრთა დაპატიმრება ექვსთვიანი ძიების კულმინაცია იქცა. არიზონა ითვლება მთავარ საყრდენ პუნქტად იმ ანტისამთავრობო დაჯგუფებებისა, რომლის წევრებიც თავს ამერიკის ჭეშმარიტ პატრიოტებად და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლებად მიიჩნევენ. ისინი გამოდიან გადასახადების გადახდის, ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლის, გაეროს, „წითლების" და არაბთელების წინააღმდეგ.

# გარდაიცვალა მარგო ჰემინგუეი



ცნობილი ამერიკელი მწერლის შვილიშვილი, ტოპ-მოდელი და მსახიობი მარგო ჰემინგუეი კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-მონიკაში საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. სიკვდილის მიზეზებზე ჯერ არაფერს იტყობინებიან. მარგო ჰემინგუეი ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი მოდელი გახდა მას შემდეგ, რაც 1975 წელს ხუთწლიანი კონტრაქტი „დადო „ფაბერჟეს" ფირმასთან. მოგვიანებით შედგა მისი, როგორც კინომსახიობის დებიუტი და იგი რამდენიმე ფილმში გადაიღეს.

ერნესტ ჰემინგუეის შვილიშვილი გარდაცვალებისას 41 წლისა იყო...



დომინიკის რესპუბლიკა

# 89 წლის ბალაგიერო პრეზიდენტობას შეელია



„განთავისუფლების" პარტიის კანდიდატი ლეონელ ფერნანდესი გამარჯვებულად გამოცხადდა დომინიკის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში. კვირას



გამართულ არჩევნების მეორე ტურში მან „დომინიკის რევოლუციური პარტიის წარმომადგენელ ხოსე პენია გომესზე მეტი ხმა მოაგროვა — მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ფერნანდესი დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს შეასრულებს და ამ პოსტზე შეცვლის 89 წლის ხოკინ ბალაგიეროს, რომელიც 24 წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას.

კორსიკა

# ვენდეტას არ ივიწყებენ

**ორშაბათს, დღისით, კორსიკის ქალაქ ბასტიაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა კორსიკელ ნაციონალისტთა ერთ-ერთი ლიდერი და მძიმედ დაშავდა პარტიის კიდევ ორი წევრი. მანქანის აფეთქებამ, აგრეთვე, ზიანი მიაყენა ცხრა მოქალაქეს.**

**ნაციონალისტთა ლიდერი ლორენზი აფეთქების შემდგომ რამდენიმე საათში საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისი მოადგილე კი, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და, როგორც მედიკოსები მიიჩნევენ, მისი გადარჩენის შანსები საკმაოდ მცირეა.**

**აფეთქების მიზეზები და მისი ორგანიზატორების ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია. ისე კი, „კონკორდა ნაციონალისტა" (ასე ჰქვია კორსიკელ ნაციონალისტთა პარტიას) ერთ ერთია იმ სამი ეროვნული ორგანიზაციიდან, რომლებიც საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ კორსიკის ავტონომიის თაობაზე. ცნობილია ისიც, რომ ამ სამ ორგანიზაციას ერთმანეთთან მტრული ურთიერთობა აქვთ. მათ შორის დაუნდობელი ფრაქციული ბრძოლა გაჩაღებული. სწორედ ამ დაპირისპირებას 1996 წლის დასაწყისიდან დღემდე უკვე 15 პოლიტიკური ფიგურა შეეწირა.**

ახლო აღმოსავლეთი

# კვლავ დაპირისპირება

ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა რაკეტები ჩამოყარეს პალესტინის იმ ტერიტორიაზე, სადაც ექსმიტანილი ლიბანელი „ჰისბოლაჰის" წევრები იმყოფებოდნენ. მათ, აგრეთვე, დაბომბეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ლიბანის რიგი ადგილებიც.

როგორც პალესტინის უშიშროების სამსახურები იტყობინებიან, ყველა ნაღმი დამიზნებული იყო პალესტინის ადმინისტრაციის შტაბბინებზე, რომლებიც ლიბან-სირიის საზღვრიდან შვიდი კილომეტრის დაშორებითაა განლაგებული.

„ჰისბოლაჰს" უკვე დაეკისრა პასუხი-




სმგებლობა გასულ კვირას განხორციელებულ თავდასხმაზე, რომლის შედეგად ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე დაიღუპა სამი ისრაელელი ჯარისკაცი და ორი — მძიმედ დაშავდა.

ისრაელის შეტევები კი პირველია მას მერე, რაც აპრილის დაბომბვათა სერიალის შემდგომ შეწყვიტა ცეცხლი.

ესპანეთი

# «ოქროს მთები»

ესპანეთის ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთი წყნარი, მთიანი რეგიონი უცებ ოქროს დიდ „ზოდად" იქცა. „ოქროს ციებ-ცხელება" კი მას შემდეგ დაიწყო, რაც შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ძვირფასი ლითონების მომპოვებელმა ორგანიზაციამ აქ ოქროს საბადო აღმოაჩინა. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მთების „გროვა" უდიდეს სიმდიდრეს იტევს. თურმე, საბადოდან ყოველ წელს შვიდი ათასი კილოგრამი ოქროს ამოღება შეიძლება. ჯერჯერობით, შეერთებული შტატების წარმომადგენლებს 40 მილიონი დოლარის „შეწირვა" მოუხდათ, რათა მოსამზადებელი სამუშაოები ეწარმოები-



ნათ. თუმცა, წინ კიდევ დიდი ხარჯებია: საჭიროა ღიდძალი მუშახელის დაქირავება, რათა სამუშაო სათანადოდ წარიმართოს.

მაგრამ არის სხვა შემაფერხებელი მხარეც: ეკოლოგებს დიდად არ ახარებთ ეს ფაქტი. როგორც ისინი ამბობენ, ოქროს ასეთი დიდი რაოდენობით ამოღება ლანდშაფტს სასიკვდილოდ არ წაადგება. მისი დაშლით კი ეს ლამაზი მხარეც დაკარგავს თავის იერსახეს.

მოზაიკა

* * *

რამდენი ფრთა შეიძლება ჰქონდეს თვითმფრინავს? თუ ავიაციის ისტორიას გავიხსენებთ, ცხადია, პასუხი იქნება — ოთხი. თვითმფრინავების მშენებლობის უშუალო მცოდნეებმა კი იციან, რომ თავის დროზე არსებობდა აეროპლანები, რომლებსაც ბევრად მეტი ფრთა ჰქონდათ. ამ მხრივ, თავისებური რეკორდსმენია 1906 წელს ავიაციის გარიჟრაჟზე შექმნილი თვითმფრინავი, რომელსაც 196 ფრთა ჰქონდა. სამწუხაროდ, მან ვერ გაამართლა — რამდენიმე მეტრი იფრინა და ჩამოვარდა. რას იზამ? რაოდენობა ყოველთვის ხარისხში არ გადადის.

* * *

ალბათ, ბევრს მოეხსენება ჩვენს კალენდარში ასიმეტრიის არსებობის მიზეზი: თვეები, რომლებიც 30 და 31 დღეს შეიცავენ, ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ ამ წესს ივლისი და აგვისტო არღვევენ. შეგახსენებთ ამ ძველ ისტორიას.

ივლისი ამ თვეს რომაელი დიქტატორის გაიუსიულიუს კეისარის პატივსაცემად დაერქვა, რომელმაც კალენდრის რეფორმა მოახდინა და თვეს, რომელშიც ის დაიბადა — კვინტილისს, ეწოდა ივლისი. ძვ. წ. აღ-ის 27 წელს იმპერატორი ავგუსტუსი გახდა, მანაც შეიტანა ცვლილებები კალენდარში და სენატმა საჭიროდ მიიჩნია სექტილისისათვის აგვისტო ეწოდებინა. იულიუს კეისარმა დაადგინა, რომ ეს თვე ოცდაათდღიანი უნდა ყოფილიყო, ავგუსტუსი კი ამას ვერაფრით შეეგუა, ამიტომაც მან ერთი დღით გაზარდა ამ თვის ხანგრძლივობა თებერვლის ხარჯზე.

* * *

შოტლანდიაში, მოფატში ცხვრის ძეგლი დგას. ადგილობრივ მცხოვრებლებს იგი შეახსენებს იმ დიდ როლს, რომელიც მატყლის, ხორცის და ქონის მომწოდებელმა ცხვარმა შეასრულა შოტლანდიის ისტორიაში.

* * *

ქირურგიულ ხელთათმანებს ორმაგი დანიშნულება ეკისრება. ერთი მხრივ, მათ უნდა დაიცვან ქირურგი მიკროორგანიზმებისგან, რომლებსაც, შესაძლოა, პაციენტის ქსოვილი შეიცავს, მეორე მხრივ კი, მათ უნდა დაიცვან პაციენტი მიკრობებისგან, რომლებიც, მიუხედავად დაბანისა, შეიძლება ქირურგის თითებზე დარჩნენ. მაგრამ თუ ხელთათმანი გაიხსნა ან სკალპელით გაიჭრა, დაცვა ირღვევა.

ეს არ ემუქრება ხელთათმანებს, რომლებსაც საფრანგეთში ამზადებენ. მათი მასალა შეიცავს მიკროკაფსულებს ანტიმიკრობული და ანტიგრიუსული ნივთიერებებით. თუ რეზინა გაიხევა, კაფსულა გასკდება და სადეზინფექციო საშუალებას გამოუშვებს.

* * *

კოლორადოს შტატში (აშშ) ნაპოვნია „სუპერზავრის" ნაშთი. არაოფიციალურად ასე უწოდებენ დიპლოდოკის მსგავს დინოზავრს, რომლის სიგრძე 35 მეტრს აღწევდა. მაგრამ გასაოცარია არა მისი ზომა, არამედ მის ძვლებში აღმოჩენილი სიცარიელე. შესაძლოა, ოდესღაც ისინი ძვლის ტვინით იყო სავსე. აქამდე, ამ ზომის ხვლიკებში მსგავსი რამ შემჩნეული არ ყოფილა.

სახელმწიფო

# საქართველოს საზღვარი და ეროვნული უშიშროების კონცეფცია

საქართველოს, მთელი მისი ისტორიის განმავლობაში, რეგულარული ჯარი თითქმის არ ჰყოლია და, შესაბამისად, არც ეროვნული უშიშროების კონცეფცია ყოფილა შემუშავებული. ამ მიმართულების პირველი ნაბიჯი მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა გადადგა, რომლის ინიციატივითაც თბილისში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ამ ღონისძიების გამოძახილად და გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ოცდარვა ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული პრესკონფერენცია, რომლის თემა იყო „სახელმწიფო უშიშროების კონცეფცია საქართველოს პოლიტიკური მმართველობის სისტემაში“. კონფერენციის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია, მიზანი კი, უშიშროების კონცეფციის შექმნასთან ერთად, სამხედროებისა და მეცნიერების თანამშრომლობისთვის საფუძვლის ჩაყრაც იყო.

„საქართველოს უშიშროება არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი გარანტიების სისტემა, რომელმაც უნდა დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული ადამიანი, სახელმწიფო ხელისუფლება და მატერიალური ფასეულობები, ტერიტორიული მთლიანობა, კონსტიტუციური წყობა და სუვერენიტეტი, — **განაცხადა მომხსენებელმა, სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ვალერი ჩხეიძემ.** — უშიშროების კონცეფცია უნდა განსაზღვრავდეს საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიას და მის ძირითად მიმართულებებს“.

რამდენადაც კონფერენციის ორგანიზატორი სასაზღვრო დეპარტამენტი იყო და ქვეყნის უშიშროებისთვის საზღვრის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ყველაზე მეტი ყურადღება ამ სფეროში არსებული მდგომარეობის განხილვას დაეთმო. როგორც ბატონმა ვალერი ჩხეიძემ განაცხადა, სასაზღვრო ჯარების ჩამოყალიბება 1993 წელს დაიწყო. საქართველოს სახმელეთო საზღვრის სიგრძე დაახლოებით ორი ათასი კილომეტრია, საზღვაოსი — ორას ოთხმოცი კილომეტრი. ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საქართველოს არ შეუძლია ამ საზღვრის სრულად გაკონტროლება, რის გამოც მთელ ზღვის აკვატორიას და თურქეთთან საზღვარს რუსი მესაზღვრეები იცავენ; რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან საზღვარი კი მხოლოდ ნაწილობრივ კონტროლდება. „ამჟამად, სასაზღვრო საგუშაგოები გახსნილია მთა-თუშეთში, ხევსურეთში, ქვემო ქართლის ზოგიერთ რეგიონში და კოდორის ხეობაში. ერთი კილომეტრი საზღვრის დაცვა, დაახლოებით, წელიწადში ორი მილიარდი რუსული რუბლი ჯდება, დაუცველობა კი — 4-8 მილიარდი“, — განაცხადა გენერალმა და იმედი გამოთქვა, რომ 10-12 წლის შემდეგ ქართველი მესაზღვრეები შეძლებენ, მთლიანად გააკონტროლონ სახელმწიფო საზღვარი.

ვალერი ჩხეიძემ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საზღვარს რამდენიმე პატრონი ჰყავს და ყველას თავისი პრეტენზია გააჩნია. „საზღვარს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს, რომელიც ყველა სამსახურს გაუწევს კოორდინაციას. უსაფრთხოების სისტემის რეალიზებისთვის უნდა შეიქმნას სტრატეგიული პროგნოზირების ცენტრი„ რომელიც მთელი ქვეყნისთვის იმუშავებს და არა რომელიმე უწყებისთვის. ამგვარი ცენტრები არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში,“ — თქვა გენერალმა.

სასაზღვრო დეპარტამენტი, როგორც ყველა უწყება საქართველოში, ფინანსურად მეტად მძიმე დღეშია. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ახლა უკეთესი მდგომარეობაა. მიმდინარეობს მუშაობა, რომ დახმარება მიიღონ სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ, გარკვეული იმედი აქვთ, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და უკრაინის დახმარებისა. მყარდება კონტაქტები, მიმდინარეობს მოლაპარაკება კადრების მომზადების სფეროში თანამშრომლობაზე, საზღვრის დაცვის სისტემები იხვეწება და კონკრეტდება. ვალერი ჩხეიძის აზრით, საქართველოსთვის ბევრად უფრო მისაღებია საზღვაო აკვატორიის დაცვის ამერიკული სისტემა, ვიდრე ის, რომელსაც საბჭოთა კავშირში იყენებდნენ.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ჯერ არ არის გაკეთებული სომხეთთან, აზერბაიჯანთან და რუსეთთან საზღვრის დელიმიტაცია. საქართველო-სომხეთის საზღვარზე რამდენიმე სადავო მონაკვეთია, რომელთა დადგენისთვისაც მუშაობა მიმდინარეობს. დელიმიტაციის დამთავრების შემდეგ, მხოლოდ საქართველო-სომხეთის საზღვრის დემარკაციას არანაკლებ ოთხი წელი დასჭირდება. ბატონმა ნოდარ ნათაძემ კაპიტულანტური უწოდა საქართველოს საზღვრებზე შექმნილ მდგომარეობას, როცა თურქეთთან საზღვარს სხვა სტატუსი აქვს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან საზღვარს კი — სხვა. „სწორედ ამიტომ არ შევიტანეთ პარლამენტში კანონპროექტი სახელმწიფო საზღვრის შესახებ, — თქვა მან, — ჯობს ასეთი მდგომარეობა მხოლოდ დე-ფაქტო იყოს, ვიდრე დე-იურეც განმტკიცდეს“.

„ჩვენ უარს ვამბობთ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემაზე და ვიცავთ სახელმწიფოს ინტერესებს ამ საზღვარზე“, — თქვა გენერალმა ჩხეიძემ. სასაზღვრო და შინაგანი ჯარები შედიან შეიარაღებულ ძალებში, მათ აქვთ განსხვავებული ამოცანები და მათი რიცხვი და შეიარაღება საერთაშორისო კვოტებით არ არის გათვალისწინებული. სასაზღვრო ჯარებს აკისრიათ ქვეყნის ინტერესების დაცვა საზღვარზე, ამაში კი შედის ნარკოტიკებისა და იარაღის შემოტანაც, აგენტურასთან ბრძოლაც, ოპერატიული საგამოძიებლო მოქმედებების ჩატარებაც, რაც არ შედის თავდაცვის სამინისტროს ფუნქციებში. ასევე განსხვავებულია შინაგანი ჯარის მოვალეობები, რომელიც ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარებას ემსახურება. „აქედან გამომდინარე, აფხაზეთში უნდა შესულიყო შინაგანი ჯარი და არა გვარდია“, — განაცხადა ვალერი ჩხეიძემ.

საზღვარზე შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება უკვე ომის გაჩაღებას ნიშნავს, რის გამოც შემოიტანეს ცნება — სასაზღვრო კონფლიქტი ან სასაზღვრო ინციდენტი, რათა მას ლოკალური ხასიათი მიეცეს და არ გადაიზარდოს უფრო ფართომასშტაბიან შეტაკებაში; საქართველოს სასაზღვრო კანონის პროექტში განსაზღვრულია, რომ მესაზღვრეებმა შესაბამის უწყებებთან ერთად უნდა დაიცვან ეკოლოგია და სასაზღვრო ზონაში არსებული ისტორიული ძეგლები, რაც არც ერთი ქვეყნის სასაზღვრო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. ცხოველებისთვის საზაფხულო გზების გადაკეტვამ შეიძლება ბუნებაში დისბალანსი გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა, ამ პრობლემებს ფრთხილად მივუდგეთ. უნდა ჩამოყალიბდეს სამხედრო ინტელიგენცია, რომელიც მეცნიერულად შეისწავლის საზღვრის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას, — მიაჩნია გენერალს.

ვალერი ჩხეიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია საგუშაგოების ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტების პრაქტიკაც. ამგვარმა საგუშაგოებმა გაამართლეს მესტიის რაიონში და კოდორის ხეობაში, პირიქითა ხევსურეთში კი სასაზღვრო საგუშაგოს შექმნით მოსახლეობის რაოდენობა თერთმეტიდან ორმოცდაათ კომლამდე გაიზრდება. საგუშაგოს სჭირდება კომუნიკაციები — გზა, ტელეფონი, ხალხიც დასაქმდება, — თქვა მან.

პოლკოვნიკმა იოსებ ბარნაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ძველი, დრომოჭმული სისტემით შენდება, მაშინ, როცა დასავლეთი პროფესიულ ჯარზე გადადის. „ჯარში უნდა წავიდნენ მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ სამსახური, დანარჩენებმა კი, ალტერნატიული სამსახურის მეშვეობით არჩინონ ისინი“, — თქვა მან. იოსებ ბარნაბიშვილის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული სამსახური — ვთქვათ, ჯართის შეგროვება და ახალგაზრდების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გაგზავნა — ალბათ, ძნელად თუ შეასრულებს იმ როლს, რაც მას პოლკოვნიკმა დააკისრა, სამაგიეროდ, ძნელია მას არ დავეთანხმოთ იმაში, რომ გაწვევის მოქმედ სისტემაში გამეფებულია კორუფცია: „არმიაში არ მსახურობს არც ერთი პარლამენტარის, მთავრობის წევრის, თუნდაც, რიგითი პოლიციელის შვილი, იქ მხოლოდ ყველაზე დაბალი ფენის შვილები არიან“, — თქვა მან.

სასიამოვნოა, რომ საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაქმნელად მუშაობა უკვე დაიწყო. ეს საქმე არ არის მხოლოდ რომელიმე ერთი უწყებისა და ინსტიტუტის ამოცანა, მის შემუშავებაში ყველა დაინტერესებულმა უწყებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამისთვის კი საჭიროა, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა მოთხოვნებს აყენებს საქართველოს სახელმწიფო ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, რა საშიშროება ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას ახლო თუ შორეულ მომავალში და, შესაბამისად, საჭიროა შემუშავდეს უშიშროების ეროვნული კონცეფციაც და თავდაცვის სახელმწიფო სისტემაც.

სოზარ სუბელიანი

---



# ბეტროს ღალის კვლავ გაეროს გენერალური მდივნობა სურს...

## ვაშინგტონში კი მისი კანდიდატურა საკმაოდ არაპოპულარულია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბეტროს ღალიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ აპირებს იბრძოლოს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად ხელმეორედ არჩევისთვის. როგორც გაეროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ახმად ფავზიმ აღნიშნა, ასეთი გადაწყვეტილება ბუტროს ღალიმ მას შემდეგ მიიღო, რაც მოგზაურობების შემდეგ დარწმუნდა, რომ „მის კანდიდატურას ფართოდ უჭერენ მხარს მთელ მსოფლიოში“. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, ბევრისთვის მოულოდნელი და სენსაციური ფაქტი: თეთრი სახლი ახლანდელი გენერალური მდივნის ხელახალი არჩევის სასტიკი წინააღმდეგია. „ჩვენ ვთვლით, რომ ამ პოსტზე ისეთი კაცია საჭირო, რომელიც შეძლებს რეალურად გარდაქმნას უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაცია“, — ასეთია ბილ კლინტონის ადმინისტრაციის პოზიცია.

მაგრამ თეთრ სახლს სულაც არ სურს ურთიერთობა გაირთულოს ზოგიერთ იმ მოკავშირესთან, კერძოდ საფრანგეთთან, რომელიც მხარს უჭერს ბუტროს ღალის კანდიდატურას. ამასთან, ვაშინგტონში დიდხანს იმედოვნებდნენ, რომ გენერალური მდივანი თვითონ გაანალიზებდა ყველაფერს და პრობლემებიც ნაკლები იქნებოდა. მაგრამ ბუტროს ღალისა და მის მიმხრეებთან კონფრონტაციის თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნიკოლას ბერნსმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი კლინტონი მივიდა ასე გადაწყვეტილებამდე: გაერო საჭიროებს ახალ ლიდერს და ახლანდელი ხელმძღვანელის არჩევას იგი მხარს არ უჭერს. თეთრი სახლის პრესმდივანმა მაიკ მაკერიმ კი, თავის მხრივ, დასძინა — ამერიკის შეერთებული შტატები, თუ საჭირო გახდა, გამოიყენებს თავის უფლებას ვეტოს დადებაზე.

ბუტროს ღალის მისამართით გამოთქმული „ამერიკული პრეტენზიების“ ნუსხა საკმაოდ დიდი მოცულობისაა: სომალისა და ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციებისადმი განსხვავებული მიდგომა; მუდმივი შეტაკება გაეროში აშშ-ს წარმომადგენელ მადლენ ოლბრაიტთან, გენერალური მდივნის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები — და რაც მთავარია — გაეროს შიდა გარდაქმნების დამუხრუჭება, რომლის განხორციელების პირობადაც ვაშინგტონი გაეროს ბიუჯეტში თავისი მილიარდიანი დავალიანების შეტანას აყენებს. ბევრი ამერიკელისთვის ბუტროს ღალი ძველმოდური დიპლომატია, რომელსაც უძლურია გაუძღვეს მთელ დედამიწაზე უდიდეს ბიუროკრატიულ სტრუქტურას. მაგრამ საქმე მხოლოდ ღალის პიროვნებაში არაა — შეერთებულ შტატებს სურს, გაეროს მეთაურად იხილოს ადამიანი, „რომელიც შეძლებს ბიუროკრატისგან თავის დაღწევას, გაზრდის ორგანიზაციის ეფექტურობას, შეამცირებს ბიუჯეტს და დასახავს ახალ მიზნებს“.

ვაშინგტონის დღევანდელ ადმინისტრაციას ერთგვარად ეხმარებიან რესპუბლიკელები და მათი „იმედი“ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ბობ დოული. ამ უკანასკნელმა გამიზნულად გადაწყვიტა, რომ გაეროს გენერალური მდივანი ამერიკის საქმეებში ჩარევის სიმბოლოდ წარმოადგინოს და ხაზს უსვავს, რომ იგი „ლამის დემონურ ზეგავლენას„ ახდენს ბილ კლინტონზე. ასე თუ ისე, დოული ხშირად იმეორებს: პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, თავად გადაწყვეტს, თუ საით გაამგზავროს ამერიკელი ჯარისკაცი.

არანაკლებ ვნებათღელვას იწვევს ეს საკითხი აშშ-ს კონგრესში. კონგრესმენები, დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც, გამოყოფენ იმ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის 50 წლის განმავლობაში დაგროვდა და, რომლებმაც განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი ამ ბოლო წლებში მიიღო.

ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო გაეროს „ბოსნიან“ კონფლიქტის მოგვარებისას კომპრომისზე წასულიყო. სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა რამდენჯერმე დაურეკა ბუტროს ღალის და შესთავაზა, გენერალური მდივნის უფლებამოსილებანი მომავალი წლის ნოემბრამდე გაეგრძელებინა. მაშინ მას 75 წელი შეუსრულდებოდა და ღირსეულად დატოვებდა თანამდებობას. მაგრამ ღალიმ ერთი წელი არასაკმარისად მიიჩნია და გადაწყვიტა ბრძოლაში ჩაბმულიყო.

უკვე დაიწყო აშშ-ს მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებთან — კრისტოფერი ესაუბრა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს, კავშირი აქვს ბონთან, ტოკიოსთან, ოტავასთან, კაიროსთან, მოსკოვთან. კულისებსმიღმა დიპლომატიური აქტიურობა თანდათან იზრდება, რადგან ძალიან ძნელია ყველასთვის სასურველი და მისაღები კანდიდატურის გამონახვა.

თუმცა, გაეროს წრეებში უკვე განიხილავენ ახალი „შეფის“ რამდენიმე სავარაუდო კანდიდატს. ვაშინგტონი უპირატესობას ანიჭებს იაპონელ სადაკო ოგატოს, რომელიც ამჟამად გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარია. პრეტენდენტები არიან აგრეთვე: გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე სამშვიდობო ოპერაციების დარგში, განას წარმომადგენელი კოფი ანანი, ირლანდიის პრეზიდენტი მერი რობინსონი, ნორვეგიის პრემიერმინისტრი გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდი, კანადელი მორის სტრონგი — 4 წლის წინ რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო ეკოლოგიური კონგრესის ორგანიზატორი, ჯაიანტა დხანაპალა — შეიარაღების კონტროლის სფეროს სპეციალისტი, შრი-ლანკას ამჟამინდელი ელჩი ვაშინგტონში.

ბოლო დროს ამ სიას ხშირად ამატებენ ისრაელის ყოფილი პრემიერმინისტრის შიმონ პერესის გვარსაც.

„ახალი“ პოლიტიკური ხანძრის შემოქმედი“ ბუტროს ღალი მიიჩნევს, რომ კარგ ფიზიკურ და ინტელექტუალურ ფორმაშია და, როგორც მიმომხილველები შენიშნავენ, ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებს. კითხვას კი, თუ როგორ წარმოუდგენია მას გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე ხელმეორედ არჩევა, როდესაც აშშ მზადაა ყველაფერი გააკეთოს მის საწინააღმდეგოდ, ღალიმ ასე უპასუხა: „ამერიკის პოზიცია შიდაპოლიტიკური ბრძოლის ლოგიკითაა ნაკარნახევი და ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვაშინგტონის აზრი, შესაძლოა, შეიცვალოს“.

ირინე დეკანოიძე

* * *

1970 წლიდან მოყოლებული დღემდე ევროპის დიდ საერთაშორისო აეროპორტთა გარშემო დაფიქსირებულია ტროპიკული მალარიით დაავადების 30-მდე შემთხვევა. მალარიის კოღოები შემთხვევით შემოჰყავთ ავიალაინერებს ტროპიკებიდან.

* * *

ფინეთის მოსახლეობის აღწერის უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყნის ყველაზე ხნიერი მოსახლეები არიან ქალები, რომელთაგან ერთი 108 წლისაა, ხოლო მეორე — 105 —ის. შემდეგ მოდიან 104 წლის მამაკაცები და 103 წლის ქალები და მამაკაცები (სულ 7). 27 ფინელმა მიაღწია 102 წელს (მათგან მხოლოდ სამია მამაკაცი), 30-მა მიაღწია 101 წელს, 138-მა კი 100 წელს.

* * *

ამერიკის საპატენტო საზოგადოებამ დაიწყო ყველა ამერიკული პატენტის არქივის გამოცემა კომპაქტ-დისკებზე.

* * *

დედამიწის ყველაზე მსხვილი ცხოველია ლურჯი ვეშაპი, რომელიც გაქრობის პირასაა მისული. მთელ მსოფლიოში ახლა 1500-მდე ლურჯი ვეშაპია შემორჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე 20 წელია წითელ წიგნშია შეტანილი.

* * *

ბრიტანულმა რადიომაუწყებლობის კორპორაციამ განაცხადა, რომ ახალგაზრდობას ძალზე დაუქვეითდა სმენა. ეს დაკავშირებული უნდა იყოს ჯიბის მაგნიტოფონებთან, რომლებსაც როგორც წესი, ძალიან მაღალ ხმაზე უსმენენ.

* * *

ფრანგი კრიმინალისტები ვარაუდობენ ძვირფასი ნივთების, მაგალითად, სამუზეუმო ექსპონატების, სპეციალური ქიმიური ნივთიერებით დანიშვნას, რომლის სუნსაც ვერ გრძნობს ადამიანი, მაგრამ ადვილად აგნებს მეძებარი ძაღლი.

* * *

საფრანგეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 1875 წლის შემდეგ გამოსულ ფრანგული წიგნების ბიბლიოგრაფია გამოუშვა კომპაქტურ დისკებზე. მათი წაკითხვა შესაძლებელია პერსონალური კომპიუტერის ეკრანზე. თითოეულ ასეთი დისკი შეიცავს მონაცემების 380000 წიგნის შესახებ.

მოამზადა
**რუსუდან ამირეჯიბმა.**

რუსეთი

# დემოკრატიის ლებედისეული ხედვა

გუშინ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლებედმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც მშობლიური ენა კიდევ ერთი არმიული აფორიზმით „გაამდიდრა“: „ბოლოს იცინის ის, ვინც პირველი ისვრის“.

იგი შეეცადა „დაერწმუნებინა“ ჟურნალისტები იმაში, რომ მონსტრი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანია და გადაწყვიტა გაექარწყლებინა ხმები, თითქოს დამატებითი უფლებამოსილებების მიღებისკენ ისწრაფვის („ძალაუფლება, როგორც ძალაუფლება, მე არ მჭირდება“). მან ისაუბრა აგრეთვე, უშიშროების საბჭოს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, კერძოდ, არმიის რეფორმირების საკითხებზე.



ალექსანდრე ლებედმა შესთავაზა რუსეთის პრეზიდენტს, უარი თქვას საკადრო ნაწილების შენახვაზე, რომელთა პირადი შემადგენლობის მხოლოდ 25-30 პროცენტია დაკომპლექტებული და ეს ნაწილები შენახვის ბაზებად გარდაქმნას.

უშიშროების საბჭოს მდივანს აუცილებლად მიაჩნია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის დახმარების აღმოჩენა და იარაღის მსოფლიო ბაზარზე რუსეთის პოზიციების აღდგენა. პირველი რიგის ამოცანად, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს, ლებედმა ქვეყანაში კორუფციისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნია. კიდევ ერთი პრობლემა: მიგრაცია ახალი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან — უკვე ახლო მომავალში შემოღებული იქნება გამკაცრებული სავიზო და საპასპორტო რეჟიმი, თუმცა, ლებედმა იქვე განმარტა, რომ ამ ღონისძიებების გატარება სულაც არ ნიშნავს ახალი „რკინის ფარდის“ დამკვიდრებას.

მან ასევე მიზანშეწონილად ჩათვალა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კლასიფიკაცია რუსეთისადმი მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხისას გენერალმა დასძინა, რომ თავს არ თვლის „სრულ დემოკრატად“ და საკუთარ პერსონას „ნახევრადდემოკრატი“ უწოდა. მან აგრეთვე მოახდინა რუსეთის საპრეზიდენტო ინსტიტუტის შედარება „სატახტო მმართველობასთან“ და შენიშნა, რომ საპარლამენტო დემოკრატია არ შეეფერება მისი ქვეყნის პირობებს.

ტაჯიკეთი

# დაძაბულობა ავღანეთ-ტაჯიკეთის საზღვარზე

ტაჯიკეთში რუსეთის სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ინტერფაქსი იუწყება, რომ ტაჯიკეთის ოპოზიცია თანდათან ძალებს იკრებს. მათი 450 კაცამდე თავმოყრა დაფიქსირებულია ავღანეთის ტერიტორიაზე შიმას ტბის მიდამოებში და 500 მებრძოლამდე — ხოროგის სასაზღვრო რაზმის პასუხისმგებლობის ზონის პირდაპირ, ტაიშემის მიმართულებით. როგორც რუსეთის სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელი პავლე ტარასენკო აცხადებს, ორივე შეიარაღებული ფორმირება საზღვრის ხაზიდან 35-40 კილომეტრის დაშორებით იმყოფება. მისი თქმით, ამ რაზმებმა, საზღვარზე მასობრივი გადმოსვლის შემთხვევაში, შეიძლება, საკმაოდ სერიოზული საფრთხე შექმნან.

ჩეჩნეთი

# მოლაპარაკება «წყლის ნაყვად» მიაჩნიათ...

„რესპუბლიკაში ბევრი საქმეა და ჩვენ არ შეგვიძლია ხალხის სალაყბოდ მოცდენა“, — განაცხადა ჩეჩნეთის ხელისუფლების მეთაურის პრესმდივანმა რუსლან მარტაკოვმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა „მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესის მიმართ ოფიციალური გროზნოს ცივ ურთიერთობებს“.

მარტაკოვის თქმით, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრმა ნიკოლაი კოშმანმა ნოვი აგათაში ჩატარებულ შეხვედრას „ცარიელიდან სიცარიელეში გადასხმა“ უწოდა. კოშმანს მიაჩნია, რომ ფედერალურ დელეგაციას აღარაფერი აქვს სალაპარაკო და, ამის გარდა, ადრე მიღწეული შეთანხმებები რომ შესრულებულიყო, ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა ჩეჩნეთში მშვიდობის დასამყარებლად“.

მეორე მხრივ, პრესმდივანმა არ უარყო ინფორმაცია დოკუ ზავგაევისა და საველე მეთაურის შამილ ბასაევის შეხვედრის შესახებ. „ჩეჩნეთის ხელისუფლების მეთაურს საკმაოდ ხშირი კონტაქტები აქვს შეიარაღებულ ოპოზიციასთან. თუმცა, შეხვედრისას პოლიტიკური საკითხები კი არ განიხილება, არამედ იმის გარანტიები, რომ სეპარატისტებს მომავალში დევნის საფრთხე არ დაემუქრებათ. შეიარაღებული ოპოზიცია აცნობიერებს, რომ მალე ეს „მუსიკა“ დასრულდება და, თანაც, არა მათ სასარგებლოდ“, აღნიშნა რუსლან მარტაკოვმა.

მარტაკოვის თქმით, ფედერალურ დელეგაციასა და შეიარაღებული ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი დღეისთვისაა გადატანილი. მასზე განიხილება სამხედრო საკითხთა ბლოკი, ძალადობით დაკავებულ პირთა საკითხი და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ბედი. როგორც მარტაკოვმა აღნიშნა, „უკვე დაიწყო საუბარი გავლენის ზონებზე“.

КАВКАЗ-ПРЕСС

„ზოოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი“.
ტელეფონი: 74-36-62 , 74-12-16, 74-02-00

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.



## იყიდება

■ სამოთახიანი იზოლირებული ბინა ნაძალადევის რაიონში, კინო „საქართველოს“ წინ, გვაზაურის 3 ბ კორპუსი. პირველი სადარბაზო, პირველი სართული, ბინა 3. ლოჯის ქვეშ არის სარდაფი. საძინებლების მხრიდან აქვს 100 კვ.მ. მანქანის სადგომი. ტელ.: 61-26-77, კაშია.

■ სახლი მცხეთის რაიონის სოფ.ბიწმენდში, საგურამოდან 3 კმ-ში. ცენტრში, მაღაზიის უკან 2000 კვ.მ. მსხმოიარე ხეხილით. ბინა ახალი აშენებულია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-26-77.

■ 5-ოთახიანი ბინა იოსებიძის ქუჩაზე. მე-3 სართულზე. სარემონტო. საერთო ფართით 140 კვ.მ., ორი სანიტარული კვანძით. ფასი 45000 დოლარი. ტელ.: 36-34-77, ჭერი 2,75 მ.

■ სასწრაფოდ საკუთარი სახლი ორთაჭალაში, კეთილმოწყობილი, საცხოვრებელი ფართი 70 კვ.მ., ეზო და გარაჟი 80 კვ.მ., ტელეფონით და დიდი კაპიტალური სარდაფით. ტელ.: 72-26-31.

■ სასწრაფოდ მუხიანში ფირმა ოფისით 200 კვ.მ., აქვს კაპიტალური საწყობი 230 კვ.მ., ტელ.: 72-26-31.

■ ერთოთახიანი პრივატიზებული, იზოლირებული ბინა ფინური სამზარეულოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-48.

■ ოროთახიანი ბინა ხოლოლაკში გ.ქიქოძის 13 (ყოფილი ბაქრაძის), ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე. ტელ.: 98-20-13 (მზია).

■ სასწრაფოდ ოთხოთახიანი კაპიტალურად გარემონტებული ბინა ლოჯიით, ცხრასართულიანი სახლის მეორე სართულზე მეტრო „ვარკეთილთან“, ტელეფონით, სარდაფით, მანქანის სადგომით. ბინაში დამონტაჟებულია ავეჯი. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 73-64-44 (ნელი).

■ 3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა საერთო ფართით 68 კვ.მ., გიორგი ცაბაძის ყოფილი ტელმანის ქუჩაზე. საწყისი ფასი 16000 დოლარი. ტელ.: 98-22-89 ან 61-58-57.

■ სახლი მიწის ნაკვეთით 600 კვ.მ., სახლი ბელეტაჟზეა, ოთახი 30 კვ.მ., აივანი 20 კვ.მ., ნახევარი სარდაფით. ბაღი მსხმოიარე სხვადასხვა ხეხილით და ტალავერით. ფასი 2500 დოლარი.
ტელ.: 90-72-24.

■ მშენებარე არასტანდარტული ოთხოთახიანი ბინა 150 კვ.მ., მეშვიდე სართულზე. ცხრა სართული აშენებულია. დარჩა ერთი სართული და სახურავი. მისამართი: ზაქარიაძის ქ. 8. ტელ.: 51-66-67.

■ 2-ოთახიანი ბინა გადაკეთებული 3-ოთახიანად. ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-3 კვ., მე-6 კორპ, მე-2 სართული. კაპიტალური რემონტით. ტელეფონით.
ტელ.: 34-63-23.

■ 3-ოთახიანი იზოლირებული, ტელეფონიანი ბინა მეტრო „სარაჯიშვილთან“, ზარზმის ქუჩა 7. მეოთხე სართულზე. აქვს რკინის კარი და ღია დიდი ლოჯი. ფასი 7500 დოლარი. ტელ.: 39-01-81.

■ თუხარელის პროექტის გარემონტებული ბინა ავტოფარეხით. დიდი დიღმის მესამე მ/რ-ის დასაწყისში. ფასი 10000 დოლარი. ტელ.: 30-08-40.

■ აგარაკი ძველ კიკეთში ორსართულიანი, 8X8. მანსარდით, გასარემონტებელი. დახვეული კიბეებით, რკინის მოაჯირით. დიდი ნაკვეთით, უკან ტყეით, მიწის ფართობი 1500 კვ.მ., ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-55-11, იკითხეთ მამუკა, 72-20-91, იკითხეთ დათო.

■ ერთოთახიანი ბინა, ორი აივნით, 8-სართულიან სახლში, მე-2 სართულზე. ფასი 11000 დოლარი. ელიავას 39 ა. ტელ.: 36-84-38 (დღისით), 35-09-26 (საღამოს).

■ იშვიათი საგარაკო სამსართულიანი სახლი სოფელ კოტორაანთკართან, თბილისიდან 28 კმ-ზე, 600 კვ.მ. ეზო, შემოღობილია კარგი ლითონის ღობით, სამივე სართულზეა სანიტარული კვანძი, წყალი მუდმივად, ახალი უმაღლესი ხარისხის რემონტით, ცხელი წყლის და გათბობის მოქმედი სისტემით. სახლი გადახურულია უჟანგავი თუნუქით, მარანი ლამაზი ბუხრით, მეორე და მესამე სართულზე 35-35 კვ.მ. მარმარილოს იატაკიანი ვერანდებით, ძალიან მაღალი ხარისხის კარ-ფანჯრებით და საკეტებით, ფანჯრებზე დამონტაჟებულია ლითონის ძლიერი გისოსები, შიდა კიბეები — კოპიტისაა. ფასი 75000 დოლარი. ტელ.: 22-43-28, თემური.

■ ბინა ავლაბრის მეტროსთან. საცხოვრებელი ფართი 35 კვ.მ., დამხმარე ფართი 46 კვ.მ., საერთო ფართი — 100 კვ.მ., სარდაფი 10 კვ.მ., ფასი შეთანხმებით. ტელ.: 74-52-57.

■ ვაშლიჯვარში ოროთახიანი ბინა ლოჯით. საერთო ფართი 61 კვ.მ., ცხრასართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ტელ.: 93-55-69, იკითხეთ ციცო.

■ სამოთახიანი იზოლირებული კუთხის ბინა მიშენებით. ოთხსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. საბურთალოს ბაზართან. ცაგერის ქ. 3. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-52-86.

■ კერძო ორსართულიანი სახლი, ახალი გარემონტებული, საერთო ფართი 670 კვ.მ., მუხის პარკეტით. პირველი სართულის იატაკი მოპირკეთებულია იტალიური ფილებით. აქვს სამი სამზარეული, სამი აბაზანა, იტალიური სან-ტექნიკით და კაფელით. საუნით. სამი აუზი, სარდაფი და საკუჭნაოები. კეთილმოწყობილი ეზო და მანქანის სადგომით. ფანჯრები — გისოსებით. მეტრო „ავლაბრიდან“ 800 მეტრში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 73-68-36 (სამსახური), 51-80-00 (ბინა), იკითხეთ ეთერი.

■ საბურთალოს ცენტრში, იოსებიძის ქ. 63, სამოთახიანი კუთხის არასტანდარტული ბინა, საერთო ფართი — 100 კვ.მ., მე-8 სართული, ჭერი 3,3 მ., 2 სარდაფი — 26 კვ.მ., 3 აივანი, ტელეფონი, კონდიციონერი. უფასო მიშენება 60 კვ.მ., საწყისი ფასი 35000 დოლარი.
ტელ.: 37-60-22.

■ ვაკეში ოთხოთახიანი ბინა, აგრეთვე მეტრო ნაძალადევთან ერთოთახიანი ბინა. ტელ.: 23-24-59, გივი ან ბესიკი.

■ 3-ოთახიანი ბინა არასტანდარტულ სახლში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, მე-5 სართულზე. ტელ.: 31-74-24 ან 99-90-66, დემური. ფასი 125000 ლარი.

■ ოთხოთახიანი ბინა ბახტრიონის ქუჩაზე, ცხრასართულიანი სახლის მეშვიდე სართულზე, ძველი რემონტით, ტელეფონით, საწყისი ფასი 45000 დოლარი. ტელ.: 38-06-56.

■ ერთოთახიანი ბინა სანზონაში, მეხუთე სართულზე. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 61-60-35.

■ ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ბელინსკის 5-ში, თავისი სარდაფით და ტელეფონით, პირველ სართულზე. ბინის ნახვა ნებისმიერ დროს. ფასი 17000 დოლარი. ტელ.: 98-95-56, იკითხეთ ნუგზარ მაისურაძე.

■ სასწრაფოდ ოთხოთახნახევრიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, ცხრასართულიანი სახლის მე-2 სართულზე, მეტრო „ვარკეთილთან“. ტელეფონით, სარდაფით, მანქანის სადგომი ადგილით. ბინაში დამონტაჟებულია ავეჯი.
ტელ.: 73-64-44, ნელი.

■ ან ქირავდება 2-ოთახიანი იზოლირებული პრივატიზებული ბინა ვაკეში მრგვალ ბაღთან. ფართი 50 კვ.მ., აქვს შუშაბანდი 30 კვ.მ., მანქანის გასაჩერებლით და ტელეფონით. 30000 დოლარი, ტელ.: 36-46-60, თინა.

■ ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, მიცკევიჩის ქუჩაზე. მე-3 სართული, ფასი 81000 ლარი. ტელ.: 38-42-09.

■ 3-ოთახიანი ბინა საერთო ფართით 30 კვ.მ., ტელეფონით, ლოჯიით. ქავთარაძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 30-08-66.

■ ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა, საერთო ფართი 70 კვ.მ., გარემონტებული, ტელეფონით. თორმეტსართულიანის მე-9 სართულზე, ვაკის პარკთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-68-60, 22-84-95.

■ ოთახნახევრიანი გარემონტებული, ტელეფონიანი ბინა ვარკეთილის მასივში, მეტრო „ვარკეთილთან“ ხომლელის ქუჩა, მესამე მიკრორაიონი, მესამე კორპუსი, მეექვსე სადარბაზო, 101 ბინა, პირველი სართული.
ტელ.: 63-05-14, ვიქტორი.

■ მთაწმინდაზე ოროთახიანი ბინა ძმები ზუბალაშვილების (ყოფილი ათარბეგოვის) 34-ში. სასამართლოს გვერდით. ტელ.: 98-57-67, სახლი 99-05-33 (სამსახური).

■ სამსართულიანი სახლი-სახელოსნო, მშენებარე მე-4 სართულით (ან ქირავდება საზღვარგარეთის საელჩოსთვის ან ოფისისთვის), მისამართი: გამრეკელის ქ. № 37 (ნუცუბიძის ქუჩიდან) ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-13-72 ან 31-71-68, იკითხეთ ნინო ან ირა.

■ სახლი, ეზოთი (700 კვ.მ.), ყველანაირი ხეხილით, მსხმოიარე ვაზის ხეივნით. ტრანსპორტი გადასასვლელი ხიდიდან. ტელ.: 96-93-01.

■ სახლი ეზოთი ასურიძის ქ. 10, ლოტკინის გორაზე. ტელ.: 96-93-01.

■ ან იცვლება ერთოთახიან ბინაზე თბილისში, თანხის დამატებით, აგარაკი სოფელ ლულელებში, ცხვარიჭამიასთან ახლოს. ნაკვეთში ამოყვანილია კაპიტალური სახლისთვის სარდაფი, გადახურული 7X7. დაკომპლექტებული სართულის გადახურვით, ფილებითა და სხვა სამშენებლო მასალით.
ტელ.: 34-62-18.

■ ბათუმის ცენტრში, ბაზართან და ცენტრალური უნივერმაღის ტერიტორიაზე, ჭორჭაშვილის ქ. № 15 მე-2 სართული, 4-ოთახიანი, მაღალჭერიანი, პრივატიზებული ბინა, ტელეფონით და დამხმარე ნაგებობებით, საერთო ფართით 100 კვ.მ., ტელ.: ბათუმში 2-11-24, გულიკო ან რეზო, თბილისი 51-18-94, ფასი შეთანხმებით.

■ 3-ოთახიანი ბინა ნაკადულის 3 („ზემკის“ დასახლება, სამგორის რ-ნი) მე-3 სადარბაზო, მე-9 სართული 2 აივნით და ელექტროგამაცხელებლით. საერთო ფასი 90 კვ.მ., ყაველაშვილის პროექტი. ფასი 7500 დოლარი.

■ ოროთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა კარგ მდგომარეობაში — მეუნარგიას ქუჩაზე, 9-სართულიანი ახალი სახლის IX სართულზე (ვაგზლის ტერიტორიასთან ახლოს) ტელეფონით და ავტოსადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-08-63, 93-58-42, დღის საათებში, 23-70-49, საღამოს.

■ სამოთახიანი ბინა სანზონაში, მიშენებით, ტელეფონით, სარდაფით, ფასი 15000 დოლარი. ტელ.: 60-60-55.

■ კერძო ბინა (3 ოთახი) ჩხიკვაძის ქუჩაზე, ნაძალადევის რაიონში, ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე, აივნით, დიდი სარდაფით, აბაზანით, ტუალეტით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-35-36, ნანა ან ბიძინა.

■ საგარაკო ბინის ნაკვეთი თბილისიდან 30 კმ-ის დაშორებით სოფელ ორბეთში. ფასი 400 ლარი.
ტელ.: 38-36-17, გუჯა.

■ საბურთალოზე სამოთახიანი, იზოლირებული ბინა რვასართულიანი სახლის მე-4 სართულზე. მთლიანი ფართი 80 კვ.მ., ტელეფონით, ორი აივნით, სარდაფით, ავტოსადგომით. ფასი 28000 დოლარი. ტელ.: 98-42-79, 37-42-20, ნანა.

■ ამხანაგური ერთოთახიანი ბინა გარემონტებული, თავისი სარდაფით. აქვს გარაჟი, რომელშიც ეტევა ოთხი ავტომანქანა. გარაჟზე არის მოდგმული ერთი ოთახი (16 კვ.მ.) გარაჟის ძირში არის მარანი. ტელ.: 62-46-63, 68-93-84, ფასი შეთანხმებით.

■ ნაძალადევის რაიონში გადასასვლელ ხიდთან, ჩხიკვაძის № 5. 4-ოთახიანი ბინა 70 კვ.მ. ღია აივნით. სარდაფით. საწყისი ფასი 15000 დოლარი.
ტელ.: 95-35-36, ნელი.

■ სახლი პატარა გლდანში, ორი სართულით, 120 კვ.მ. მიწა 600 კვ.მ. 13 წლის ხეხილით. სახლი შემოღობილია რკინის მესერით. ტელ.: 39-15-11.

■ ოროთახიანი გარემონტებული ბინა, დიდი შუშაბანდით, ტელეფონით, სარდაფით, ფიროსმანის ქუჩაზე იტალიურ ეზოში, ფასი 15000 დოლარი.
ტელ.: 95-52-14, 95-02-76, ხათუნა.

■ კერძო ბინა ვაკეში. მცხეთის ქ. პირველი შესახვევი 17, 8 ოთახი, 800 კვ.მ. ეზოთი. ორსართულიანი, ზაზა ან კახა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-60-93.

■ ოროთახიანი ბინა დიდი ლოჯით, საცხოვრებელი ფართი 43 კვ.მ., ლოჯია 24 კვ.მ. ტელეფონით, მე-6 სართულზე. ტექნიკური უნივერსიტეტის პირდაპირ (საკაძის მოედანზე) ჭერი მაღალია, საწყისი ფასი 30000 აშშ დოლარი.
ტელ.: 37-55-14.

■ სასწრაფოდ ვარკეთილის მეტროსთან 4-ოთახიანი კაპიტალურად გარემონტებული ბინა 9-სართულიანი კორპუსის მე-2 სართულზე. ბინაში ჩამონტაჟებულია ავეჯი. გარაჟი კაპიტალური რემონტით. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 73-64-44, იკითხეთ ნელი.

■ ერთოთახიანი ბინა ბახტრიონზე. გრძელი აივნით, ტელეფონით, გოგირდის წყლით. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 30-06-43.

■ საბურთალოს ცენტრში იოსებიძის ქუჩაზე ხუთოთახიანი ბინა, სარემონტო, მე-3 სართულზე, საერთო ფართი 140 კვ.მ., ჭერი 23.75 სმ. ორი სანიტარული კვანძით. ფასი 45000 აშშ დოლარი. ტელ.: 36-34-77.

## ვცვლი

■ აგარაკს ოროთახიან ბინაზე თბილისში. აგარაკი იმყოფება თბილისის ზღვის თავზე. ოთხოთახიანი ბინა ბელეტაჟზე. ხეხილის ბაღით, ცალკე მიწის ნაკვეთით. ეზოში სხვა დამხმარე ნაგებობები დგას. შემოღობილია ქართული აგურით. შესაძლებელია აგარაკის გაყიდვაც.
ტელ.: 96-65-42.

■ ერთ და ოროთახიან ტელეფონიან იზოლირებულ ბინებზე ან ვყიდით ოთხოთახიან არასტანდარტულ ბინას ვერაზე პეტრიაშვილის ქუჩაზე (ფართი 70 კვ.მ.) ლვინის ქარხანასთან 10-15 მეტრში, 2 ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ საღამოს 6 სთ-ის შემდეგ:
29-40-94, 23-50-86.

■ სასწრაფოდ ახალ, მაღალი ხარისხის ნორკის ქურქს 48 ზომის, 6,5 ტონა ფურცლოვან ლითონზე (სისქე 1-3 მმ).
ტელ.: 34-72-36.

■ სამოთახიან ბინას, აგურის სახლის პირველ სართულზე, მოსკოვის გარეუბნიდან (25 წთ. სავალი კურსკის ვაგზლიდან) თბილისში ოთხოთახიან ბინაზე. მასხვებს ნუ შემოგვთავაზებთ.
ტელ.: 35-12-46, 93-14-31.

■ ერთოთახიან პრივატიზებულ ბინას სამგორის რ-ში ჯავახიძის ქ. №1, 9-სართულიან კორპუსის მე-5 სართულზე. ბინა გარემონტებულია. ოთახის ფართი 21 კვ.მ. ლოჯი 8 კვ.მ., სამზარეულო 8 კვ.მ., იატაკი პარკეტის, ვანაში და სამზარეულოში კაფელი, ტელეფონი, ახევე გარემონტებული სარდაფი. ვთხოულობ: ერთოთახიან ბინას იზოლირებულს კორპუსში საბურთალოს რაიონში.
ტელ.: 96-66-52, ჟანა.

■ 1,5-ოთახიან იზოლირებულ ბინას აშენებული ლოჯით, რომელიც მდებარეობს მეტრო ვარკეთილიდან 1000 მეტრის დაშორებით მეორე მიკრორაიონში (პლატო) კორპ. 22, ბინა 25. ნუცუბიძის პლატოს ან საბურთალოს რომელიმე კვარტლის იგივე მოცულობის ან ერთოთახიან ბინაზე. ტელ.: 31-14-58, 73-02-69, 73-59-26,
ცაალა, თამარი, ნინო.

■ 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას, რომელიც მდებარეობს მეტრო ვარკეთილიდან 70 მეტრ მანძილზე. ჯავახეთის ქ. № 6 კორპუსი, ბინა 30. თბილისის სხვა რომელიმე რაიონში 3 ან მეტ ოთახიანზე. ტელ.: 73-02-69, შოთა, 73-59-26, ნინო.

■ ერთოთახიან ბინას (ყაველაშვილის პროექტი) ოთახი 21 კვ.მ., ლოჯი 8 კვ.მ. კუთხის ბინას. სამმხრივ აივნება. სამგორის რ-ნი ჯავახიძის ქ. №1, 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. რემონტი გაკეთებულია, იატაკი პარკეტის, სამზარეულოში, ვანაში კაფელი, კარები რკინის, ტელეფონი, გარემონტებული სარდაფი. მსურს გავცვალო ბინა საბურთალოს რაიონში ერთოთახიან იზოლირებულ ბინაზე, კორპუსში.
ტელ.: 96-66-52, ჟანა.

■ 2-ოთახიან იზოლირებულ პრივატიზებულ ხუფთა ბინას 5-სართულიანი სახლის მე-4 სართულზე, დიღმის მასივში ბაზართან ახლოს, ერთოთახიან იზოლირებულ ბინაზე დიღმის მასივში, დიდუბეში ან საბურთალოზე პირველ, მეორე და ბოლო სართულს ნუ შემომთავაზებთ. დარეკეთ 51-11-47 ან 66-00-30.

■ ოროთახიან იზოლირებულ ბინას, ავნით მეტრო მარჯანიშვილთან ახლოს დავით აღმაშენებლის 95 ა, მე-2 სართული; ერთ და ოთახნახევრიან ბინაზე, სურვილი გვაქვს გავცვალოთ კგამსახურდიას (ყოფილი პეკინის), მთაწმინდის ან სოლოლაკის რაიონების მიდამოებში.
ტელ.: 96-72-01, იკითხეთ რუსუდანი.

■ ქუთაისში რუსთაველის პროსპექტზე პრესტიჟული ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე მდებარე კუთხის ნათელ ოროთახიან (ოთახები 20+15 კვ.მ., მიშენებული ლოჯი — 26 კვ.მ., ჭერი 3,50 სმ.), აივნიან, სარდაფიან, ტელეფონიან, პრივატიზებულ ბინას ქობილიში 1-1,5-ოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. ტელ.: 22-00-46, შაია.

■ 2-ოთახიან ბინას (ბელინსკის ქ.5), 30 000 ბოთლ შამპანურში. ნუგზარ მაისურაძე.

■ ვაჟა-ფშაველაზე ორ გარემონტებულ ბინას — ერთი ოროთახიანი, მეორე — ოთახნახევრიანი, 4 ან 3-ოთახიან ერთ ბინაზე. ტელეფონი: 39-56-93.

■ ერთოთახიან ბინას აშენებული ლოჯიით 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე ვარკეთილის 3ა... (მეტრო ვარკეთილიდან ერთ მეტრში) ვაჟა-ფშაველას IV, III, ... რტალში ან ნუცუბიძის ...
ტელ.: 31-14-58, 73-02-69, 73-59-26. ნინო.

■ ტიპიური პროექტის ერთოთახ... მაღალ ბელეტაჟზე ... პირდაპირ, ახევე ტიპიური ... ერთოთახიან ბინაზე მეტრო ... მიდამოებში თანხის დამატ... ველ და ბოლო სართულებს ნუ ... გვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06, ...

■ 5 ოთახიან გარემონტებულ ... რემონტებელ (საერთო ფართ... ბინებს დიდუბის პანთეონთან ... რაიონში მე-3 და მე-2 სართ... ავტოფარეხით, მანქანის დას... ადგილით, სარდაფით, ტელეფ... საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურ... (შესაძლებელია საკუთარი სახ... ვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ... ყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-...

■ თემქაზე მე-3 მიკრორაიონში ... პროექტის ოროთახიან ხუფ... (მე-7 სართული, უტელეფონ... დიდ დიღომში მე-3 მიკრო... ახალ ბინას (მე-16 სართულ... ხიან „ხრუშჩოვკაზე“, ვაჟა-ფშ... ნებისმიერ ადგილას. ტელ.: ... იკითხეთ ირა.

## ვიყიდი

■ ორ ან სამოთახიან ბინას საბურ... პირველ და ბოლო სართულს ნუ ... გვთავაზებთ — 15-დან 22 ათ... ლარის ფარგლებში. ტელ.: 37-...

■ იზოლირებულ ოროთახიან ბი... ნას ან იზოლირებულ კარგ ოთ... ჯით, ტელეფონით, მარჯანიშვ... ჩის მიდამოებში. გთხოვთ და... საღამოს საათებში. ტელ.: 66-8...

■ საბურთალოს ცენტრში ორ... ბინას 25000 ლარის ფარგლებ... 95-30-35, დღისით, 22-00-46, ...

■ ვარკეთილის, ახმეტელის ან სა... ლის მეტროსთან ახლოს არას... ტულ სამოთახიან ხუფთა ბინა... ფონით, მანქანის სადგომით ... და მაღალი სართულების გარდ... ლარის ფარგლებში. ტელ.: ... დღისით.

■ საბურთალოს ცენტრში 4-... არასტანდარტულ მაღალჭერ... მე-2, მე-5 სართულზე, 60000 ... რის ფარგლებში. ტელ.: 95-30-... სით, 23-35-53, საღამოს, თამ...

■ კომპაქტურ (პატარა) მექანიკურ... მანქანას. ქართული შრიფტი... თან ფასებში. ტელ.: 51-53-...

■ მუშა მდგომარეობაში მეორ... ჭანას 500 ლარის ფარგლებშ... 61-33-46. იკითხეთ ლორინა.

■ ერთოთახიან ბინას საბურთალ... როსთან ახლოს, 11000 ლარის ... ბში. პირველ და ბოლო სართ... შემომთავაზებთ. ტელ.: 38-18-...

■ როიალს. ტელ.: 22-46-49.

■ ერთოთახიან ბინას დიღმის ... ტელ.: 51-21-90, 51-25-01, ... რუსიკო ან გია.

■ 2-ოთახიან ხუფთა ბინას საბურ... 17 ათასი დოლარის ფარგლებშ... 39-84-23.

■ ერთ ან ოროთახიან ბინას საბურ... ზე. ტელ.: 39-01-81.

■ ბოლო დროს გამოშვებულ... მდგომარეობაში მყოფ „ზა... ცის“, „ტავრიის“ ან „ოკა-ს“ ... ტომანქანას ხელმისაწვდომ ... ტელ.: 39-75-58, იკითხეთ მ...

■ სასწრაფოდ ოროთახიან ხუფ... საბურთალოს ცენტრში (საბუ... და ანაგის ქუჩების მიდამოებშ... დოლარის ფარგლებში. ტელ... 29, იკითხეთ დოდო.

■ სანადირო თოფს „იჟ-27“ — ... ბრის. ტელ.: 37-52-79 (საღამო... ში), 96-81-07 (რამაზი).

■ ფერად ტელევიზორს (ნახმა... მდგომარეობაში. ტელ.: 23-55-...

■ დუბლიკატის ქაღალდს დიდ ... ბით. დარეკეთ: 39-75-58. ... ლვა. დარეკეთ 14 საათიდან.

■ ოროთახიან ბინას 10000 ლარ... ლებში ტელ.: 23-26-84.

■ კალცინირებულ სოდას დი... ნოლის. ტელ.: 93-89-03. 10-დან ... თამდე.

■ 1,5 ან 2-ოთახიან ბინას მეტრო... ლოს. ტელ.: 22-12-07. ეხვაი...

## ვაქირავებ

- ერთოთახიან ბინას ვერაზე მაღალი ბელეტაჟით. ტელეფონი: 98-69-47, 23-07-23.
- მუხაძის 29-ში ვაკის პარკთან ახლოს 3 პატარა ოთახს, ავეჯით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. პირველ სართულზე. ტელ.: 23-17-31, დარეკეთ დილით ადრე.
- 2-ოთახიან ტელეფონიან სუფთა ბინას ლოჯით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. მაღალ ბელეტაჟზე. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან" ახლოს. ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-78.
- ოთახნახევრიან ბინას მეტრო „ღრმაღელესთან", 8-სართულიანი სახლის მეოთხე სართულზე. ტელეფონით, ავეჯით, აივნით. ფასი 100 დოლარი. ტელ.: 37-14-78, 37-77-97.
- მაღალჭერიან, არასტანდარტულ ერთოთახიან ბინას ლოჯით, ავეჯით, გარემონტებულ მდგომარეობაში, უნივერსიტეტის წინ, ვაკეში. ფასი 250 ლარი. ტელ.: 22-70-10.
- ერთოთახიან ბინას ავეჯით. გლდანის მესამე მ/რ-ში. ტელ.: 68-83-58.
- სამოთახიან აგარაკს ზემო წყნეთში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-54-02, ახმეტელი.
- ვერაზე ოთხოთახიან ბინაში ერთ ოთახს გოგონასთვის. თვეში 100 დოლარი. რამდენიმე თვის ერთად გადასახადი. ტელ.: 98-77-73.
- ერთოთახიან სუფთა იზოლირებულ ბინას მეტრო „ნაძალადევთან" (იქვე) 8 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ფასი 60 დოლარი. ტელ.: 66-36-37, 98-94-20, 66-15-78 (გოგი ან ნინო).
- ორსართულიანი კერძო სახლის პირველ სართულზე დამხმარე სათავსოებით, მეორე სართულზე 2-ოთახით და შუშაბანდით, საკუთარი ეზოთი და კაპიტალური გარაჟით, ტელეფონით, ნაძალადევის რ-ნში, მეტროდან 20 წთ-ის სავალზე. ფასი 100 ლარი. ტელ.: 66-36-37, 98-94-20, 66-15-78 (გოგი ან ნინო).
- წყნეთში ორსართულიან სახლს. ტელ.: 22-89-87.
- სამოთახიან ბინას ავეჯით 16-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ბალანჩივაძის ქუჩაზე. ყოფილი ხილიანის ქუჩის ბოლოში. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 39-29-75, 6- სთ-ის შემდეგ.
- ერთოთახიან აგარაკს ზედა წყნეთში, ეზოთი. გორგასლის (ყოფ. კიროვის) ქუჩა № 33. ტელ.: 22-26-42, 22-89-59.
- 3-4 წლის ვადით ხელშეკრულების საფუძველზე 3-ოთახიან გარემონტებულ, იზოლირებულ ბინას კერძო სახლის პირველ სართულზე. გამოიყენება ოფისისთვის. მეტრო ისანთან. ფასი 6300 ლარი. ტელ.: 74-25-09. იკითხეთ ზინა.
- 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას ავეჯით და გარაჟით. ტაბიძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-17-31, 90-71-98.
- 3-ოთახიან სუფთა ბინას ვაკის საცურაო აუზთან. 16-სართულიანი სახლის მეათე სართულზე. ტელ.: 22-74-34.
- 3-ოთახიან მაღალჭერიან ბინას თავისი ავეჯით, მაცივრით, ტელევიზორით, ტელეფონით. 3-სართულიანი სახლის მეორე სართულზე. იჟავახიშვილის ქ. №6 (ყოფილი კალინინის ქ. მოედანზე, სადაც №7 ტროლეიბუსის ბოლო გაჩერებაა). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-55-69.
- ოთხოთახიან ბინაში ერთ ოთახს ქალისთვის, ვერის უბანში ფილარმონიასთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-67-76, 22-43-50.
- აგარაკს კოჯორში (ორი ოთახი, ერთი სამზარეულო). წყალი და ტუალეტი ეზოში. ფასი 250 დოლარი. ტელ.: 99-81-63 (თამრიკო).
- ოროთახიან ბინას ლოჯით, ტელეფონით. მანქანის დასაყენებელი ადგილით. ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე, მაღალ ბელეტაჟზე (მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი", რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან). ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-78 ან 37-29-73.
- ტიციან ტაბიძის ქუჩაზე სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინას მანქანის სადგომით და ავეჯით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-17-31, 90-71-98.
- ოროთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას მესამე კვ. მე-12 კორპ., მეორე სართული. ტელ.: 31-83-35.
- უცხოელებზე. ოროთახნახევრიან, გარემონტებულ, იზოლირებულ ბინას 2-სართულიანი სახლის პირველ სართულზე. სარდაფით, ტელეფონით, უცხოური ავეჯით, კონდიციონერით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, ჩუღურეთის რ-ში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-04-46.
- ექვსი თვით მხოლოდ უცხოელებზე! სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ვერაზე (კოსტავას ქუჩა), უცხოური ავეჯით, ფერადი ტელევიზორით, მაცივრით, კონდიციონერით, ცხელი წყლით და ბალონის გაზით. ფასი 600 ლარი. ტელ.: 29-33-25.
- კერძო სახლს ზემო ვეძისში. ტელ.: 38-89-22.
- ოროთახიან ბინას ავეჯით, ტელეფონით, მაცივრით, ძველი რემონტით, ორმხრივი მიშენებით (ლია) ქავთარაძის ქუჩაზე იზოტოპებთან. ფასი 150 ლარი. ტელ.: 34-34-62 (12 სთ-მდე დილით და საღამოს 5 საათის მერე).
- ოროთახიან ბინას ავეჯით ნუცუბიძის მესამე მკ-რ-ში, მესამე კვ. მეშვიდე სართული (საბურთალოს ყოფილ რაიკომთან). ფასი 50 დოლარი. ტელ.: 36-46-47, 23-41-02.
- ერთოთახიან ბინას ვაკეში მოსაშვილის ქუჩაზე. ვაკის პარკთან ახლოს. ტელ.: 34-31-95.
- ოროთახიან ბინას ქავთარაძის ქუჩაზე, ტელეფონით და ავეჯით. ტელ.: 22-15-75.
- სარდაფს ვაკეში. შესასვლელი ეზოდან. ტელ.: 22-66-96.
- საგარაკე სახლს წყნეთში. ბინა ორსართულიანია, დიდი ეზოთი. მისამართი: წყნეთი, ტაბიძის 17. შესახვევი სახანძროსან. ტელ.: 22-85-17. მაყვალა.
- უცხოელებზე მაღალ ბელეტაჟზე, არასტანდარტულ, მაღალჭერიან ერთოთახიან ბინას ლოჯით. გარემონტებული, ავეჯით. ფასი 250 ლარი. თაყაიშვილის 4-ა, პირველი სადარბაზო, პირველი სართული, ბინა პირველი. ტელ.: 22-70-10.
- ოროთახნახევრიან ბინას, სარაჯიშვილის მეტროსთან, თვეში სამოცი ლარი. ტელ.: 39-14-52.
- აგარაკს წყნეთში, თამარ მეფის (ყოფილი კეცხოველის) ქუჩაზე — მეორე სართულზე, ერთი ოთახი შუშაბანდით, პირველ სართულზე სამზარეულო, ტუალეტი და დამხმარე ოთახი. იმავე შენობაში ქირავდება ოთახნახევარი ცალკე სამზარეულოთი და ტუალეტით. გვაქვს ტელეფონი. ტელ.: 22-71-54 (დალი).
- ოთახნახევრიან ბინას ტელეფონით მე-4 სართულზე 8-სართულიანში, და-ძმაზე, ცოლ-ქმარზე, დედა-შვილზე. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 39-44-82.
- ტაბიძის №90-ში სამოთახიან იზოლირებულ, კეთილმოწყობილ ბინას, მანქანის დასაყენებლით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-17-31, 90-71-98.
- ოროთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და ავეჯით ვაჟა-ფშაველას მეექვსე კვარტალში. ტელ.: 22-13-77.
- 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას ლოჯით, ტელეფონით, მანქანის სადგომით. 5-სართულიანი სახლის პირველ სართულზე. მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან. ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-78, 37-29-73.
- 27 კვ.მ. ფართის ორ ოთახს. ოფისისთვის ან კომერციული საქმიანობისთვის პირველ სართულზე. დავით აღმაშენებლის 171. ტელ.: 35-43-84 (ალბერტი, 18 საათის შემდეგ).

## ვაქირავებ

- ქართული პურის საცხობ თონეს ან თონესთვის გამოსადეგ სათავსოს. ტელ.: 39-86-39.
- ერთოთახიან ბინას მეტრო „ნაძალადევთან" ახლოს. ტელ.: 37-23-78, იკითხეთ ეკა.
- უცხოელს სურს სასწრაფოდ იქირაოს 5-6 ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯის გარეშე, გარაჟით ქალაქის ცენტრში. 2-3 წლით. ტელ.: 95-30-35 (დღისით), 23-35-58, 38-00-66 (საღამოს), იკითხეთ თამრიკო.
- 30 კვ.მ. ფართობის გასტრონომს ან შესაბამისი ფართის შენობას ქალაქის ცენტრში კომერციული საქმიანობისთვის. ტელ.: 29-28-77 (ბინა), 93-19-93 (სამსახ.) გოგი.
- ერთ ან ოროთახიან ბინას ვერა-ვაკის მიდამოებში, 100 დოლარის ფარგლებში. ვარ ერთი სტუდენტი გოგონა. ტელ.: 23-20-11 ან 23-38-96 (იკითხეთ ნანა ან მაიკო).
- ორგანიზაცია იქირავებს მსუბუქ ავტომანქანას მძღოლის გარეშე. ტელ.: 93-66-25.



## ავტობირჟა

- ვყიდი რუმინულ ორხიდიან მანქანას „არო". 1990 წლის გამოშვება, ბენზინზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-45-74.
- ვყიდი ყავისფერ პერლამუტრ „ოპელსენატორს" — ავტომატიკით, 1987 წლის გამოშვება. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-45-03.
- ვყიდი „გაზ-53" მარკის ავტომანქანას გამოშვებული 1990 წელს. გარბენილი აქვს 25000 კმ. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ მისამართზე: აკწერეთლის გამზ. 77ბ, მეორე სადარბაზო, ბინა 27. ტელ.: 35-04-25, არჩილი.
- ვყიდი სასწრაფოდ 1981 წლის თეთრ მერსედესს ავტომატიკა. კარგ მდგომარეობაში. ფასი 4500 ლარი. ნაღდი ან გადარიცხვით. ტელ.: 34-72-36.
- შევიძენ ყველა სახის ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს. ტელ.: 37-38-54, გივი, 34-39-68, ნოდარი.
- ვყიდი თეთრი ფერის ვოლგას გაზ-21, ფასი 700 დოლარი. ტელ.: 37-21-33, იკითხეთ ბორისი.
- ვყიდი „ბმვ"-ს 1985 წლის გამოშვება. ძალიან კარგ მდგომარეობაში 5 დამატებითი საბურავით და დისკებით. საწყისი ფასი 6000 ლარი. ტელ.: 36-38-55, 36-07-08.
- ვაქირავებ ლითონის გარაჟს ორმოთი ბეკინის ქუჩაზე „ორბიტასთან". ფასი 30 ლარი თვეში. ტელ.: 37--38-49.
- შევიძენთ ყველა სახის ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს. ტელ.: 37-38-54, გივი, 34-39-68, ნოდარი.
- ვყიდი ავტომანქანა ვაზ 21-21, გამოშვებული 1990 წელს, თეთრი ფერის, კარგ მდგომარეობაში (ვყიდით როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით). ტელ.: 51-45-52.
- ვყიდი მანქანას მაზდა-626, კარგ მდგომარეობაში. გამოშვებულია 1986 წელს, ევროპული ვარიანტი. ტელ.: 39-12-90, იკითხეთ გია, საღამოს.
- ვყიდი 06 მარკის ავტომანქანას, თავისივე მატორით, 12 წლის, კარგ მდგომარეობაში. ტელ.: 95-13-13, ფასი შეთანხმებით.
- ვყიდი თეთრი ფერის 6 წლის ავტომანქანა „ტავრია" (კარგ მდგომარეობაში). ფასი 1200 დოლარი. ტელ.: 93-14-65, იკითხეთ თემური.
- ვყიდი 1985 წლის გამოშვებულ ავტომობილს „ოპელ-კადეტს" ფურგონით, (დიზელზე), კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით ტელ.: 39-17-25, 39-43-85.
- ვყიდი 1983 წლის გამოშვებულ ვაზ-2106 03-ის ძრავით. მუშა მდგომარეობაში. ფასი 1600 ლარი. ტელ.: 23-54-54.
- ვყიდი ავტომანქანა „მაზდას". შვიდნახევარი წლის, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-55-78.
- ვყიდი ძარას (კუზავი) „მოსკვიჩ-2141". ტელ.: 22-17-33, ოთარი.
- ვყიდი შეღავათიან ფასში ვაზ-05, ვაზ-07, ვაზ-08 მანქანის სათადარიგო ნაწილებს. ტელ.: 66-02-01.
- ვყიდი სასწრაფოდ ა/მანქანას „ფორდ სკორპიო" 1986 წ. გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში, ფერი ცისფერი პერლამუტრი, საწყისი ფასი 5800 დოლარი. შეიძლება გაცვლაც. ტელ.: 22-38-52, იკითხეთ დათო.
- ვყიდი მსუბუქ ა/მანქანის მისაბმელს და მოტობლოკის მისაბმელს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-02-33.
- ვაქირავებ რკინის გარაჟს ორმოთი ბეკინის ქუჩაზე თვეში 25 ლარად. ტელ.: 37-38-49.
- ვყიდი ა/მანქანა ვოლგას ГАЗ-21. ფასი 900 დოლარი. ტელ.: 37-21-33. იკითხეთ გია.
- ვყიდი ხუთსიჩქარიან კოლოფს, ქარხნული, ახალი, ვაზ 09, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-44-65, 93-47-66, იკითხეთ კახა.
- ვყიდი ძრავს „იფ-56" თავისი „ისპარიტელებით", კარგ მდგომარეობაში. ფასი 350 ლარი. ტელ.: 31-31-79, 93-55-14.
- ვყიდი უაზ-452 სატვირთო, 1990 წელს გამოშვებული. გავლილი აქვს 36000 კმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-89-62, იკითხეთ კაკო.
- ვყიდი ან ვცვლი სასწრაფოდ ბინაზე ავტომანქანას „Маз-504". კარგ მუშა მდგომარეობაში. ავტომანქანის ნახვა შეიძლება ყოველდღე გლდანის გადასახვევთან სატვირთო ავტომანქანების ბაზრობაზე 8-დან 22 საათამდე. ავტომანქანის ნომერი 73-73 ГАУ. ტელ.: 38-52-06.

## სხვადასხვა

- ვყიდი კონდიციონერს БК-2000, ფასი 120 ლარი. ტელ.: 95-48-62, მარინა.
- ვყიდი სასადილო გარნიტურს, ბეჟი ფერის, ახალს, ვიტრინას, დესაოს, მაგიდას და 8 სკამს, ფასი 12000 ლარი. ტელ.: 22-71-80.
- ვყიდი ნატურალურ თაფლს (აკაციის და ცაცხვის), ფასი 8 ლარი. ტელ.: 22-42-99 (იკითხეთ რამაზი).
- ვასწავლი გიტარაზე დაკვრას. სწავლების გარანტიით. მოკლე ვადებში პოპულარულ ქართულ სიმღერებს და კლასიკას. ტელ.: 96-34-51, 96-22-33.
- ვყიდი სასწრაფოდ ავეჯს — სამზარეულო „ნონა", რუმინული ვიდეო მაგნიტოფონი „პანასონიკი" — ჟ 50", ტელევიზორი „პანასონიკი" ეკრანი 72 სმ, ტელევიზორი „რადუგა 716" დეციმეტრული, ფერადი. ტელევიზორი „იუნოსტი" შავთეთრი მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. კონდიციონერი „БК-1500", სარეცხ მანქანას „ვოლნა", საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით, ფეხის საკერ მანქანას „ჩაიკა 2M". წყლის გამაცხელებელს ატმორს ისრაელის გამოშვება. ტელ.: 72-26-31.
- ვყიდი იაპონური წარმოების მტვერსასრუტს „ნაციონალი"; წვენების საწურ „მულინექსს"; იაპონურ ჩაის მუხიკალურ სერვიზს 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-34-46.
- ფირმა იყიდის უცხოურ ჰურჯელს. ტელ.: 95-94-70.
- ვყიდი პიანინოს „როინიში", ფასი 1000 დოლარი. ტელ.: 95-73-37.
- ვყიდი ახალ მაცივარს „სნაიგე 117", წარმოებული ლიტვაში, მსოფლიო სტანდარტების დონეზე, დიდი გასაყინი კამერით, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-04-05.
- ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს (ნიფარა კომპლექტში) და სამზარეულოს მაგიდას თავისი ოთხი სკამით. ტელ.: 98-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური), მაია.
- ვყიდი იუგოსლავიურ „კედელს" ბალიების გარეშე, სუფთა ხე. ფასი 1200 დოლარი, ტელ.: 99-05-33 (11-დან 4 სთ-მდე), 73-19-26 (4-დან ნებისმიერ დროს). იკითხეთ თამრიკო.
- ვყიდი გერმანულ კაბინეტს, ლ-2 მარკის კაკლის ხისგან დამზადებული. გამოშვებული 1956 წელს, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-71.
- ვყიდი შავი ფერის ანტიკვარულ ნახევრადსაკონცერტო გერმანულ როიალს „შრედერს", საიუბილეო გამოცემას, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-25-21.
- ვიღებ დაკვეთას — ვწეწავ და ვრეცხავ მატყლს, შევკერავ ლეიბსა და საბანს. ტელ.: 31-63-47, მარიკა.
- ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს, ნიჟარას, სამზარეულოს მაგიდა-სკამებით და შვიდეული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-05-33 (დღისით), 93-40-35, 98-57-67 (საღამოს).
- ვასრულებ ელექტროშეკეთებით სამუშაოს. ტელ.: 37-58-27, საღამოს საათებში.
- ვყიდი ფერად კინოფირებს 8-მილიმეტრიანი, სუპერი და ახალი ველოტრენაჟორს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-35-36, 29-27-67.
- ვყიდი ინგლისური ჯიშის კოკერ-სპანიელის ლეკვებს შავი ფერის. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 51-19-12.
- ვამზადებ მოსწავლეებს რუსულ ენაში. ვასწავლი სალაპარაკო ენას. ხარისხი უზრუნველყოფილია. ტელ.: 71-81-93.
- ვყიდი პიანინოს „კრასნი ოკტიაბრი" 33 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-46-60, თინა.
- ვყიდი შალის გერმანულ ხალიჩას „სუპერი" 3,5-2,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 31-46-39, გოცირიძე.
- ვყიდი საქსოვ მანქანას „ნევა-3". საწყისი ფასი 200 დოლარი. ტელ.: 71-70-06.
- ვთარგმნი ნებისმიერ ტექსტს ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. 1 გვერდის ფასია 2 ლარი. ტელ.: 23-24-75.
- ვყიდი მაცივარს „ტ-125": ექვსკარიანი, ახალი. ზომა: სიმაღლე — 2,10 მ, სიგანე — 1,70 სმ. ფასი 1250 [illegible]. ტელ.: 22-79-66.
- ვყიდი გერმანულ კედელს „კლოტზერი", ხუთნაჭრიანი. ზომა 4,40 სმX2,40 სმ. ჟურნალის მაგიდას და ორ სავარძელს, კარგ მდგომარეობაში, ფასი 1000 ლარი. ტელ.: 22-79-66.
- ვყიდი გასაშლელ დივანს, ორსაწოლიანს, უნგრული წარმოების, [illegible] ჩასაწყობით, 2 სავარძლით და ჟურნალის მაგიდით. ფასი 250 ლარი. ტელ.: 22-79-66.
- ვყიდი 1,7 ტონა ტევადობის რკინის კასრს, იაფად. ტელ.: 66-37-41, 23-26-47, 34-47-61.
- ვყიდი კაპიტალურ გარაჟს ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე 66 (მეცხრე საავადმყოფოსთან). ტელ.: 22-37-09.
- მოვამზადებ აბიტურიენტს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში. აჩქარებული ტემპით (შეიძლება ბინაზე მისვლითაც). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-13-53.
- ვყიდი ავეჯს: გერმანულ საძინებელს, პიანინოს „ბელარუსი", ვენურ სკამებს, ტელევიზორს, „საიუნგი", გასაშლელ დივანს. ტელ.: 96-46-01.
- ვყიდი „ქართულ მწერლობას", 8 ტომი, „ქართულ პროზას" — 19 ტომი, საბავშვო ბიბლიას ინგლისურ ენაზე, ამერიკაში გამოცემულს, ილუსტრირებულს, ვებსტერის დიდ ლექსიკონს (ილუსტრირებულს — 20000 გვერდი). ტელ.: 23-40-32.
- ვყიდი პირველი გამოშვების პიანინოს „საქართველო", შავი ფერის. ფასი სკამით 250 ლარი. ტელ.: 95-26-85.
- ვყიდი გერმანულ სალონის პიანინოს „ბლიუტნერი" (1912) საუკეთესო მდგომარეობაში, ყოველგვარი ნაკლის გარეშე. მიღებული აქვს მედლება. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-64-69.
- ინგლისური ენის თარჯიმანი თარგმნის ნებისმიერ ტექსტსა და ლიტერატურას. ერთი გვერდის ფასი 3 ლარი (ბეჭდვის გარეშე), 5 ლარი (ბეჭდვით). ტელ.: 34-66-02, დღის საათებში.
- ვყიდი ქართულ მწერლობას 9 ტომი, 45 ლარი; გრიშაშვილის ხუთი ტომი, 20 ლარი; გამსახურდიას 10 ტომი, 45 ლარი. საბავშვო ბიბლიოთეკას 8 ტომი, 45 ლარი. იჯავახიშვილის 20-ტომეულის 5 ტომს, 20 ლარი. ტელ.: 23-18-15, 23-20-05.
- ვყიდი სასწრაფოდ პურის მექანიკურ საცხობს (გამსახურდიას ტიპი) შვიდფრთიანი, ახალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-07-16 (საღამოს საათებში).
- ვყიდი სასწრაფოდ ხის დასამუშავებელ უნივერსალურ დაზგას კრასნი მეტალის (შალაშინის — რეისმური). ტელ.: 30-07-16.
- ვყიდი ისტორიული მნიშვნელობის ანტიკვარულ ბუხარს. დამზადებული აშშ-ში. ტელ.: 31-29-04.
- ვყიდი ჩეხური წარმოების პიანინოს ფირმა „პეტროფი". ფასი 600 დოლარი. ტელ.: 37-36-34.
- ვყიდი საწერ მაგიდას „ტულპანი". ფასი 250 დოლარი. ტელ.: 98-22-89, 61-58-57.
- ვყიდი უცხოური წარმოების „გორკას" ორი ცალი და ოცეულს „რომეო და ჯულიეტა". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-96-97.
- ვყიდი რუმინულ სასადილოს „ბოგდანა"; გერმანულ „სამეულს"; გერმანულ სადილის სერვიზს; 16-სანთლიან არაბულ ჭაღს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-17-47.
- ვყიდი მუშის ტანსაცმელს (пецовка) 2000 ცალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-82-02. იკითხეთ დათო.
- მოვემსახურები მანქანით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-93-01, ამირანი.
- ვყიდი სამეულის ხელით ნაქსოვ გადასაფარებელს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-74-68.
- ვასწავლი სალაპარაკო ენას რუსულსა და ინგლისურში. ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში. ტელ.: 96-28-94.
- ვყიდი კონდიციონერს — ბკ-1500; სარეცხის მანქანას, ვანას; საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით; ფეხის საკერავ მანქანას — „პოდოლსკი-22"; წყლის გამაცხელებელს; 5-კილოვატიან, სუპერს, ისრაელის გამოშვება. ტელ.: 72-26-31.
- ვყიდი სასწრაფოდ, შეღავათიან ფასში სამზარეულოს „ნონა" — რუმინეთის; ვიდეო მაგნიტოფონს „პანასონიკი" — „ჟ-50", ტელევიზორს „პანასონიკი", ეკრანს — 72 სმ; ტელევიზორს „რადუგა"-716 — დეციმეტრული, ფერადი; ტელევიზორს — „იუნოსტი-406", დეციმეტრული, შავ-თეთრი. მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. ტელ.: 72-26-31.
- ვყიდი გერმანული წარმოების ანტიკვარულ თოფს „ზაუერი", ორლულიანი, ლულები განლაგებულია ჰორიზონტალურად, კალიბრი № 16. ფასი 600 დოლარი. ტელ.: 95-89-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

# ივნისის თვის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების კალენდარი

2 — რუსთავის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს გურამ ქაშაკაშვილი.
3 — კისლოვოდსკის შეხვედრაზე საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია „კავკასიაში ეროვნებათშორის თანხმობის მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ".
3-4 — საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორი ჯეიმს გუსტავ სპეთი.
4-5 — შედგა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.
6 — ჩატარდა რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.
— საზეიმოდ დაიხურა „თბილისური გაზაფხული-96".
10 — გურიის რეგიონში მოხდა მიწისძვრა, რომელსაც მსხვერპლი და ხერიოზული ზარალი არ მოჰყოლია.
11 — საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ".
11-13 — საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი.
12 — საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუშიშროების განმტკიცების შესახებ" და „საქართველოს რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულებების რატიფიკაციის თაობაზე.
14 — პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გადადგომა ითხოვა რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რევაზ შავიშვილმა.
— საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურის ცენტრებთან, დაწესებულებებთან, ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ".
15 — რესპუბლიკაში დაიწყო პურის ფასების ლიბერალიზაცია.
19 — საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ კატეგორიულად უარყო რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლებედის მიერ მისი მისამართით გამოთქმული ბრალდებები.
21 — ჩატარდა მევენახეთა და მეღვინეთა რესპუბლიკური თათბირი.
24 — საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება „საქართველოში საბაჟო საქმის გაუმჯობესების, საბაჟო სისტემის რეორგანიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა და საერთაშორისო ტვირთზიდვის სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ".
25 — ფუნქციონირება დაიწყო თბილისის განახლებულმა აეროპორტმა.
— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ათენს გაემგზავრა, საბერძნეთის ყოფილი პრემიერმინისტრის ანდრეას პაპანდრეუს დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.
26 — საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს შექმნის შესახებ" და „საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შექმნის შესახებ".
28 — საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ", „გრანტების შესახებ", „იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) შესახებ" და დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ.
— საქართველოს პარლამენტმა ტრანსპორტის მინისტრად დაამტკიცა მერაბ ადეიშვილი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრად — დავით ზუბიტაშვილი, ხოლო კონტროლის პალატის თავმჯდომარედ — რევაზ შავიშვილი.

# ივნისი – თვალის ერთი გადავლებით...

განვლილი თვის განმავლობაში რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრი პარლამენტში მდებარეობდა. ხოლო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან წამოსული იმპულსების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში, ძირითადად, დამთავრდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზმის ძირითადი ნაწილების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესი და ამიერიდან იწყება არანაკლებ რთული „ეპოქა" — მათი გაწონასწორების, უნიფიცირების და „მშვიდობიანი თანაარსებობის" მტკივნეული პერიოდი.

ახლა, როდესაც სახეზე გვაქვს კლასიკური მოდელის მიხედვით დანაწევრებული (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ხელისუფლება, რომლის თითოეული შტო უკვე საკუთარ „ტრადიციებს" უყრის საფუძველს, ამ შტოების სრულყოფის (ორი ახალი სამინისტროს შექმნა, საკონსტიტუციო სასამართლოს თანდათანობითი დაკომპლექტება, საბაჟო საქმის რეორგანიზაციისთვის ხელშემწყობი ბრძანებულების გამოცემა და ა.შ.) პარალელურად, უნდა დაიწყოს „სახელმწიფომობილისთვის" ტრასის ბარიკადებისგან (მექრთამეობა, ორგანიზებული დანაშაული, ბიუროკრატიზმი, დილეტანტიზმი...) გაწმენდის უმძიმესი სამუშაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რევერსიული ძალა კვლავ იმ ეპოქაში დაგვაბრუნებს, როდესაც ქართველი რეინჯერსები და კომანდოსები დემოკრატიის სტანდარტებს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ და „ახალ საქართველოს" „რევოლუციის სახელით" აშენებდნენ.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საპარლამენტო სტრუქტურების მიზანმიმართული მუშაობა, რადგან საკანონმდებლო ბაზის სრულყოფით, კონტროლის რიგი ბერკეტების გამოყენებით, პარლამენტს მუდამ შეუძლია „წაახალისოს" ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ტენდენციები და წინ აღუდგეს ნეგატიურ პროცესებს.

ამ კუთხით შეფასებები ცალკე საუბრის თემაა. აქ კი მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ განვლილ თვეში საგაზაფხულო სესიის დასრულებით დეპუტატებმა „პირველი სემესტრი" დახურეს, რომლის დროსაც ქვეყნის საკანონმდებლო ყულაბაში 57 ახალი კანონი და ორასზე მეტი დადგენილება „ჩაუშვეს".

გასულ თვეში „შუალედურ ფინიშთან" კიდევ ერთი პროცესი — პრივატიზაცია — „მიიჭრა": დამთავრდა ვაუჩერებით „მანიპულირება" და იწყება კანონიერი თუ უკანონო გზებით მიღებული ქონების დაკანონება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსახელმწიფოებრიობის „სიკეთით" მხოლოდ მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმა ისარგებლა, რომელმაც გროშებად შეიძინა სახელმწიფოს მიერ 30 ამერიკულ დოლარად შეფასებული ვაუჩერი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის კი თავის „წილის" მაჩვენებელი ფურცელი მალე ფარატინა ქაღალდად იქცა და თავისი ნომინალური ღირებულების მეხუთედ ფასში გაიყიდა. ასე, რომ, ძნელი დასაჯერებელია, თითქოს ვაუჩერიზაციამ ხელი შეუწყო საქართველოში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. მან, ალბათ, პირუკუ პროცესი — მდიდრებსა და ღარიბებს შორის ქონებრივი დისპროპორცია უფრო გააღრმავა.

რაც შეეხება საქართველოს უმნიშვნელოვანეს, შიდასახელმწიფოებრივ „ფრონტს" — აფხაზეთს — ამ მიმართულებით ივნისში რაიმე თვალშისაცემი, კარდინალური ცვლილება არ მომხდარა: როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ისე სეპარატისტების ლიდერებმა „წუთშესვენება" აიღეს, რადგან მთავარი ძალა, რომელსაც ხელეწიფება კონფლიქტის დარეგულირება, თავად დგას არჩევანის წინაშე — დღეს პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო წყვეტს, საბოლოოდ ჩადგეს მსოფლიოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგებში თუ კვლავ „წითელ გარიგებს" დაელოდოს...

„რუსულ რულეტკაზე" ფსონები ქართული და აფხაზური მხარე უკვე კარგახანია ჩაიდა — თუ საქართველოს პოლიტიკური ელიტა დაუფარავად უცხადებს თანადგომას რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება რეტროგრადულ ძალებს შესციცინებს თვალებში...

**გიორგი ასანიშვილი**

რუსეთი

# დღეს გადაწყდება, შეელევა თუ არა რუსეთი ნამგალსა და უროს

პირველი გვერდიდან

მოჰყვა. ძირითადი კი მაინც პირველი ტურის შემდეგ „აღზევებული" გენერალ ლებედის უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნა და თავდაცვის მინისტრობიდან პაველ გრაჩოვის გათავისუფლება იყო. ამით ელცინმა, ლებედის მომხრეთა გარდა, მისი საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილო ელექტორატის გულიც მოიგო. თუმცა, იქვე შენიშნა, რომ სახელმწიფო პოსტებით არასოდეს უვაჭრია და არც არავის მისცემს ამის უფლებას და, რომ გენერალ ლებედის დანიშვნის ბრძანებას ხელს აწერს არა ერთი კაცი, არამედ ის მილიონობით ამომრჩეველი, რომლებმაც 16 ივნისს მას მისცეს ხმა. არჩევნების მეორე ტურის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით კი ელცინმა განაცხადა: „თუ რუსი ხალხი გადაწყვეტს, მხარი დაუჭიროს ქვეყნის მიერ ხუთი წლის წინ აღებულ კურსს, მაშინ რუსეთის ეკონომიკა მხოლოდ წელს მიიღებს არანაკლებ 300 ტრილიონ რუბლს და ათ მილიარდ დოლარს ინვესტიციების სახით... ზიუგანოვის პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, მსგავსი არაფერი მოხდება. რუსეთის კომუნისტური პარტიის ეკონომიკურ დაპირებათა უმრავლესობა არარეალურია".

თავად გენადი ზიუგანოვმა მოკავშირეების ძებნას (შეიძლება იმიტომაც, რომ მათი იმედი ნაკლებად აქვს) ჟურნალისტებთან ხშირი შეხვედრები არჩია და პრესკონფერენციებზე, ძირითადად, ბორის ელცინის მიერ ამჟამინდელი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას. „რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ხელმძღვანელებს პირდაპირ მიეცათ დავალება, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეთ, 3 ივლისს უზრუნველყონ მოქმედი პრეზიდენტის გამარჯვება. ასეთივე მითითება აქვთ უწყებების, სამინისტროებისა და რიგი სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელებს", — აცხადებდა ზიუგანოვი და დასძენდა, რომ ელცინის წინასაარჩევნო კამპანიას უკვე რამდენიმე ტრილიონი რუბლი „შეეწირა". მიმომხილველები იმასაც შენიშნავენ, რომ ასეთი გამოსვლებით, ზიუგანოვი თავის მომხრეებს აშკარად წაგებისთვის განაწყობს. თუმცა, მაინცდამაინც ეიფორიაში არც ბორის ელცინი უნდა იყოს. ორივე მოწინააღმდეგე ფრთხილობს და ცდილობს, ნაკლებად „დატკბეს" მომავალ გამარჯვებასთან დაკავშირებული სიამოვნებით.

მეორე ტურის შედეგებს, ამომრჩეველთა აქტივობა განსაზღვრავს — ეს ცხადია. ამიტომ, ამ მხრივ, ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი ძალები და ფედერაციის რომელი სუბიექტები უჭერდნენ მხარს ელცინსა და ზიუგანოვს პირველ ტურში.

ბორის ელცინის გამარჯვება, პირველ ტურში, განაპირობა იმ დემოკრატიული და ცენტრისტული მიმართულების ამომრჩეველთა მხარდაჭერამ, რომლებმაც რუსეთის პარლამენტის არჩევნების დროს ხმა მისცეს შემდეგ ბლოკებს: „რუსეთის ქალები", „წინ, რუსეთო!", „სტაბილური რუსეთი", „სოციალ-დემოკრატები", აგრეთვე, ივან რიბკინის საარჩევნო ჯგუფს. მათმა მხარდაჭერამ ელცინს მინიმუმ 19-დან 26,7 მილიონამდე ხმა მოუტანა. ამას დაემატა კიდევ 5,9 მილიონი ამომრჩეველი, რომელთაც დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა, 1,8 მილიონი ხმა რუსეთის პრეზიდენტმა კი „ეროვნულ-პატრიოტულ" ძალებს „აართვა".

ოლქებისა და მხარეების მიხედვით, ბორის ელცინმა რუსეთის ფედერაციის 46 სუბიექტში პირველი ადგილი დაიკავა. თუმცა, ბევრგან, მისი უპირატესობა, ზიუგანოვთან შედარებით, უმნიშვნელო იყო. მეორე ტურის ფინალისტებს შორის მაქსიმალური სხვაობა, 13 ტერიტორიულ ერთეულში, 5 პროცენტს არ აღემატებოდა.

გენადი ზიუგანოვს მხარი დაუჭირა 24,2 მილიონმა ამომრჩეველმა, რაც ზუსტად ემთხვევა ხმათა იმ რაოდენობას, რომელიც რუსეთის ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას მიიღეს კომუნისტური მიმართულების პარტიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. როგორც ჩანს, მან ვერ შეძლო ფართო საარჩევნო ბლოკის შექმნა და თავისი ელექტორატის რაოდენობის გაზრდა. ხმათა მაქსიმალური რაოდენობა ზიუგანოვმა 43 ოლქსა და მხარეში მიიღო.

ალექსანდრე ლებედმა 11 მილიონი ამომრჩევლის ხმა მოაგროვა. ეს კი 3,5-ჯერ აღემატება დეკემბერში მისი ორგანიზაციის — რუსულ თემთა კავშირის — მიერ მოგროვილ ხმებს. ამ „ახალი" ხმების ძირითადი ნაწილი ლიბერალ-დემოკრატებისა და სხვა ნაციონალური ძალების ხარჯზე მოდის. მაგრამ ლებედის აქტივში არის ისეთი ხმებიც, რომლის იმედიც, თავის დროზე, ზიუგანოვსა და ელცინსაც ჰქონდათ. აქ, ძირითადად, სამხედროები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის თანამშრომლები იგულისხმებიან. ამასთან, ლებედმა, პირველი ადგილის დაკავება ვერსად მოახერხა.

გრიგორი იავლინსკის 5,55 მილიონმა ამომრჩეველმა მისცა ხმა. ეს კი „იაბლოკოს" მიერ დეკემბერში დაგროვილ ხმებზე მხოლოდ 0,7 მილიონითაა მეტი. ასე რომ, ახალი ძალების მიმხრობა ვერც მან შესძლო.

სტრატეგიული თვალსაზრისით, ბორის ელცინის გამარჯვება არჩევნების პირველ ტურში იმაში მდგომარეობს, რომ ხალხში, მკაცრი კომუნისტების გარდა, მძლავრად ამუშავდა რუსებისთვის დამახასიათებელი „ერის მამის", „მამა-მარჩენლის" სინდრომი, რამაც რეფორმების გაგრძელების გარანტის სახე მიიღო და რომელმაც განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის ამომრჩეველთა გაერთიანება გამოიწვია. ზიუგანოვმა კი, ასეთ როლის თამაში ვერ მოახერხა.

საერთოდ, არჩევნების შედეგება, ძირითადად, ქალაქის მცხოვრებლებმა განსაზღვრეს. რუსეთის 100 უდიდეს ქალაქში ამომრჩეველთა 41,4 პროცენტი ცხოვრობს. მათი საერთო რაოდენობის 42,9 პროცენტმა ელცინს მისცა ხმა, 22,9 პროცენტმა — ზიუგანოვს. 100 ქალაქიდან 67-ში პირველ ადგილზე ელცინი გავიდა, 30-ში — ზიუგანოვი, ასე რომ, ელცინის უპირატესობა აქ აშკარაა.

ზიუგანოვი საგრძნობი უპირატესობით სარგებლობს მცირედ დასახლებულ სოფლებსა და რაიონებში, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთ რეგიონში მას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 88 პროცენტმაც კი მისცა ხმა. რასაკვირველია, მოწოდების სიმაღლეზე იყო ტრადიციული „წითელი სარტყელი" — რუსეთის სამხრეთი და ვოლგისპირეთი. ორმოცდაათპროცენტიანი ბარიერი ზიუგანოვმა მხოლოდ მახაჩყალასა და ვლადიკავკაზში ვერ გადალახა.

რა შეიძლება მოხდეს მეორე ტურში

თუ, პირველი ტურის შედეგებიდან გამომდინარე, საფუძვლად ავიღებთ იმას, რომ ელცინს, მის ძველ მომხრეებთან ერთად, ხმას მისცემს ალექსანდრე ლებედის ყოფილი ელექტორატის — 40, გრიგორი იავლინსკის — 50 და ვლადიმერ ჟირინოვსკის — 15 პროცენტი, ზიუგანოვს კი, შესაბამისად, 15, 5 და 25 პროცენტი, მაშინ ბორის ელცინს მხარდამჭერთა რიცხვი თითქმის 8 მილიონი კაცით გაიზრდება და 34,5 მილიონ ამომრჩეველს მიაღწევს. ზიუგანოვის ახალ მომხრეთა რიცხვმა, წესით, 3 მილიონით უნდა მოიმატოს და მათი საერთო რაოდენობა 27 მილიონამდე ავა.

ამ ვარიანტის მიხედვით, დღევანდელ არჩევნებში დაახლოებით 65 მილიონი კაცი, ე.ი. საშუალოდ ამომრჩეველთა 60 პროცენტი მიიღებს მონაწილეობას. ხმების განაწილება კი, სავარაუდოდ, ასეთი იქნება: ბორის ელცინი — 53 პროცენტი; გენადი ზიუგანოვი — 42 პროცენტი, არავინ — 5 პროცენტი. რუსეთის 46 პროელცინურ რეგიონს, ლებედისა და იავლინსკის წყალობით, დაემატება კიდევ ცხრა რეგიონი.

მაგრამ ეს იდეალური ვარიანტია ელცინისთვის. სინამდვილეში, როგორც რეგიონებში პირველი ტურის შედეგები აჩვენებს, ამომრჩეველთა აქტივობა მცირდება. ეს, უპირველესად, ეხება ელცინის ელექტორატს, რადგან ზიუგანოვის მომხრენი უფრო აქტიურები, ორგანიზებულები არიან და, არჩევნებში მონაწილეობის მიღებისთვის, მოწოდებები ნაკლებად სჭირდებათ.

ელცინისთვის საშიშროება იმაშიც მდგომარეობს, რომ რუსეთში, ტრადიციულად, დემოკრატიულად განწყობილი ამომრჩეველი მეორე ტურის დროს ინდიფერენტული ხდება. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია მათი კანდიდატების დამარცხებასთან. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, იავლინსკის და ლებედის ელექტორატი არ გამოცხადდეს არჩევნებზე.

მეორე მხრივ, საფიქრებელია, იგივე გააკეთონ ელცინის მომხრეებმაც, რადგან მიიჩნევენ, რომ გამარჯვება მათი ხმების გარეშეც გარანტირებულია.

იმის გათვალისწინებით, რომ სავსებით შესაძლებელია ასეთი რამ მოხდეს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონები. ამ რეგიონებში გაიმარჯვა ელცინმა პირველ ტურში, აქ არიან მისი ახალი პოტენციური ამომრჩევლები — იავლინსკისა და ლებედის მომხრეები.

თუ 10 მსხვილი რეგიონიდან ერთში მაინც არ შედგა არჩევნები, კენჭისყრის შედეგებზე ეს უკვე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ იმ 2,4 მილიონი ხმიდან, რომელმაც პირველ ტურში ელცინის გამარჯვება უზრუნველყო, 2,1 მილიონი მოსკოვში მოგროვდა. რომ გამოვაკლოთ ეს და, ვთქვათ, სვერდლოვსკის ოლქის ამომრჩეველთა ხმები, გამარჯვება ავტომატურად ზიუგანოვს რჩება.

მეჩხერად დასახლებულ რეგიონებში ამომრჩევლების აქტიურობა კენჭისყრის შედეგებზე დიდ გავლენას ვერ იქონიებს, მაგრამ ამ ოლქებში არჩევნების მიმდინარეობა, შესაძლოა, ამომრჩევლების აქტიურობის ორიენტირად იქცეს და უკვე 3 ივლისის დილას შორეული აღმოსავლეთიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ითქვას, როგორი სცენარით ვითარდება მოვლენები მთლიანად ქვეყანაში.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამომრჩევლების აქტიურობა მეორე ტურშიც მაღალი იყოს, ვინაიდან, გადამწყვეტ მომენტებში დემოკრატებსაც შეუძლიათ შეკავშირება. ზოგიერთი გამოკითხვის მიხედვით, დემოკრატთა მხარდამჭერი მოსახლეობის ნაწილს პირველ ტურში მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან, აშკარა იყო, რომ იგი არ იქნებოდა გადამწყვეტი. დაფიქსირებულია, აგრეთვე, რომ ზიუგანოვის ზოგიერთი მომხრე ამჟამინდელი პრეზიდენტის მხარეს გადავიდა. ალბათ, არც რეგიონული ელიტის წარმომადგენლებს უთქვამთ საბოლოო სიტყვა.

ასე რომ, „ვინ ვის" — რუსეთში დღეს გადაწყდება...

**ირინე დეკანოიძე**

# ჰამბურგის პრესის კანონი

## მიღებული 1965 წლის 29 იანვარს

### პარაგრაფი 1.
### პრესის თავისუფლება

(1) პრესა თავისუფალია. იგი თავისუფალ დემოკრატიულ მართლწესრიგს უნდა ემსახურებოდეს.

(2) პრესის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დასაშვებია ფედერაციული რესპუბლიკა გერმანიის კონსტიტუციით და მის ფარგლებში მოქმედი კანონით.

(3) აკრძალულია ნებისმიერი სახის საგანგებო ზომები, რომელთაც თავისუფალი პრესისთვის ზიანის მოტანა შეუძლიათ.

(4) დაუშვებელია პრესის პროფესიული ასოციაციები სავალდებულო წევრობით, ისევე, როგორც სპეციალური სამართალწარმოება პრესის ორგანოებისთვის, რომელსაც იგივე უფლებები ექნება, რაც სამართალწარმოების საერთო-სახელმწიფოებრივ სისტემას.

(5) პრესა ემორჩილება კანონებს, რომლებიც ყველასთვის მოქმედებს.

### პარაგრაფი 2.
### მოღვაწეობის თავისუფლება

არავითარი სპეციალური უფლება პრესის სფეროში მოღვაწეობისთვის ან რაიმე ფუნქციის შესასრულებლად საჭირო არ არის.

### პარაგრაფი 3.
### პრესის საზოგადოებრივი ამოცანები

პრესა სახელმწიფოებრივ ამოცანებს ასრულებს — კერძოდ, იმით, რომ აგროვებს და ავრცელებს ახალ ამბებს, აკრიტიკებს, აქვეყნებს ამა თუ იმ თვალსაზრისს და ამ თუ სხვა მეთოდებით აზრის ფორმირებაში მონაწილეობს, ან განათლების დონის ამაღლებას ემსახურება.

### პარაგრაფი 4.
### ინფორმაციის მიღების უფლება

(1) სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ინფორმაცია მიაწოდონ პრესის და რადიო/ტელევიზიის წარმომადგენლებს, თუ ეს ინფორმაცია პრესის მიერ თავისი საზოგადოებრივი ამოცანების შესრულებას ემსახურება.

(2) ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ:
1. ეს შეაფერხებს ან ჩაშლის საფრთხეს შეუქმნის მიმდინარე სასამართლო პროცესს, პროცესს ჯარიმის ამოღების გამო, ან დისციპლინარულ პროცესს, ან
2. არსებობს მითითება მოცემული თემის გასაიდუმლოების შესახებ, ან სამსახურეობრივ საქმეთა გაუხმაურებლობის შესახებ, ან
3. ეს აენებს გარკვეულ საზოგადოებრივ ან კერძო ინტერესებს, რომელთაც სახელმწიფოს დაცვის პრეტენზია აქვთ.

(3) დაუშვებელია გამოცემა საერთო ხასიათის განკარგულებისა, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებებს პრესისთვის ინფორმაციის მიწოდებას აუკრძალავს.

(4) პერიოდული ბეჭდური გამოცემის გამომცემელს უფლება აქვს, სახელმწიფო დაწესებულებებს მოსთხოვოს, რომ ოფიციალური განცხადებები მიეწოდოს არაუგვიანეს კონკურენტებისა.

### პარაგრაფი 5.
### (გაუქმებულია)

### პარაგრაფი 6.
### პრესისთვის სავალდებულო გულმოდგინება

ვიდრე მოპოვებულ ახალ ამბებს გაავრცელებდეს, პრესა მოვალეა, შეამოწმოს მასალის სიმართლე, შინაარსი და წარმომავლობა, თან, ვითარების შესაბამისი გულმოდგინება გამოიჩინოს.

ეს პარაგრაფი არ ეხება იმ მოვალეობას, რომ ბეჭდურ გამოცემაში არ უნდა გაჟონოს სისხლის სამართლის თვალსაზრისით დასჯადი შინაარსის მქონე მასალამ (პარაგრაფი 19).

### პარაგრაფი 7.
### ბეჭდური გამოცემები

(1) მოცემული კანონის მიხედვით, ბეჭდურ გამოცემად მიიჩნევა გასავრცელებლად გამზადებული ყველა გამოცემა, რომელიც მომზადებულია საბეჭდი წნეხით ან სხვა გამავრცელებელი ტექნიკის მეშვეობით, აგრეთვე, აუდიო ან ვიდეოკასეტები, გრამფირფიტები ან სხვა ხმისჩამწერი მოწყობილობა, ან ნებისმიერი გამოსახულების მატარებელი საგანი, წარწერით თუ უწარწეროდ, აგრეთვე, მუსიკის მატარებლები ტექსტით ან განმარტებებით.

(2) ბეჭდურ გამოცემებს განეკუთვნება, აგრეთვე, გამრავლებული შეტყობინებები, რომელთა მეშვეობით ახალი ამბების სააგენტოები და მსგავსი სამსახურები ამარაგებენ პრესას სიტყვიერი, გამოსახულებითი და სხვა მასალებით. ბეჭდვით გამოცემებს განეკუთვნება, აგრეთვე, ყველა შეტყობინება, რომელიც მომდინარეობს რედაქციების დამხმარე დაწესებულებებიდან, ამ შეტყობინებათა ტექნიკური შესრულების ფორმის გაურჩევლად. ბეჭდურ გამოცემებს განეკუთვნება დოკუმენტური კინოფილმებიც.

(3) მოცემული კანონის განაწესი ბეჭდური გამოცემების შესახებ არ ვრცელდება:
1. ოფიციალურ ბეჭდურ გამოცემებზე, რადგანაც ისინი, მხოლოდ და მხოლოდ, ოფიციალურ შეტყობინებებს შეიცავს.
2. ბეჭდურ გამოცემებზე, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ კომერციულ მიზნებს, ან სატრანსპორტო მიზნებს, საბინაო ყოფის და ვიწრო წრეში ადამიანების ურთიერთობის მიზნებს; მაგალითად: ფორმულარები, კატალოგები, სარეკლამო ბროშურები, საოჯახო განცხადებები, კომერციული, წლიური ან ადმინისტრაციული ანგარიშები და ა.შ. აგრეთვე, საარჩევნო ბიულეტენები.

(4) პერიოდული ბეჭდური გამოცემებია — გაზეთები, ჟურნალები და სხვა გამოცემები, რომლებიც მუდმივად გამოდიან, არა უსათუოდ რეგულარულად, მაგრამ არაიშვიათად, ვიდრე ექვს თვეში ერთხელ.

### პარაგრაფი 8. სახელის და მისამართის მითითება (იმპრესუმი)

(1) ყოველ ბეჭდურ გამოცემას, რომელიც „თავისუფალი ქალაქის — ჰამბურგის" მიწაზე გამოიცემა, მითითებული უნდა ჰქონდეს დამსტამბავის და გამომცემლის სახელი ან ფირმის დასახელება და მისამართი, თვითგამოცემის შემთხვევაში კი — ავტორი ან გამომცემლის სახელი.

(2) გარდა ამისა, პერიოდულ ბეჭდურ გამოცემებზე მითითებული უნდა იყოს პასუხისმგებელი რედაქტორის სახელი და მისამართი. თუ პასუხისმგებელი რამდენიმე რედაქტორია, მაშინ საჭირო მონაცემები თითოეული მათგანის შესახებ უნდა იქნეს მითითებული. ამასთან, საჭიროა მითითება, თუ ბეჭდური გამოცემის რომელ ნაწილზე ან საგნობრივ სფეროზეა პასუხისმგებელი თითოეული რედაქტორი. მითითებული უნდა იყოს სარეკლამო განცხადებებზე პასუხისმგებელი პირი; იგი, შესაბამისად, ემორჩილება იმავე განაწესს, რომელსაც პასუხისმგებელი რედაქტორი.

(3) გაზეთებმა და ადგილობრივმა გამოცემებმა, რომლებსაც სხვა ბეჭდური გამოცემებიდან რეგულარულად გადმოაქვთ მზა ნაწყვეტები, უნდა მიუთითონ რედაქტორი, რომელიც პასუხისმგებელია სხვა ბეჭდური გამოცემიდან გადმოღებულ მასალაზე, აგრეთვე, მასალის პირველწყაროს გამომცემელი.

### პარაგრაფი 9.
### მოთხოვნები პასუხისმგებელი რედაქტორის პიროვნების მიმართ

(1) პასუხისმგებელ რედაქტორად ვერ იმუშავებს ის პიროვნება:
1. რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს ფედერაციული რესპუბლიკა გერმანიის კონსტიტუციის მოქმედების არეალში.
2. ვისაც სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, არა აქვს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, არ ფლობს ამომრჩევლის პასიურ უფლებას, ან ამომრჩევლის აქტიურ უფლებას.
3. ვისაც არ შესრულებია 18 წელიწადი.
4. ვისაც არ აქვს პასუხსაგები თანამდებობის დაკავების შეუზღუდავი უფლება.

(2) პირველი აბზაცის მე-3 და მე-4 მუხლები არ ეხება იმ ბეჭდურ გამოცემებს, რომლებსაც არასრულწლოვანები თანატოლებისთვის გამოცემენ.

(3) შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება უფლებამოსილია, განიხილოს საკითხი 1-ლი აბზაცის 1-ლი მუხლით შეზღუდვისგან გათავისუფლების შესახებ.

### პარაგრაფი 10.
### განცხადების / რეკლამის განსაკუთრებული აღნიშვნა

თუ პერიოდული გამოცემის გამომცემელმა გარკვეული ტექსტის გამოქვეყნებისთვის მიიღო, ან მოითხოვა გასამრჯელო, ან მას დაპირდნენ ამის შესახებ, იგი ვალდებულია, ეს ტექსტი მკაფიოდ, განსაკუთრებულად აღნიშნოს სიტყვებით: „განცხადება" ან „რეკლამა", — თუ თავად ტექსტი იერით და გაფორმებით არ ტოვებს განცხადების ან რეკლამის შთაბეჭდილებას.

### პარაგრაფი 11. უარყოფა

(1) პასუხისმგებელი რედაქტორი და პერიოდული გამომცემლობის გამომცემელი ვალდებულნი არიან, დაბეჭდონ უარყოფა, წარმოდგენილი იმ პირის ან დაწესებულების მიერ, რომელთაც ეხებათ ამ ბეჭდურ გამოცემაში გამოქვეყნებული მტკიცებანი. ეს ვალდებულება, ვრცელდება მოცემული პერიოდული ბეჭდური ორგანოს ყველა ადგილობრივ გამოცემაზე, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო მოცემული მტკიცება.

(2) უარყოფის დაბეჭდვა არ წარმოადგენს აუცილებლობას, თუკი, უარყოფა მოცულობით თანაზომიერი არ არის მტკიცებითი ტექსტისა. თუ უარყოფა მოცულობით არ აღემატება მტკიცების ტექსტს, მაშინ იგი თანაზომიერად მიიჩნევა. უარყოფა მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემებით უნდა შემოიფარგლოს და არ უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლებრივად დასჯადი შინაარსი. უარყოფას წერილობითი სახე უნდა ჰქონდეს და მას ხელს უნდა აწერდეს ის პირი, ვისაც უშუალოდ ეხება მტკიცება, ან მისი ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი. პირი, რომელსაც მტკიცება ეხება, ან მისი წარმომადგენელი, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ უარყოფის გამოქვეყნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარყოფა გადაეცა პასუხისმგებელ რედაქტორს ან გამომცემელს, არაუგვიანეს სამი თვისა მას შემდეგ, რაც მტკიცებითი ტექსტი გამოქვეყნდა.

(3) უარყოფა უნდა გამოქვეყნდეს მისი მიღების შემდეგ გამოსულ პირველსავე ნომერში, იმ პირობით, თუ მისი მიღების დროისთვის ნომრის მომზადება დასაბეჭდად ჯერ არ დასრულებულა. უარყოფა უნდა მოთავსდეს ბეჭდური გამოცემის იმავე ნაწილში და იმავე შრიფტით, როგორც მტკიცების ტექსტი; უარყოფა უნდა დაიბეჭდოს შეუმცირებლად და დამატებების გარეშე; იგი არ უნდა გაფორმდეს, როგორც მკითხველის წერილი რედაქციისადმი. თუ მტკიცებით ტექსტს არ ჰქონდა განცხადების ფორმა, მაშინ უარყოფის ტექსტიც უფასოა. ის, ვინც საკუთარ აზრს გამოთქვამს უარყოფასთან დაკავშირებით იმავე ნომერში, სადაც უარყოფაა მოთავსებული, ფაქტობრივი მონაცემით უნდა შემოიზღუდოს.

(4) თუ რედაქცია უარს ამბობს, დაბეჭდოს იმ პირის უარყოფა, რომელსაც მტკიცებითი ტექსტი ეხება, მაშინ ამ პირს უფლება აქვს, ჩვეულებრივ სასამართლოს მიმართოს. იმ პირის საჩივრის საფუძველზე, რომელსაც მტკიცების ტექსტი ეხება, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პასუხისმგებელმა რედაქტორმა და გამომცემელმა გამოაქვეყნონ უარყოფა, როგორც ეს მე-3 აბზაცითაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში, მოქმედებს გერმანიის სამართლებრივი კოდექსის მუხლები, საქმის დაწერილებით განხილვამდე მოსამართლის მიერ დროებით განკარგულების გაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, რომ პირის კანონიერ უფლებას საფრთხე ემუქრება.

(5) 1-ლი — მე-4 აბზაცები არ ეხება ფედერაციის, მიწების და მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო ორგანოთა ღია სხდომების, აგრეთვე, სასამართლოთა ღია სხდომების, მართალ რეპორტაჟებს.

### პარაგრაფები 12-18
### (გაუქმებულია)

### პარაგრაფი 19.
### სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

(1) პასუხისმგებლობა სისხლის სამართლით დასჯად ქმედებაზე, რომელიც ბეჭდური გამოცემის მეშვეობით არის ჩადენილი, სისხლის სამართლის კოდექსის საერთო კანონებიდან გამომდინარეობს.

(2) თუ ბეჭდური გამოცემის მეშვეობით ჩადენილია ისეთი სამართალსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით განისაზღვრება, ამ შემთხვევაში 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯებიან შემდეგი პირები (თუ მათ არ ეხებათ 1 აბზაცით გათვალისწინებული სასჯელი, როგორც დამნაშავეებს ან თანამონაწილეებს):
1. პერიოდული გამოცემის შემთხვევაში — პასუხისმგებელი რედაქტორი, თუ მან წინასწარგანზრახვით ან დაუდევრობით უგულებელყო თავისი მოვალეობა, არ დაუშვას ბეჭდურ გამოცემაში სისხლის სამართლით დასჯადი შინაარსის ტექსტი.
2. სხვა გამოცემათა შემთხვევაში — გამომცემელი, თუ მან წინასწარგანზრახვით ან დაუდევრობით უგულებელყო თავისი სამეურვეო მოვალეობები, და თუ ამის გამო შესაძლებელი გახდა მოცემული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.

### პარაგრაფი 20.
### პრესის კანონის დარღვევები, რომლებიც სისხლის სამართლით ისჯება

1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება:
1. გამომცემელი, რომელმაც პასუხისმგებელ რედაქტორად დანიშნა პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოცემული კანონის მე-9 პარაგრაფის მოთხოვნებს.
2. ის, ვისაც უკავია პასუხისმგებელი რედაქტორის თანამდებობა, იმის მიუხედავად, რომ მოცემული კანონის მე-9 პარაგრაფით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.
3. პასუხისმგებელი რედაქტორი ან გამომცემელი, თვითგამოცემის შემთხვევაში კი — ავტორი ან გამომცემელი — რომელიც სისხლის სამართლით დასჯადი შინაარსის დაშვებისას არღვევს მოცემული კანონის მე-8 პარაგრაფის მინაწერს (სახელის და მისამართის მითითება).

### პარაგრაფი 21.
### წესრიგის დარღვევა

(1) „წესრიგის დარღვევის" ცნების ქვეშ ხვდება მისი ქმედება, ვინც წინასწარი განზრახვით ან დაუდევრობით:
1. პასუხისმგებელ რედაქტორად ან გამომცემლად, ხოლო თვითგამოცემის შემთხვევაში — ავტორად ან გამომცემლად ყოფნისას არღვევს მოცემული კანონის მე-8 პარაგრაფის მინაწერს (სახელისა და მისამართის მითითება) ან, იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეა და ავრცელებს ბეჭდურ გამოცემებს, რომლებშიც საჭირო მონაცემები უგულებელყოფილია მთლიანად ან ნაწილობრივ.
2. იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელმა ან რეკლამისა და განცხადებების განყოფილების პასუხისმგებელმა პირმა (პარაგრაფი მე-8, აბზაცი მე-2, წინადადება მე-4) არ უზრუნველყო ან არ იზრუნა, რომ ტექსტი, რომელშიც საფასურია გადახდილი, მკითხველს აღექვა, როგორც განცხადება ან რეკლამა (პარაგრაფი 10).

(2) „წესრიგის დარღვევის" ცნების ქვეშ ხვდება მათი მოქმედება, ვინც დაუდევრობის გამო ჩაიდინა ქმედება, რომელსაც მე-20 პარაგრაფი ითვალისწინებს.

(3) თუ წესრიგის დარღვევა მოხდა წინასწარგანზრახვით, მაშინ იგი შეიძლება დაისაჯოს ფულადი ჯარიმით 10 000 გერმანულ მარკამდე; თუ მისი მიზეზი დაუდევრობა იყო, მაშინ მას შეიძლება შეეფარდოს სასჯელი 5 000 გერმანულ მარკამდე.

### პარაგრაფი 22.
### (გაუქმებულია)

### პარაგრაფი 23.
### ხანდაზმულობის ვადის ამოწურვა

(1) მოცემული კანონით გათვალისწინებული სამართალსაწინააღმდეგო ქმედებების, ან ბეჭდური გამოცემის მეშვეობით ჩადენილი სამართალსაწინააღმდეგო ქმედებების ხანდაზმულობის ვადა, დანაშაულის შემთხვევაში შეადგენს 1 წელიწადს და კანონის დარღვევის შემთხვევაში — 6 თვეს.

(2) იმ დანაშაულთა ხანდაზმულობის ვადა, რომლებიც განისაზღვრება წინამდებარე კანონის 21-ე პარაგრაფით, შეადგენს 3 თვეს.

(3) ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება გამოქვეყნების ან ბეჭდური გამოცემის გავრცელების მომენტიდან. თუ ბეჭდური გამოცემა ნაწილ-ნაწილ ქვეყნდება ან ვრცელდება, ან, იმ შემთხვევაში, თუ თავიდან გამოიცემა, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ბოლო გამოქვეყნების ან ბეჭდური გამოცემის გავრცელების მომენტიდან.

### პარაგრაფი 24.
### ძალაში შესვლა

(1) მოცემული კანონი, გარდა 23-ე პარაგრაფისა, ძალაში შედის 1965 წლის 1 აპრილიდან. 23-ე პარაგრაფი ძალაში შედის 1965 წლის 1 ოქტომბრიდან.

(2) იმავდროულად წყვეტს ქმედებას 1874 წლის 7 მაისის გერმანული პრესის კანონი.

(3) უცვლელი რჩება კანონი სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ ჩრდილოგერმანული რადიოსა და ტელევიზიის თაობაზე, მიღებული 10.06.55.

შექმნილია ჰამბურგში 1965 წლის 29 იანვარს.

სენატი

პრობლემა

# ისევ არ უმართლებს ნიკალას

ოციანი წლების ქართული პრესა ნიკო ფიროსმანთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა. მასზე წერდნენ ლადო გუდიაშვილი და დიმიტრი შევარდნაძე, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და, საერთოდ, ქართული კულტურის მთელი ელიტა. სწორედ ამ პერიოდის მოგონებებში ამოვიკითხე: მე ახლა პარიზშიც მიცნობენო, — უთქვამს ნიკალას 1916 წელს ქართველ მხატვრებთან შეხვედრისას.

არ ვიცი, რას გულისხმობდა მაშინ ფიროსმანი, მაგრამ უფრო მოგვიანებით, 1969 წელს, პარიზში ლუვრმა მას თავისი საგამოფენო დარბაზები დაუთმო და საფრანგეთმა ფიროსმანი იტალიური რენესანსის ფუძემდებელს, ჯოტოს შეადარა.ეს ფაქტია, ჩვენ კი ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ ეს დიდი მოვლენა ფირზე აღგვებეჭდა და შთამომავლობისთვის შემოგვენახა. ჩვენ სხვაც ბევრი რამ ვერ მოვახერხეთ და ბევრი შესაძლებლობაც გავუშვით ხელიდან, რომ სათანადო პატივი მიგვეგო ლეგენდარული მხატვრისთვის. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღესაც იმავეს ჩავდივართ.

წლეულს, 14 ივნისს, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ პირველ გვერდზე დაბეჭდა ინფორმაცია სათაურით — „ნიკო ფიროსმანაშვილი 130 — იუნესკოს ღირსშესანიშნავ თარიღთა სიაში“. მკითხველს აცნობეს, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროში შეიქმნა საიუბილეო კომისია და შემუშავდა საიუბილეო ღონისძიებების გეგმა: 1. მოეწყობა გამოფენა ეთნოგრაფიულ მუზეუმში „ფიროსმანი და მისი დრო“; 2. მოეწყობა გამოფენა ხელოვნების მუზეუმში; 3. ჩატარდება საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში; 4. მირზაანში გაიმართება „ფიროსმანობა“; 5. ჩატარდება სამეცნიერო სესია; 6. ეროვნულ გალერეაში მოეწყობა მხატვართა ახალი ხელოვნების ბიენალე. 7. მოეწყობა მხატვართა გამოფენები. 8. აიაპის ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზების ქვეყნის წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს სიმპოზიუმზე „მხატვარი და მისი შემოქმედება მშვიდობისთვის“; 9. ხელახლა გამოიცემა წიგნი ფიროსმანზე; 10. დაიბეჭდება საფოსტო მარკები.

ამ საგაზეთო ინფორმაციას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია და არც არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ ანალოგიურ სიტუაციებში განაცხადი სხვა ფორმით კეთდება. კერძოდ, საჭიროა ბრძანებულება იუბილეს აღნიშვნის შესახებ, შესაბამისი სამთავრობო კომისიის შექმნა, სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებმაც ერთობლივად უნდა შეიმუშაონ საერთაშორისო ღონისძიებათა გეგმა.

უპირველეს ყოვლისა, ის, რომ იუნესკოს 1995 წლის 26 ოქტომბრის რეზოლუციის თანახმად, ფიროსმანის საიუბილეო თარიღი შეტანილია იუნესკოს საიუბილეო კალენდარში, ნიშნავს იუბილეს საერთაშორისო დონეზე აღნიშვნას, მის მასშტაბურობას. იმ საიუბილეო ღონისძიებათა ჩასატარებლად კი, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს აქვს დაგეგმილი, იუნესკოს ნებართვა სრულიადაც არ იყო საჭირო. მით უმეტეს, გადავამოწმე და არც ის შაბლონური ღონისძიებებია, ჯერჯერობით, შეთანხმებული სათანადო ორგანიზაციებთან.



ოპერის თეატრში საიუბილეო საღამოს, ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანის პერსონალურ გამოფენას და ამდაგვარ სხვა ღონისძიებებს საქართველოს ფარგლებში არც ადრე გვიკრძალავდა ვინმე. 15 წელზე მეტია, რაც საქართველოში არსებობდა ფიროსმანის საიუბილეო სამთავრობო კომისია რამდენიმე მინისტრის, მხატვართა კავშირისა თუ სხვა ორგანიზაციათა პირველი პირების შემადგენლობით. საჭიროა ამ კომისიის აღდგენა, რომელმაც თავისი არსებობის პერიოდში მიაღწია იმას, რომ მხატვრის იუბილე საერთაშორისო დონეზე აღინიშნა. როგორც ირკვევა, კულტურის სამინისტრო აპირებს საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტას, ამიტომაც მან საიუბილეო ღონიძიებაში არ ჩართო არც ერთი უწყება და არც ვინმეს მიმართა თანადგომისთვის; როდესაც საერთაშორისო დონის იუბილე აღინიშნება, აუცილებელია საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობდეს ისეთი სახელმწიფო სტრუქტურა, როგორიც არის ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მასობრივი საინფორმაციო სამსახური. ეს აქსიომაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი კულტურის სამინისტრო იგნორირებას უკეთებს როგორც ერთს, ასევე — მეორეს. და არ აინტერესებს, როგორი აზრის არის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მხატვართა კავშირი, ქართული საზოგადოებრიობა საიბილეო სამზადისზე. სად არის ის აუცილებელი რეზონანსი, რომელიც ასეთ მოვლენას ეკადრება? ლაპარაკია მე-20 საუკუნის გენიალურ მხატვარზე — ნიკო ფიროსმაზე, რომლის ნიჭსაც თითქმის საუკუნეა ეთაყვანება არა მხოლოდ საქართველო, არამედ ხელოვნების მოამაგე მთელი მსოფლიო. ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი ისტორია რუსეთის ინტელიგენციასთან არის დაკავშირებული. ფიროსმანის გენია ხომ ზდანევიჩმა და ლე დანტიუმ აღმოაჩინეს 1912 წელს, ხოლო 1913 წელს მოსკოვში მოეწყო მხატვრის გამოფენა. განა მოსკოვი და პეტერბურგი უარს იტყოდა ფიროსმანის იუბილეს აღნიშვნაზე?! ან რაზე მეტყველებს ის მაგალითი, რომ ლუვრმა 1969 წელს ფიროსმანს თავისი დარბაზები დაუთმო?!

არა მგონია, პატივცემულ მინისტრს არ ესმოდეს ფიროსმანის შემოქმედების პოპულარიზაციის მნიშვნელობა. მაშ, რითია გამოწვეული ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება?!

იქნებ, წარსულის მწარე გამოცდილება აჩერებს მინისტრს, როდესაც 1989 წელს მის მიერ ქართული ეროვნული საგანძურის მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია არა მხოლოდ ეროვნული მოძრაობის, არამედ ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მხრიდან, და ასე გადარჩა ოკეანის გაღმა ფრიად საეჭვო და სარისკო მოგზაურობას თავის დროზე სასწაულად გადარჩენილი ქართული საგანძური.

იქნებ, ჩვენი დღევანდელი ეკონომიური სიღარიბეა მიზეზი? შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ვის მიმართა სამინისტრომ? არის კიდევ ერთი გაუგებარი ფაქტი: მაშინ, როდესაც ძირითადი აქცენტი იუბილეზე უნდა გაკეთებულიყო, საქართველოში იუნესკოს წარმომადგენლობამ მიმართა იუნესკოს საერთაშორისო ორგანიზაციას და სთხოვა 60 ათასი დოლარის გამოყოფა მირზაანის მუზეუმთან კოტეჯების ასაშენებლად, ასე და ამგვარად, ჩრდილში დარჩა იუბილეს დაფინანსების საკითხი. თუმცა, არც არის გასაკვირი: იუნესკოს წარმომადგენლობის მდივანი ბატონი პეტრე მეტრეველი ხომ თავიდანვე არ ფარავდა თავის პოზიციას — იუბილეს „ვიწრო წრეში“ აღნიშვნის თაობაზე.

გულდასაწყვეტია ისიც, რომ სამინისტრომ არც თხოვნით მიმართა და, ვფიქრობ, შეგნებულად ჩამოიშორა საიუბილეო სამზადისიდან ედუარდ შევარდნაძის დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი. ფონდის უგულებელყოფის პოზიცია მით უფრო გასაკვირია, რომ პრეზიდენტმა ბატონ ვალერი ასათიანის მინისტრად დანიშვნამდე იუბილეს აღნიშვნის საკითხი დემოკრატიისა და განვითარების ფონდს დაავალა. პირველ შეკრებას მინისტრის მოადგილე გ.გუნია და იუნესკოს წარმომადგენელი პ.მეტრეველიც ესწრებოდნენ.

არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ეს ღონისძიება, რომელიც ქალაქის მერიის, აღორძინების ფონდის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და პირადად ჩემი წლების მანძილზე გაწეული შრომის შედეგად იქნა მიღწეული, კულტურის სამინისტროს რიგით და უფერულ ღონისძიებათა სიაში მოხვდა. მინდა კიდევ ერთხელ მოვაგონო პატივცემულ მინისტრს: 1962 წლის ჟურნალი „კურიერ იუნესკო“ წერდა: „ფიროსმანის შემოქმედება სცილდება საქართველოს ფარგლებს. დიდი ნიჭისა და ადამიანურობის წყალობით ფიროსმანი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის“.

დიახ, ასეა აღიარებული, მაგრამ რას იზამ, საქართველოში, ამჯერადაც, არ უმართლებს ნიკალას.

ნელი კობიაშვილი

# ძეგლთა დაცვა — პრობლემები და პერსპექტივა

ქართველი ერი თავისი მდიდარი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობით ამაყობს. მასში ასახულია ერის ისტორიული გზა. მრავალი ბედუკუღმართობის მიუხედავად, ჩვენს ხალხს ბედის ანაბარად არ მიუტოვებია თავისი ხელოვნება და ხუროთმოძღვრება. ცხადია, არც ჩვენს თაობას აქვს უფლება, გულგრილად შეჰყურებდეს, თუ როგორ ილუპება მრავალი საუკუნეების განმავლობაში შემონახული ძეგლები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტად უჭირს ქართველ კაცს. ძეგლებსაც ჩვენთან ერთად უნდა გადავატანინოთ ეს ძნელბედობის ჟამი. ეს არის ჩვენი დღევანდელი პრობლემა.

რაც შეეხება პერსპექტივას. გვინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს მივაქციოთ ყურადღება. ცხადია, ადრე თუ გვიან ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან გამოვა და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება. შეიქმნება საჭირო ეკონომიკური შესაძლებლობები ძეგლთა ყოველმხრივი შესწავლისა და რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოთა ფართოდ გასაშლელად. მაშინ ჩვენს წინაშე თავიდან დადგება ამ საქმის თეორიული საფუძვლების დახვეწისა და განმტკიცების საკითხი.

საქმე ისაა, რომ აქამდე არსებული მეთოდიკით, ძეგლთა შესწავლა და რესტავრაცია ხდებოდა ძირითადად, [illegible] ლოკალური ისტორიული პერიოდის განხილვით და მათთან ახლოს მდგარ ძეგლებთან პარალელებით, რაც, ჩვენი აზრით, არ იყო სრულყოფილი. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია წრომის ტაძრის გუმბათის აღდგენის პირველი ვარიანტი, რომელიც გაკეთდა ისტორიულად და გეოგრაფიულად ახლოს მდგარი მცხეთის ჯვრის გუმბათის ანალოგიით. მაგრამ, როგორც კი იგი განხილულ იქნა საერთო განვითარების კონტექსტში /რაც შესაძლებელი გახდა ახალი თეორიით/, ნათლად გამოიკვეთა, რომ ამ ძეგლის, როგორც განვითარების ახალი საფეხურის, სტრუქტურის შეცვლასთან ერთად უსათუოდ უნდა შეცვლილიყო გუმბათის თანაზომიერებებიც. მაგრამ, ვინაიდან, ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული ძეგლის ფორმათა წყობის კანონზომიერებების საერთო განშლა, პირველი ვარიანტის ავტორს არ შეეძლო, გაეზიარებინა ცვლილებათა აუცილებლობა. ამის გამო კანონზომიერებათა არცოდნით და თვითშემოქმედებით ბევრი ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლი მახინჯდება.

ისტორიულ-მხატვრული ასპექტისგან განსხვავებით, ჩვენი ხუროთმოძღვრების ეს მხარე აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი და გაცნობიერებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა, მაგრამ, ცოტა ვიცი იმის შესახებ, თუ როგორ შექმნეს ეს მდიდარი მემკვიდრეობა, რა შემოქმედებითი მეთოდებითა და კანონზომიერებებით სარგებლობდნენ ისინი.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში დიდი ივანე ჯავახიშვილი მოგვიწოდებდა, რომ თუ არ იქნა შესწავლილი ჩვენი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის მთლიანი და ცალკეული ნაწილების თანაზომიერებები, შეუძლებელი გახდება ძეგლის საჭირო სიღრმით შეფასება, ხოლო ახალი ქართული არქიტექტურის განვითარებისთვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა ფუჭი ცნება იქნებაო.

ჩვენი მეცნიერების პატრიარქის ეს შეგონება დღემდე არ არის სათანადოდ გაცნობიერებული და გამოყენებული.

ამჟამად, როგორც ცნობილია, უკვე არსებობს გარკვეული კვლევა ამ მიმართულებით, გამოვლენილია ქართული გუმბათური ძეგლის სტრუქტურის აგებულების საერთო განვითარების კანონზომიერებები. ამ მასალაზე დაყრდნობით გაკეთებულია თეორიული რეკონსტრუქცია ისეთი ძეგლებისა, როგორებიცაა: ნინოწმინდა, წრომი, კუმურდო, ბაგრატის ტაძარი და სხვა. ჩატარებული სამუშაოს ობიექტურობას უნდა მოწმობდეს აღდგენილი ნაწილების თანაზომიერებების სრული შესაბამისობა საერთო განვითარების კანონზომიერებებთან.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის საკითხზე. აქ ორი პრობლემა გამოიკვეთა: ტაძრის გუმბათის პირვანდელი სახით აღდგენის ობიექტური შესაძლებლობა და შემორჩენილი კონსტრუქციების სიმტკიცე. პირველ პრობლემაზე უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი თეორიის საფუძველზე სრულიად შესაძლებელია ტაძრის გუმბათის აღდგენა საწყის ფორმებში /იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 29 ივნისი, 1990 წ./. რაც შეეხება მეორე პრობლემას, იგი დიდი ყურადღებით განხილვას მოითხოვს. მაგრამ ორივე პრობლემის განხილვა უნდა ხდებოდეს საჯაროდ, სპეციალისტების ფართო წრის მონაწილეობით, ვინაიდან ბაგრატის ტაძარი, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ თითქმის ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციაში იქნა დაყენებული საკითხი როგორც ბაგრატის ტაძრის, ასევე, საერთოდ, ქართული ძეგლის სტრუქტურის შესახებ. სტრუქტურის ფორმირების შემოქმედებითი მეთოდები და კანონზომიერებების საკითხები უნდა განიხილებოდეს საჯარო სხდომებზე რესპუბლიკური კონფერენციის სახით. სამწუხაროდ, ყოვლად აუხსნელი და გაუგებარი მიზეზების გამო, ამ წინადადებას წინ დუმილის კედელი ხვდება. ალბათ, ესეც ზოგიერთი ხელმძღვანელის მხრიდან არასასურველი საკითხის ჩაფარცხვის ფორმაა. მაგრამ ამ კედლის მიღმა არ ფიქრობენ, რომ ამგვარი დამოკიდებულებით, პირველ რიგში, საქმეს ღალატობენ.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ახალი თეორია ქართული ძეგლის სტრუქტურის აგებულების განვითარების კანონზომიერებების შესახებ ყოვლად სრულყოფილი და უდავოა. მაგრამ იმაში დარწმუნებული ვართ, რომ ძირითადი კონცეპტუალური მიმართულება მართებულია. თუ განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ ეს ასე არ არის, მაშინ ყოველგვარი პრეტენზია მოიხსნება და თუ სწორია, მაშინ მას უნდა მიეცეს გზა ძეგლთა დაცვის საქმის სასიკეთოდ.

გაზეთმა „კავკასიონმა“ ეროვნული მნიშვნელობის საქმე წამოიწყო. კარგი იქნება, თუ მას ლოგიკურ დაბოლოებამდე მიიყვანს და ამ საკითხის გარშემო მოწყობილ მრგვალ მაგიდასთან დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს მოიწვევს. ეს აუცილებელია, რათა, როგორც მრავალჯერ მომხდარა, ახლაც არ დარჩეს ეს პუბლიკაციები „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ამასთან, ეს შეკრება შეიძლება კონფერენციის მოწყობის წინა საფეხურად იქცეს.

პ. მოსულიშვილი

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

## მუზეუმი

# ქართული «აბრეშუმის სახლი» იუნესკოს განძთსაცავში

რამდენიმე წელია, რაც აბრეშუმის მუზეუმისა თუ აბრეშუმის მუზეუმის შენობის დაუფლებისთვის ბრძოლა არ ცხრება და ყოველ მომდევნო ეტაპზე ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე. ამ მუზეუმის პრობლემები, კარგა ხანია, გასცდა საქართველოს საზღვრებს და მის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეაბრეშუმეებიც მსჯელობენ. ჯერ კიდევ 1994 წელს „ევროპის საფეიქრო ქსელის" ეგიდით პორტუგალიაში გამართულმა კონფერენციამ მიიღო თბილისის აბრეშუმის მუზეუმის მხარდასაჭერი მიმართვა, რომელსაც ოცდაცამეტმა მსოფლიოში აღიარებულმა ექსპერტმა მოაწერა ხელი. მიმდინარე წლის 17-21 მაისს უკრაინის ქალაქ ხერსონში გაიმართა „ევროპის საფეიქრო ქსელის" მეექვსე კონფერენცია, სახელწოდებით „სკვითია", რომელმაც, აგრეთვე, მხარი დაუჭირა საქართველოს აბრეშუმის მუზეუმს. ივნისში კი მისი პრობლემების უფრო ახლოს გასაცნობად თბილისში ჩამოვიდნენ ევროკავშირთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის — ტექსტილის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი ბეატრის შტერკი და ჟურნალ „ტექსტილ ფორუმის" რედაქტორი დიტმარ ლოი.

„ამ მუზეუმმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, — განაცხადეს სტუმრებმა, — ეს არის უნიკალური მუზეუმი, რომლის მსგავსი არ მოიპოვება დასავლეთ ევროპაში. ევროპაში არის აბრეშუმის რამდენიმე მუზეუმი, კერძოდ, საბერძნეთსა და სამხრეთ საფრანგეთში, მაგრამ ისინი ეთნოგრაფიული, მცირე ზომის მუზეუმებია და გამოიყურებიან, როგორც მუზეუმები ღია ცის ქვეშ. თანაც, სულ აბსოლუტურად განსხვავებული მიზანი აქვთ — ისინი წარმოადგენენ ტექსტილის მუზეუმებს, მათში თავმოყრილია აბრეშუმის ქსოვილის ნიმუშები, ხოლო მეაბრეშუმეობა, როგორც დარგი, იქ საერთოდ არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ლიონის ცნობილ მუზეუმს, ის ამჟამად დაშლილია და, თითქმის, არაფერი არ არის გადარჩენილი."

როგორც სტუმრებმა განაცხადეს, ჩვენთან რომ კაპიტალიზმი ყოფილიყო, არ არის გამორიცხული, რომ ეს შენობა ან რომელიმე ბანკს მიესაკუთრებინა, ან ამის მცდელობა მაინც ყოფილიყო. მაგრამ, რადგანაც დღემდე მოხერხდა მისი შენარჩუნება, დღეს ამ შენობის დაკარგვა ან მისი რომელიმე ვიწრო უწყების ხელში გადაცემა არ იქნება მართებული. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს აბრეშუმის მუზეუმი მისი უნიკალობისა და მასში წარმოდგენილი ექსპოზიციების მაღალი დონის გამო იმსახურებს, რომ შევიდეს იუნესკოს განძთსაცავში, როგორც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. ამ საკითხთან დაკავშირებით მათ უსაუბრიათ იუნესკოს წარმომადგენელთან საქართველოში — ბატონ პეტრე მეტრეველთან, რომელსაც მხარი დაუჭერია ამ წინადადებისთვის და, მოსალოდნელია, რომ ამ საკითხის შესასწავლად უახლოეს ხანში თბილისში იუნესკოს სპეციალური ექსპერტი ჩამოვა.

აბრეშუმის მუზეუმთან შექმნილია მეაბრეშუმეობის დარგის უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც უპატრონობით ნადგურდება. დღემდე ვერ მოხერხდა სპეციალურად ამ ბიბლიოთეკის კუთვნილი კარადების დილმიდან, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის შენობიდან უკან დაბრუნება და ერთმანეთზე დაყრილი წიგნების თაროებზე დალაგება. „ეს არის ნამდვილი ვანდალიზმი, როდესაც უნიკალური ბიბლიოთეკა ასე ნადგურდება. წარმოუდგენელია, როგორ ცდილობს მუზეუმის დირექტორი ამ ძვირფასი მემკვიდრეობის შენარჩუნებას ყოველგვარი სახსრების გარეშე", — თქვა ქალბატონმა ბეატრის შტერკმა.

ბიბლიოთეკისა და მუზეუმის კარადები მეცხრამეტე საუკუნეში დამზადდა სპეციალურად ამ შენობისთვის. როცა წიგნებისა და ექსპონატების დილომში, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობაში გადატანა გადაწყვიტეს, ბიბლიოთეკის კარადები დაშალეს და წიგნებთან ერთად დილომში გადაიტანეს, მუზეუმის კარადები და საგამოფენო ვიტრინები კი ვიღაც უბრალო ხელოსანმა, ეროვნებით სომეხმა, გადაარჩინა. მას კატეგორიული უარი უთქვამს კარადების დაშლაზე, როცა გაუგია, რომ დილომში მათი დასადგმელი ადგილი ჯერ კიდევ არ იყო მზად. თუ ეს კარადები სასწრაფოდვე არ აეწყო, შემდეგ მათი აწყობა არც მოხერხდებაო, — უთქვამს ხელოსანს და ასე გადაურჩენია საგანძური განადგურებისგან, ასე ადვილად რომ გაიმეტეს იმ ქართველმა მეპატრონეებმა, რომლებიც დღეს გაафთრებით იბრძვიან მისი კვლავ დასაკუთრებისთვის.

ქალბატონ ბეატრის შტერკის და ბატონ დიტმარ ლოის ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი საქართველოში მეაბრეშუმეობასთან და საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა იყო. გადაწყდა, რომ კონფერენცია გაისად, 1997 წლის სექტემბერში მოეწყობა თბილისში, მუზეუმი კი მისი ორგანიზებისთვის იდეალური ცენტრი იქნება. გამოიკვეთა ორი საინტერესო თემა, რომლებზეც წარიმართება მუშაობა. პირველი თემა კონკრეტულად მეაბრეშუმეობაში საქართველოს როლს მიეძღვნება, მეორე, უფრო ვრცელი კი — კავკასიურ აბრეშუმს და მის როლს აღმოსავლეთ-დასავლეთის ცივილიზაციათა გზათშესაყარზე. „მუზეუმი იქნება ამ ღონისძიებების მაკოორდინირებელი. იგი არა მხოლოდ წარსული მემკვიდრეობის, არამედ თანამედროვე საფეიქრო წარმოების აღორძინებისა და მომავლის გეგმების ჩასახვის ცენტრიც უნდა გახდეს", — განაცხადა ბეატრის შტერკმა. კონფერენცია მრავალმხრივი უნდა იყოს, მასში ჩაერთვება ისტორიაც, თანამედროვე ტექსტილის ხელოვნებაც და ინდუსტრიაც.

საერთაშორისო ტექსტილის კავშირს ოცი წელი დასჭირდა, სანამ საფრანგეთში აბრეშუმის კულტურის აღორძინებას მიაღწევდა. ინდუსტრიის და კომერციის მხრიდან არავის სჯეროდა, რომ ევროპაში მეაბრეშუმეობა კვლავ აღორძინდებოდა. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში ტენდენცია შეიცვალა. ჩინეთიდან აბრეშუმის იმპორტი გართულდა, ევროპელი მეაბრეშუმეები კი დარგის განვითარების ახალ წყაროს ეძებენ. დაიწყო მეაბრეშუმეობის განვითარება ევროპაში. საქართველოს აბრეშუმის მუზეუმი, შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლო იყოს ამ მიმართულებით, — მიაჩნია ბეატრის შტერკს, — მით უმეტეს, რომ თბილისი, როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში მეაბრეშუმეობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტად იზრდება მოთხოვნილება ბუნებრივ ქსოვილებზე, ჩნდება იმედი, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, კვლავ აღორძინდეს ამჟამად ჩამკვდარი მეაბრეშუმეობა და, მეორე მხრივ, აღდგეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი აბრეშუმის სატრანზიტო გზა. მეაბრეშუმეობის განვითარება მრავალ ადამიანს გამოუჩენს სამუშაო ადგილს, მით უმეტეს, რომ ამ დარგის სპეციალისტები, როგორც პარკის დამზადების, ისე საფეიქრო წარმოების, საქართველოში მრავლად არიან.

საერთაშორისო ტექსტილის კავშირი სამი მიმართულებით მუშაობს. ესენია: 1) წმინდა კულტურული მემკვიდრეობა; 2) თანამედროვე ტექსტილის მხატვრობა და ხელოვნების ამ დარგში მომუშავე მხატვრები; 3) ტექსტილის ხელოვნების სწავლება და მისი კავშირი ინდუსტრიასთან.

კულტურულ მემკვიდრეობას საერთაშორისო საფეიქრო ქსელის მესვეურები თანამედროვე ინდუსტრიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავენ. კავშირი ორ თვეში ერთხელ გამოსცემს ჟურნალ „Textil forum"-ს და გაზეთ „European Textile Networks", რომელშიც ევროპის ტექსტილის დარგში მიმდინარე პროცესებია განხილული. ასოციაციას 600 წევრი ჰყავს, ოღონდ, თითოეული წევრის მიღმა მუზეუმები და ორგანიზაციები დგანან. მისი წევრები მსოფლიოს ორმოცდაათი ქვეყნიდან არიან, მათ შორის, ევროპის ოცდათხუთმეტი ქვეყნიდან. საქართველოს ასოციაციის ინდივიდუალური წევრია ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ყიფშიძე, აგრეთვე, „ჯორჯიან ტექსტილ გრუპ"-ში გაერთიანებული ქართველი მხატვრები და ხელოვნების ისტორიის მუზეუმი, რომლის წარმომადგენელი ასოციაციაში მუზეუმის სწავლული მდივანი ირინე კორომიძეა. ევროპელებს საქართველოს აბრეშუმის მუზეუმი და მისი პრობლემები ქალბატონმა ნინო ყიფშიძემ გააცნო. „Textil Forum"-ში გამოქვეყნებული მისი სტატია და ევროპაში წაკითხული მოხსენებები გახდა ამ დარგის სპეციალისტების მუზეუმით დაინტერესების და მისი მხარდასაჭერი მიმართვების მიღების საფუძველი.

თუკი გავითვალისწინებთ ევროპულ გამოცდილებას, ცხადი გახდება, რომ აბრეშუმის მუზეუმი იქნება იდეალური ცენტრი მეაბრეშუმეობის კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვე ტექსტილის ხელოვნებისა და მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის ურთიერთდაკავშირებისა და შენარჩუნება-განვითარებისთვის. ამ მხრივ მუზეუმს უნიკალური როლის შესრულება შეუძლია და მისი რომელიმე ერთი უწყებისთვის დაქვემდებარება არ იქნება მიზანშეწონილი. თუკი მუზეუმსა და ბიბლიოთეკას დამოუკიდებელი სტატუსი მიენიჭება და მათ პატრონობას სახელმწიფო იტვირთებს, ეს ქვეყნის ბიუჯეტისთვის სრულიად უმნიშვნელო და შეუმჩნეველი ხარჯი იქნება, მისგან მიღებული სარგებელი კი — განუზომლად დიდი და მნიშვნელოვანი. ამდენად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯობს, ვიწროუწყებრივსა თუ პიროვნულ სურვილებზე მაღლა დავდგეთ და აბრეშუმის მუზეუმი შევინარჩუნოთ, როგორც მსოფლიო ღირებულების მქონე ეროვნული განძი და კულტურულ-მეცნიერული კვლევის დამოუკიდებელი, სრულფასოვანი და მრავალმხრივი ცენტრი.

სოზარ სუბელიანი

## მედიცინა

# „შეიყვარე ბავშვი, დაინახე ბავშვი და არა მხოლოდ ავადმყოფობა"

ექიმისთვის, მით უმეტეს, პედიატრისთვის, ამგვარი კეთილშობილების გამოვლენა ავადმყოფი ბავშვის მიმართ, ახალი სამედიცინო რეფორმის პირობებში, გმირობის ტოლფასად მეჩვენება. რადგან ბუღალტრული აღრიცხვის ტყვეობაში აღმოჩენილი ექიმებისთვის, ციფრების კორიანტელსა და სქელტანიანი პროგრამების გარემოცვაში, ბავშვის კი არა, თვით ავადმყოფობის სათანადოდ დანახვა, შეფასება და მკურნალობაც კი ძალზე რთულია. რეფორმა სამედიცინო სფეროში, რასაკვირველია, მოძველებული, ჟავლგასული სისტემის რეორგანიზებას, რღვევას და ახლის შენებას ითვალისწინებს. მაგრამ დანგრეული ეკონომიკის, გაპარტახებული მრეწველობისა და მეურნეობის პირობებში, ცარიელ ნიადაგზე სამედიცინო რეფორმის განხორციელება, სამედიცინო პერსონალზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მოსახლეობისთვის ხელისუფლებისგან კიდევ ერთი მომაკვდინებელი დარტყმა აღმოჩნდა. მით უფრო, რომ დაბნეული, სასოწარკვეთილი ადამიანებისთვის დაწვრილებით არავის განუმარტავს რეფორმის არსი. გაცნობასა და განმარტებაში მე არ ვგულისხმობ თვით ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას, რადგან მისი მრავალგზის წაკითხვითაც კი ძნელია იქ რამეს გარკვევა და მრავალ საჭირბოროტო საკითხზე პასუხის მოძებნა. მიმაჩნია, რომ თითოეული ადამიანისთვის, მთელი მოსახლეობისთვის ნათელი უნდა იყოს, კერძოდ, რას ითვალისწინებს ეს რეფორმა, რისთვის იყო იგი საჭირო, რა არის მასში მისაღები ან მიუღებელი. რა დაავადებაში რომელ ეტაპზე რამდენი, როგორ და რატომ უნდა გადაიხადოს პაციენტმა როდესაც ჯანმრთელობის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის ნიკა აბსანძის კაბინეტში ხანგრძლივად და შეძლებისდაგვარად გასაგებად მესაუბრნენ რეფორმასთან დაკავშირებით, ასე თუ ისე, ჩემთვის გასაგები გახდა, რომ სამედიცინო დაწესებულებების სისტემა იმდენად მოძველდა, რომ მისი ახლით შეცვლა მართლაც საშურ საქმედ იქცა. არც 37 ათასი ექიმი, ან ამდენი პოლიკლინიკა, ამბულატორია და სტაციონარი ყოფილა საჭირო საქართველოსთვის. ახლა უკვე პაციენტს მიეცა უფლება, თავად აირჩიოს ექიმიც და პოლიკლინიკაც. ამიტომ, თუ ეს დაწესებულებები არ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, ამ საყოველთაო გადაფასებების პროცესში, შესაძლოა, მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს. ექიმი თავისი შრომის, კვალიფიკაციის, დონის მიხედვით მიიღებს ანაზღაურებას და საბოლოოდ დარჩება ის, ვინც ნამდვილად ღირსია, ექიმის სუფთა ხალათი ატაროს და ვისაც თამამად შეიძლება, ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე ანდო.

მაგრამ ეს ხომ მომავლის საქმეა. თვით ექიმებს თუ მოვუსმენთ და დავუჯერებთ, უცხოურ სტილზე აგებული რეფორმის თარგი დანგრეული ეკონომიკის მქონე ჩვენი ქვეყნისთვის იმდენად მიურგებელი და მიუღებელია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მისი რეფორმატორები პოლიკლინიკებისა თუ სხვა სამედიცინო დაწესებულებების საქმეში სათანადოდ ჩახედულნი არც არიან. თანდათანობით, მუშაობის პროცესში, რასაკვირველია, დაიხვეწება და მისაღები გახდება რეფორმის სტილიც,



შინაარსიც და ფორმაც, მაგრამ ამ პროცესს, როგორც მითხრეს, სულ ცოტა ორი-სამი წელიწადი მაინც სჭირდება. რა ვუთხრათ მანამდე უილაჯობით ისედაც წელში გაწყვეტილ მოსახლეობას, რომელსაც ექიმის კაბინეტისკენ გახედვის ეშინია, რადგან სიტყვიერ კონსულტაციასაც კი საფასური ადევს? რით დავამშვიდოთ ავადმყოფი ბავშვების მშობლები, რომელთაც დღესდღეობით ქალაქში მასიურად მოდებული ინფექციის — ყბა-ყურას სამკურნალოდ 45 თეთრის გაღებაც აღარ შეუძლიათ, რადგან ეს ერთი კილო პურის ფასია? ცხადია, მათ ესმით, რომ შვილის ჯანმრთელობისთვის და სიკეთისთვის უკანასკნელი უნდა გაიღონ, მაგრამ მე მხედველობაში მყავს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც გასაყიდიც აღარაფერი დარჩა. ნუ დავმალავთ, რომ ასეთები საკმაოდ მრავლად, უკვე თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე არიან ჩვენს გვერდით. როდესაც ბავშვთა პოლიკლინიკების მდგომარეობას ვეცნობოდი, შევხვდი, ვესაუბრე ასეთ მშობლებს და კარგად დავინახე, რომ ბავშვის ავადმყოფობის დროს ბევრი მათგანი ექიმს საერთოდ აღარ იძახებს ბინაზე, მიმართავს თვითმკურნალობას ბალახებით ან სხვა ხალხური საშუალებებით. ექიმს თუ იძახებს, უკიდურეს შემთხვევაში, დაავადების მეოთხე, მეხუთე დღეს, როცა მდგომარეობა გამწვავებულია და დედა ველარ უმკლავდება ავადმყოფობას. შეწუხებულმა მშობლებმა ისიც ვეღარ დამალეს, რომ ბევრჯერ ბინაში მოსული უჩინს პედიატრისთვის საფასური ვეღარ გადაუხდიათ.

ასეთ დროს უხერხულია, ვილაპარაკოთ მაღალ იდეალებ-

გაგრძელება მე-14 გვ.

# ტუბერკულოზი მძვინვარებს — ჩვენ მშვიდად ვართ!



— ტებერკულოზი ქრონიკული, ინფექციური დაავადებაა და სწორედ ამის გამოა საშიში. ადამიანს ავადმყოფობა ნელნელა ეპარება. ამიტომ, ადრეულ სტადიაში, სანამ ფილტვის ქსოვილი არ დაირღვევა, როგორც წესი, ექიმს არ აკითხავენ. ექიმთან მისულ ავადმყოფებს, უმეტეს შემთხვევაში, დაგვიანებული ფორმა აქვთ და მათი მკურნალობა რთულდება, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ დღეს ასეთი ავადმყოფების განკურნების საშუალებები არსებობს. ტუბერკულოზის დამახასიათებელი ნიშნებია: ხველება, ოფლიანობა, უმადობა, საერთო სისუსტე (თუმცა, მსგავსი სიმპტომები სხვა დაავადებებსაც ახასიათებს).

ქალაქში ხუთი ტუბდისპანსერია. ავადმყოფებს შეუძლიათ პირდაპირ რაიონის დისპანსერებს მიაკითხონ და სათანადო გამოკვლევა ჩაიტარონ.

— ტუბერკულოზის საწინაალმდეგო ღონისძიებებია: პროფილაქტიკური ვაქცინაცია, ადრეული ზეგავლენა და დაავადების შემთხვევაში გადაუდებელი მკურნალობა.

ვაქცინაცია სამშობიარო სახლებში ტარდება. თუ გარკვეული მიზეზის გამო სამშობიაროში არ ჩატარდა აცრა, მაშინ ბავშვთა პოლიკლინიკა მოვალეა, ბავშვს ექვს თვემდე ან ერთ წლამდე გაუკეთოს პირველი ვაქცინაცია. რევაქცინაცია 5-6 წლის ასაკში ხდება.

— თუ ასე მოწესრიგებულია მდგომარეობა, მაშინ რატომაა გავრცელებული ტუბერკულოზი?

— მიზეზი ძალიან ბევრია, მოგეხსენებათ, საზოგადოების სოციალური მდგომარეობა — უმეტესობა გაჭირვებულია, შიმშილობს. ავად რომ ხდება ადამიანი, ექიმთან ვერ მიდის. იცის, რომ თანხაა გადასახდელი. ეს, რაღა თქმა უნდა, ავადმყოფობას ამძიმებს. რაც მთავარია, ტუბერკულოზი კონტაქტური დაავადებაა, გადამდებია. ბავშვები, იოლად იღებენ ტუბერკულოზის ბაქტერიას. ავადმყოფმა აუცილებლად ფთიზიატრს უნდა მიმართოს. ტუბერკულოზი არ არის ისეთი ზოგადი დაავადება, რომ ყველამ შეძლოს მისი მკურნალობა. ექიმი, რომელიც ასეთ ავადმყოფს ფთიზიატრთან არ წარადგენს, დიდ დანაშაულს სჩადის.

ტუბდისპანსერებს დღეს ყველანაირი საშუალება აქვთ, რომ გამოავლინონ დაავადება, უმკურნალონ, მოარჩინონ ავადმყოფები. ტუბერკულოზის მკურნალობა უფასოა, მხოლოდ მიზერული თანხაა გადასახდელი (ერთი ლარი და ოცი თეთრი, ამ თანხაში შედის რენდგენოლოგიური, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის კონსულტაციები და უფასო მედიკამენტები. ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია, 8-10 თვის მანძილზე გრძელდება.

მედიკამენტებით სრულიად უზრუნველყოფილი ვართ. ავადმყოფისთვის ყველაფერი გვაქვს. მთავარია, ჩვენამდე მოვიდეს.

— რამდენად გაიზარდა ბოლო ხანებში ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობა? სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელ წლებში იყო საქართველოში ასეთივე მძიმე მდგომარეობა?

— სტატისტიკა, ჯერჯერობით, არა გვაქვს. 10 აგვისტოდან 12 თვის შემდეგ ვიანგარიშებთ, რა მოხდა. რეალური სურათი კი საკმაოდ მძიმეა. ტუბდისპანსერები სავსეა დაგვიანებული ფორმის ავადმყოფებით.

ძირითადად, დაავადება დიდებში ვრცელდება. ადრე დაავადების ღია ფორმა ბავშვებთან არც კი გვხვდებოდა. დღეს გვხვდება. იცით, ეს რა საგანგაშოა?

საზოგადოება მოვალეა, თავის თავსაც გაუწიოს კონტროლი და მის გარშემო მყოფ პირებსაც. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა ტუბდისპანსერი მაღალკვალიფიციური ექიმებითაა დაკომპლექტებული. შეცდომა ჩვე[illegible]ან სრულიად გამორიცხულია.

სტაციონარში ძალიან კარგი პირობებია. ტუბდისპანსერებს ვერც ერთი საავადმყოფო ვერ შეედრება, ჩვენთან სამჯერადი კვებაა, მედიკამენტები უფასოა.

— მიკრობაქტერიით ინფიცირება ხდება როგორც დაავადებული პირისგან, ასევე დაბინძურებული საკვებით. ჩვენთან საშინელი ვითარებაა, მთელი ქალაქი ბაზრობადაა ქცეული. თუნდაც, შიდაბაზრობების პირობებში, საზოგადოება რამდენად არის დაცული საშიშროებისგან, რომ ბაქტერიებით დაბინძურებულ საკვებს არ იღებს?

— არ შეიძლება არა მხოლოდ საკვებით ასეთი შეუზღუდავი ვაჭრობა, არამედ აფთიაქებიც კი უნდა აიკრძალოს. წინათ, ვინც კი კვების ბლოკში, საბავშვო ბაღში ან აფთიაქში მუშაობდა, სანიტარული წიგნაკი ჰქონდა. იმ სანიტარულ წიგნაკში შედიოდა გულმკერდის რენდგენოგრაფია. ახლა ვინ ვის ამოწმებს? არც ერთი გამყიდველი შემოწმებული არ არის, მიმდინარეობს სტიქიური ვაჭრობა, გაჭირვების ჟამია, განსაკუთრებით, ლტოლვილებს უჭირთ, მაგრამ სწორედ ლტოლვილთა შორის, იცით, რამდენი ტუბერკულოზით დაავადებულია?! დაავადებული პირი რომ ჰყიდის ხაჭაპურს, ნამცხვარს, კარაქს, ვინ იცის კიდევ რამდენს აავადებს. ტუბერკულოზი ხომ ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება.

— როგორ უნდა მოვიქცეთ, სანეპიდსადგურების მაკონტროლებელი მუშაობა მოშლილია, ქვეყანაში კანონს არავინ ემორჩილება, რას ურჩევთ მოსახლეობას, როგორ დაიცვან თავი გახშირებული ინფექციური დაავადებებისგან?

— ხერხი მარტივია. ნუ გაწირავთ თავს, თუ არადა, ბავშვები მაინც მოვარიდოთ რისკს. ნუ შეიძენთ ქუჩაში საკვებს, ამით ხომ საკუთარ ჯანმრთელობას, თქვენი ოჯახის კეთილდღეობას აგდებთ საფრთხეში.

— საზოგადოებრივი კვების ადგილებში, სადაც არ გამოიყენება ერთჯერადი ჭიქები, სადაც გამოხარშვის წესით არ მუშავდება კოვზი, ჩანგალი, თეფში — შეიძლება ბავშვების შეყვანა?

— ალბათ, იქ მაინც ექნებათ სანიტარული წიგნაკი, ამის გარეშე, არა მგონია, ვაჭრობის ნება დართონ...

— ესეც ეჭვის დონეზეა?

— დიახ, ესეც საეჭვოა. ახლა სანეპიდსადგური ვერაფერს გახდება. საზოგადოებრივი კვების ადგილებში საჭმლის თუ ჭიქა წვენის მირთმევა დიდი რისკია, მოსახლეობისთვის და, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის.

პროფილაქტიკური მუშაობა ადრე უფრო მაღალ დონეზე იყო. ფლუოროგრაფიული სამსახური დიდ საქმეს აკეთებდა.

— სამედიცინო კულტურა, უკაცრავად საზოგადოებასთან, თითქმის არ გაგვაჩნია...

— უდავოდ ასეა. ვაფრთხილებ საზოგადოებას, არავინ არავის ეტყვის, შენ აუცილებლად ფთიზიატრთან უნდა მიხვიდეო, ამას პიროვნება თავად უნდა მიხვდეს. დროა, მოსახლეობის სამედიცინო კულტურის დონე ამაღლდეს.

— რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან სამედიცინო პერსონალი და არა მხოლოდ...

— რისკის ჯგუფში ყოველთვის იყვნენ ექიმი, ექთანი და ასე შემდეგ. მაგრამ ყველაზე მეტად რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან — ბავშვები, რომელთაც კონტაქტი აქვთ ავადმყოფთან. ბავშვებში კეთდება მანტუს სინჯი, რომლის მეშვეობითაც ვგებულობთ, ინფიცირებულია თუ არა ბავშვი.

ასევე რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან ნარკომანები, ალკოჰოლიკები, პატიმრები. ციხეში საშინელი სიტუაციაა.

— რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ყოველივე ამან?

— პროგრამა, რომლითაც დღეს ვხელმძღვანელობთ, მოგვაწოდა საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (ჟენევა). მსოფლიოში მძვინვარებს ტუბერკულოზი (ამერიკაშიც, გერმანიაშიც). ამ ორგანიზაციამ გადაწყვიტა, მსოფლიოს მასშტაბით გაატაროს თავისი პროგრამა. რა თქმა უნდა, განვითარებად ქვეყნებს მიგვათვალეს ჩვენც (სომალისთან და სხვა განვითარებად ქვეყნებთან ერთად), ჩამოვიდნენ თავიანთი პროგრამით, მედიკამენტებით, სამედიცინო აპარატურით. ჩვენ არაფერი გვქონდა, რას იზამ, არ დაემორჩილებით?! სხვა გზა არ არის. მათი პროგრამა უნდა შესრულდეს.

— როგორ შეიძლება ვინმეს დაექვემდებარო, თუნდაც უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების დროს. ჩვენ ხომ ჩვენა ვართ, ჩვენთან ხომ სხვა სიტუაცია, სხვა რეალობაა, როგორ შეიძლება სომალისა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ერთი და იგივე პროგრამა ჰქონდეს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სომალის ვგავდეთ. ქვეყნის განვითარების პროცესიც ხომ ინდივიდუალურია?

— საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ ეროვნული პროგრამა შეიმუშავა, მთლად ასეც არაა ჩვენი საქმე. სამედიცინო მომზადების დონით ჩვენი სპეციალისტები არავის ჩამოუვარდებიან, პირიქით. ჩვენთვის ხელსაყრელია მხოლოდ მათი დახმარება მედიკამენტებითა და სამედიცინო, უახლესი აპარატურით. სხვადასხვა ქვეყანა ერთი მიმართულებით რომ განვიხილოთ, შეუძლებელია. თუნდაც ტუბერკულოზით დაავადებულთა შორის, ორ ერთნაირ კლინიკას ვერ შეხვდებით. ყველა ინდივიდია, ყველას სხვადასხვა დოზით და სიფრთხილით სჭირდება მკურნალობა.

ახლა თუ ვინმე ტუბერკულოზით გარდაიცვლება, შეიძლება ითქვას, რომ ეს დანაშაული იქნება, როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის წევრების მხრიდან, რადგან ყველა საშუალება არსებობს ამ დაავადების სრული განკურნებისთვის. ყველა საეჭვო შემთხვევაში მიმართეთ ტუბდისპანსერებს, ვიმეორებ, მკურნალობა უფასოა, გამოკვლევები უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ბავშვებს ქუჩაში არაფერი აჭამოთ, იყიდეთ შედარებით ძვირად, მაგრამ ჯანმრთელობის გარანტიით, მხოლოდ და მხოლოდ სერტიფიცირებული საკვები.

ცხადია, ამ საუბრის შემდეგ ვერ გაირკვა, თუ ვის ევალება დაავადებულთა რიცხვის სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, ვერც ის გაირკვა, როდემდე შეიძლება იყოს უგულებელყოფილი სანეპიდსადგურის მუშაობა. რატომ აღარ არის სავალდებულო გულმკერდის რენტგენოგრაფია. ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი, ხომ არ შეიძლება, ყველაფერი რეფორმას და ევროფონდის მიერ მოწოდებულ თუ თავსმოხვეულ პროგრამებს გადავაბრალოთ. ჩვენ სულაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას ფრაზა, რომ, თურმე, სომალიში უარესი მდგომარეობაა. ის, რომ, თურმე, ქართველ მედიკოსთა მომზადების დონე ძალიან მაღალია.

ერი კატასტროფისკენ მიექანება, ჯანმრთელობის დაცვა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ვინ უნდა იზრუნოს საზოგადოების სამედიცინო, ვაჭრობის, კვების თუ შინაგანი კულტურის დონის ამაღლებისთვის. ვის მოვთხოვოთ პასუხი — არავინ იცის.

**ირმა კახნიაშვილი**

# «გიყვარდეს ბავშვი, დაინახე ბავშვი და არა მხოლოდ ავადმყოფობა»

მე-13 გვერდიდან

ზე, გეგმებსა და მიზნებზე და ყველაფერი განვსაჯოთ მხოლოდ იმათი მაგალითით, ვისაც არც შია და არც სწყურია. ამჯერად მაპატიონ ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მუშაკებმა, რომელთაც დანაპირებს ვერ შევუსრულებ, ვერ ვისარგებლებ საჭირო, საქმიან სიტყვას დანატრებული მკითხველის მოთმინებით და ვერ დავამშვიდებ იმ გულუბრყვილო სენტენციით, რომ უკვე დამდგარია დრო, როცა ყველაზე უკეთ უნდა გავიგოთ საკუთარი ჯანმრთელობის, სიცოცხლის ფასი, როცა დროულად უნდა ვიფიქროთ დაავადების გამოკვლევაზე, არ გავართულოთ იგი, რადგან ამით არა მხოლოდ ჩვენს ჯანმრთელობას მოვუფრთხილდებით, არამედ საკუთარ ფულად სახსრებსაც. თურმე ნუ იტყვით და, უცხოეთის ქვეყნებში კბილის მკურნალობა გაცილებით იაფია, ვიდრე, ვთქვათ, პროტეზირება, რადგან პროტეზამდე მისული პრობლემა პიროვნების დაუდევრობის და უყურადღებობის შედეგია. არადა, უცხოური მაგალითების მოშველიება უხერხულია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩვენს მოქალაქეს თავისი შრომის ანაზღაურების საფასურიდან ერთი კბილის სამკურნალო თანხის მოძიებაც უჭირს.

ამიტომ, როგორც არ უნდა გვესმოდეს საკუთარი ჯანმრთელობის ფასი, უსახსრობის გამო ძნელი, ხშირად კი შეუძლებელია მისთვის ზრუნვა. სხვა რაღა დაგვრჩენია, დავდგეთ და გულხელდაკრეფილები დაველოდოთ, როდის ამუშავდება წარმოებები, როდის ექნება ხალხს ნორმალური ხელფასი, როდის დაიხვეწება სამედიცინო რეფორმა. მანამდე კი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა ხომ მაინც იციან, რა კატასტროფის წინაშე დგას, დიდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მომავალი თაობის ჯანმრთელობა. ხომ ვიცით, რომ საგრძნობლად იმატა ბავშვებში ისეთი დაავადების რაოდენობამ, როგორიცაა ბრონქიალური ასთმა, ტუბერკულოზი, ინფექციური ჰეპატიტი და სხვა. ათასგვარი სიმპტომითა და გართულებებით მიმდინარე ვირუსულ გრიპებს, რომელთათვისაც სახელიც ველარ დაგვირქმევია, ხომ ნუღარ იკითხავთ.

მთაწმინდის რაიონის ჯანმრთელობის საქმეთა კოორდინატორმა რევაზ მორგოშიამ ბრძანა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ არც ერთი მოზარდი, ფაქტობრივად, ჯანმრთელი არ არის. კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ბავშვთა სიკვდილიანობის რიცხობრივი მაჩვენებელი. როცა ერთ-ერთ ექიმს ამ თვალსაზრისით წლევანდელი მაჩვენებლის დასახელება სთხოვეს, მან განაცხადა, რომ საკმარისი იქნებოდა, შარშანდელი რიცხვი ასჯერ გაედიდებინათ.

თუ გვინდოდა, რომ მოსახლეობა თანამედროვე ცხოვრების ამ აუცილებელ ნაბიჯს, რეფორმას, შეძლებისდაგვარად გაგებით მოჰკიდებოდა, პოლიკლინიკის შენობაში ფეხშედგმული მშობლისთვის მისთვის გასაგებ ენაზე, ადამიანურად უნდა აგვეხსნა, რომ ამ რეფორმის განხორციელებაში ჩართულია სამი პროგრამა: ფედერალური (სახელმწიფო), მუნიციპალური (ქალაქის) და შიდა პოლიკლინიკის; რომ ბავშვთა მომსახურებას, ზოგიერთ დაავადებას სახელმწიფო ან ქალაქის მერია აფინანსებს და სხვა დაავადებები, რომლებიც მათ სტანდარტში არ შევიდა, თავად შეაფასა თითოეულმა პოლიკლინიკამ საკუთარი გათვლებით. ეს იმისთვის, რომ იარსებოს თვით პოლიკლინიკამ, ფეხზე დადგეს, შეძლოს, მიიღოს პაციენტი; რომ ექიმმა, რომელიც ზამთრის სიცივეში, უშუქობაში, სანთლის შუქზე მიიკვლევს გზას რომელიმე სახლის მეთერთმეტე სართულზე, დროულად მიიღოს ხელფასი. ვაღიაროთ, რომ ექიმის შრომა მართლაც განსაკუთრებით პასუხსაგები, დაძაბული, ორმაგად რთულია, როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად.

გარდა ამისა, საჭიროა, პაციენტი გაერკვეს იმ მთავარ საკითხში, თუ რა დაავადებები და მომსახურება შედის იმ საფასურში, რასაც იხდის, რა ღირს ექიმის ვიზიტი ბინაზე, კონსულტაცია პოლიკლინიკაში, ანალიზები ლაბორატორიაში, ჯანმრთელობის ცნობის გაცემა (თორემ, ხშირად ხდება, რომ მშობელს ჰგონია, ფულს იხდის ცნობაში, რომელიც, ფაქტობრივად, უფასოა). მშობელმა უნდა იცოდეს, რომ აცრები უფასოა, მაგრამ მანტუს სინჯის აღება აცრა არ არის, იგი ერთი ლარი ღირს, რადგან ამ პროცედურის ჩასატარებლად პოლიკლინიკა თავად ყიდულობს ბამბას, სპირტს და ერთჯერად შპრიცს. დაბოლოს, ყველა პროცედურა პოლიკლინიკაში ქვითარზე უნდა გადაიტანოს ექიმმა, ავადმყოფმა თავად გადაიხადოს თანხა ამ ქვითრით სალაროში და ხელიც მოაწეროს. მშობელთა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა პოლიკლინიკაში მომსახურების ტარიფები განსხვავებულია. ზოგან ექიმის ბინაზე გამოძახება 1 ლარი და 50 თეთრია, სხვაგან თანხა 2,4 ლარიდან 6 ლარამდე მერყეობს. ეს გამოწვეულია იმით, თუ როგორ აქვს შეფასებული ცალკეულ პოლიკლინიკას ეს სტანდარტი და რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს მას ცალკეულ შემთხვევაში (ექიმის ერთი, ორი, სამი ვიზიტი, ანალიზები და ა.შ.), სხვადასხვაა სკოლამდელთათვის ფორმა № 26-ის გაცემის ფასებიც. ეს საბუთიც უფასოა, მხოლოდ მშობელი ლოგოპედის კონსულტაციის საფასურს იხდის. მაგრამ ზოგიერთი პოლიკლინიკა ამახინჯებს ამ ფასს მშობლის გაუთვითცნობიერებლობის გამო. ტექნიკურ სასწავლებელში წარსადგენად საჭირო საბუთი (ფორმა № 26) ბავშვის მშობელს ერთ-ერთ პოლიკლინიკაში რვა ლარად შეუფასეს. მშობელი, რომელსაც ხელფასი სულ 15 ლარი ჰქონდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ამგვარი დარღვევები უფრო იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას, ვიდრე თავად ის ფაქტი, რომ სამედიცინო მომსახურება ფასიანი გახდა.

ალბათ, არსებობს ჩვენი წერილის მიღმა დარჩენილი სხვა პრობლემებიც როგორც მოსახლეობისთვის, ისე, რასაკვირველია, სამედიცინო დაწესებულებებისა და მედპერსონალისთვის. აუცილებელია, ექიმთა დაცვის მექანიზმიც ამუშავდეს. მათზეც სათანადოდ იზრუნოს სახელმწიფომ, მაგრამ არა გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე. დღეს, თვითდამკვიდრების პერიოდში, ნებისმიერი ადამიანისთვის რთულია ცხოვრების პირისპირ დგომა, ვერც ავადმყოფი ბავშვის სიყვარულს აიძულებ ექიმს, მაგრამ ექიმობა, პედაგოგობასთან ერთად, იმ იშვიათ, კეთილშობილურ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლისთვისაც უნდა დაიბადო. ცხოვრებისგან წელშიგატეხილ ადამიანებს დღეს ყველაზე მეტად ასეთი ექიმები სჭირდებათ.

**ლალი ყანდარელი**

# „უეცარი სიკვდილი" ფინალში

ევროპის X ჩემპიონატზე, ინგლისში კონტინენტის უძლიერესმა გუნდებმა მოიყარეს თავი. წლევანდელი გათამაშება ახლებური სისტემით ჩატარდა. რვა გუნდის ნაცვლად ფინალურ ეტაპზე თექვსმეტი გუნდი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ფინალისტთა შორის პირველად ვიხილეთ ახლადშექმნილი სახელმწიფოს, ხორვატიის ძლიერი გუნდი, რომელიც, ძირითადად, ყოფილი იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ბევრისთვის მოულოდნელად, ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა. ფინალურ ეტაპზე ასევე პირველად გამოჩნდნენ: ჩეხეთისა და თურქეთის გუნდები, რომელთაც, ხორვატებისგან განსხვავებით, სერიოზულ მეტოქეებად არავინ აღიქვამდა. ტრადიციისამებრ, უდიდესი ყურადღების ცენტრში, ევროპული ფეხბურთის გრანდები: გერმანიის, იტალიისა და, რასაკვირველია, ინგლისის ნაკრები გუნდები აღმოჩნდნენ. თუმცა, იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ იტალიელებმა თავად გაირთულეს მდგომარეობა, რადგან მთავარი მწვრთნელის, არიგო საკის გაუგებარი და, ამავე დროს, პრინციპული გადაწყვეტილების თანახმად, ნისლიან ალბიონზე ჯან ლუკა ვიალის, რობერტო ბაჯოსა და ჯუზეპე სინიორის გარეშე წავიდნენ, რითიც, უდავოა, რომ უპირატესობა თავიანთ მეტოქეებს მიანიჭეს. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა საფრანგეთის ნაკრები გუნდიც. მთავარმა მწვრთნელმა, ემე ჟაკემ 22 ფეხბურთელს შორის ადგილი ვერ მოუძებნა 1996 წლის ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელს — ერიკ კანტონას და დავიდ ჟინოლას, რომლებიც, თურმე, მწვრთნელის მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ სქემაში ვერ ჯდებოდნენ. ასე იყო თუ ისე, ევროპის ჩემპიონატი კონტინენტის რამდენიმე აღიარებული ვარსკვლავის გარეშე წარიმართა.

პირველ ჯგუფში, სადაც ინგლისის, პოლანდიის, შოტლანდიის და შვეიცარიის გუნდები ასპარეზობდნენ, უდავო ფავორიტებად ინგლისისა და პოლანდიის გუნდები იყვნენ მიჩნეულნი და თითქოს ორიგინალური არაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველ შეხვედრაში — ინგლისი-შვეიცარია ფრე აღინიშნა (1:1), ხოლო პოლანდიელებმა ვერ დაამარცხეს შოტლანდიელები (0:0), მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. მომდევნო შეხვედრებში ვნებათა ღელვა თითქოს დაცხრა: ინგლისი-შოტლანდია — 2:0, პოლანდია-შვეიცარია — 2:0, მაგრამ მთავარი დრამა უკანასკნელ ტურში გათამაშდა. მაშინ, როცა სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ პოლანდია-ინგლისის მატჩი საყაიმო ანგარიშით დასრულდებოდა და ორივე გუნდი უმტკივნეულოდ გავიდოდა შემდეგ ეტაპზე, ინგლისელებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს და მოწინააღმდეგეს შირერ-შერინგემის წყვილმა ოთხი ბრწყინვალე გოლი გაუტანა. პარალელურად სკოტები ალი მაკოისტის გოლის წყალობით შვეიცარიელებს ამარცხებდნენ 1:0 და მატჩები ასე რომ დამთავრებულიყო, მომდევნო ეტაპზე შოტლანდიელები გადიოდნენ. მაგრამ, შეცვლაზე შემოსულმა პატრიკ კლუივერტმა სკოტებს, როგორც იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა და შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ინგლისელთა მეკარის სიმენის კარში, ალბათ, ჯგუფური ტურნირების ყველაზე საჭირო გოლი გაიტანა, 1:4 და პოლანდიის ნაკრები მასპინძლებთან ერთად მომდევნო ეტაპზე გავიდა.

მეორე ჯგუფში — საფრანგეთი, ესპანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი — შეიძლება ითქვას, თანაბარი ძალის მეტოქეებმა მოიყარეს თავი. ამიტომ, წინასწარი პროგნოზებისგან სპეციალისტებმა თავი შეიკავეს. მაგალითად, ექსპერტთა ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ რუმინეთის ნაკრები, ისევე, როგორც ბულგარეთის, შეძლებდა ორი წლის წინანდელი წარმატების განმეორებას და ნახევარფინალში თუ არა, მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდოდა. შესაძლებელია ასეც მომხდარიყო, დაბალკვალიფიციური მსაჯობა რომ არა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსაჯების ფანტაზიებმა ბევრჯერ შეცვალეს თამაშის ბედი და მათი შეცდომების მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე, სწორედ მეორე ჯგუფის გუნდებმა გამოსცადეს. მაგალითად: ბულგარეთი-ესპანეთის მატჩში ხრისტო სტოიჩკოვს ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს. თამაში კი ფრედ — 1:1 დამთავრდა. ბულგარეთის ნაკრებმა ორი ქულა დაკარგა. მეორე ტურში მსაჯების „თავისუფალი შემოქმედება" მთელი სიმწვავით გამომჟღავნდა. რუმინეთი-ბულგარეთის მატჩში, რომელიც ბულგარელთა გამარჯვებით — 1:0 დასრულდა, მსაჯმა ვერ შეამჩნია მუნტიანუს ბრწყინვალე გოლი, რითიც რუმინელებს ბრძოლის გაგრძელების ყოველგვარი იმედი მოუსპო. ასე იყო თუ ისე, მესამე ტურის წინ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს სამივე გუნდი ინარჩუნებდა. შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ მეოთხედფინალისტთა ბედი კენჭისყრას გამოერკვია. მაგრამ ეს პრობლემა უმტკივნეულოდ გადაჭრა საფრანგეთის ძლიერმა და შეკრულმა გუნდმა, რომელიც, მართალია, სწრაფ, შემოქმედებით ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ აშკარად აკლდა იმ დონის ლიდერი, რომელიც მარტო შეძლებდა თამაშის მოგებას. ფრანგებმა დაამარცხეს ბულგარელები 3:1, ხოლო ესპანელებმა სძლიეს რუმინელებს 2:1 და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

„C" ჯგუფი სპეციალისტებმა „სიკვდილის ჯგუფად" მონათლეს. აქ ერთმანეთს შემდეგი ეპატის საგზურს მსოფლიოს ფეხბურთის ორი გრანდი — გერმანიის, იტალიის — და ჩეხეთისა და რუსეთის გუნდები ეცილებოდნენ. იტალიის, ჩეხეთისა და გერმანიის გუნდებზე უკვე ვისაუბრეთ. აი, ფიფას რეიტინგით გათამაშებული რუსეთის ნაკრები კი, წინასწარი მონაცემებით, ჯგუფში ერთ-ერთ ფავორიტად იყო მიჩნეული, მაგრამ საშუალო დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული რუსეთის ნაკრების რეალური ძალა სხვაგვარი აღმოჩნდა. რუსებმა სტარტზე ზედიზედ ორი მარცხი იწვნიეს: იტალიასთან — 2:1, გერმანიასთან — 3:0. ჩეხებთან ფრეს მიაღწიეს 3:3 და უწახელოდ დაბრუნდნენ სამშობლოში. ამ ჯგუფში მთავარი ბრძოლა ჩეხეთისა და იტალიის ნაკრებებს შორის გაიმართა. ჩეხებმა გერმანელებთან დამარცხების შემდეგ (0:2), სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს იტალიელებთან 2:1 და „სკუადრა აძურა" უმთავრესად საკის „დიადი გარჯის" მეოხებით, ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდეს. მესამე მატჩი გერმანელთა წინააღმდეგ, რომელიც ფრედ — 0:0 დამთავრდა, იტალიელთათვის უიღბლო (ძოლამ ვერ გამოიყენა პენალტი), მაგრამ ლოგიკური აღმოჩნდა და ვარსკვლავებს მოკლებული ეს გუნდი მეოთხედფინალს მიღმა აღმოჩნდა.





„D" ჯგუფს აშკარა აუტსაიდერი ჰყავდა. თურქებმა სამივე შეხვედრა წააგეს: ხორვატიასთან — 0:1, პორტუგალიასთან — 0:1, დანიასთან — 0:3 და გამოეთიშნენ გათამაშებას. ხორვატიის ნაკრებმა, რომელმაც ბრწყინვალე სტილში — 3:0 დაამარცხა დანიის გუნდი, პირველმა მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური. ტემპს არ ჩამორჩა პორტუგალიის ძლიერი გუნდი, რომელმაც ბოლო ტურში დიდი ანგარიშით — 3:0 დაამარცხა შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე ხორვატიის ნაკრები და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ინგლისი-ესპანეთი, საფრანგეთი-პოლანდია, გერმანია-ხორვატია, პორტუგალია-ჩეხეთი. უემბლიზე ერთმანეთის პირისპირ ინგლისის და ესპანეთის გუნდები წარდგნენ. ჯგუფურ ტურნირში ინგლისელთა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და სპეციალისტთა აღიარება დაიმსახურა. ბრიტანელთა რიგებში გამოირჩეოდნენ პოლ გასქოინი, პოლ ინსი და რასაკვირველია, ალან შირერი, რომელმაც ჯგუფურ თამაშებში ოთხჯერ აიღო მეტოქის კარი. საერთოდ, ინგლის-ესპანეთის მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატზე. ესპანელებთან მატჩში დისკვალიფიცირებული ინსის ნაცვლად დევიდ პლატი გამოჩნდა, რომელმაც ვერ უზრუნველყო მოედნის ცენტრში ინგლისელთა გაბატონება. ესპანელები კარგად განლაგდნენ მინდორზე. მატჩის მსვლელობისას შესამჩნევ უპირატესობას მიაღწიეს და გვერდითი მსაჯის შეცდომები რომ არა, სანადელსაც მიაღწევდნენ. საბოლოოდ უკეთ შესრულებული თერთმეტმეტრიანების წყალობით (4:2) ინგლისელები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

საფრანგეთ-პოლანდიის შეხვედრა დაზვერვას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე შემოქმედებით თამაშს. გუნდები საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობდნენ და ეტყობოდათ, რომ შემთხვევის იმედზე იყვნენ. ამ მატჩში ფრანგებს აშკარად დაეტყოთ ერიკ კანტონას არყოფნა. გუნდში არ იყო ლიდერი, რომელიც შეტევას ზუსტი დარტყმით დააგვირგვინებდა. და კლარენს ზეედორფი 90-ე წუთზე უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, ფრანგები ჩემპიონატს დატოვებდნენ. საბოლოოდ, საქმე ამჯერადაც თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა, სადაც გამარჯვება ფრანგებმა მოიპოვეს — 5:4.

გერმანელებთან თამაშის წინ ხორვატებმა განაცხადეს: პორტუგალიასთან შეხვედრა სპეციალურად წავაგეთ, მეოთხედფინალში გერმანელების დამარცხება გვინდოდაო. შესაძლებელია, ხორვატებს გერმანელებთან ძველი ანგარიში ჰქონდათ, მაგრამ ჩეხებთან თამაში გერმანიასთან ჭიდილზე ადვილი რომ იქნებოდა, ეს ველარ გაითვალისწინეს. თამაში მართლაც დაუნდობელი გამოდგა და უხეშობის ზღვარზე მიმდინარეობდა. ის კი არა, მეორე ნახევარში მსაჯმა ხორვატი შტიმაცი გააძევა და ისედაც გადაღლილი ხორვატები ურთულეს მდგომარეობაში ჩააყენა. ანგარიში თერთმეტმეტრიანი დარტყმით კლინსმანმა გახსნა. მეორე ნახევარში დავორ შუკერმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ტექნიკური დარტყმით აღადგინა წონასწორობა — 1:1, მაგრამ რამდენიმე წუთში გერმანელები კვლავ დაწინაურდნენ. ზამერის გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა — 2:1. აქაც შეიძლებოდა მსაჯების შეცდომაზე ლაპარაკი და საგოლე გადაცემის მომენტში ბაბქლის დაჯარიმება, მაგრამ მსაჯებმა ეს ეპიზოდი ყურადღების გარეშე დატოვეს და გერმანიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

ჩეხეთის ნაკრები ტურნირის ნამდვილ სენსაციად მოგვევლინა, ხოლო ნახევარმცველი კარელ პობორსკი კი ჩემპიონატის აღმოჩენად. სწორედ მან გაიტანა პორტუგალიელთა კარში ერთადერთი ბრწყინვალე გოლი, რომელმაც ჩეხებს ნახევარფინალის საგზური მოაპოვებინა. ამ ფეხბურთელის შესანიშნავი თამაშით აღფრთოვანებულმა „ლივერპულის" გუნდის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის გაიღოს ნებისმიერი თანხა პობორსკის გადახაბირებლად. ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ჩემპიონატზე საკუთარი სტილის მქონე, კარგად დაკომპლექტებული გუნდი ჩამოიყვანა და ამ გუნდის დამსახურებული წარმატება უსათუოდ დუშან უჰრინის ნიჭს უნდა მივაწეროთ.

ინგლის-გერმანიის ნახევარფინალური მატჩი ჩემპიონატის ულამაზეს თამაშად უნდა მივიჩნიოთ. ეს შეხვედრა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთგვარი გამოძახილი გახლდათ. მაშინაც ინგლისელებმა გახსნეს ანგარიში და ახლაც შირერმა მე-3 წუთზე დააწინაურა ბრიტანელები, იმ შეხვედრაში, დამატებით დროში ინგლისელებმა იმარჯვეს — 4:2. ამჯერად კი რამდენიმე წუთში კუნცმა აღადგინა წონასწორობა — 1:1 და საქმე პენალტებამდე მიიყვანა. ამ თამაშში იყო ყველაფერი, რისთვისაც უყვართ ფეხბურთი და აფასებენ მას. იყო ლამაზი კომბინაციები და ინდივიდუალური გარღვევები, მტკივნეული შეტაკებები და არგამოყენებული საგოლე მომენტები. დაძანცული მოთამაშეები და გულშემატკივართა შეშლილი სახეები. ათი ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი და საუთგეიტის უხეირო დარტყმა.

სიმენ!.. სიმენ!.. სიმენ!.. სასოწარკვეთილი ყვიროდა სტადიონი. მისთვის ლოცულობდა მთელი ინგლისი. ამ მეკარემ რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდი... მაგრამ ბურთთან მიოლერი მივიდა და დაარტყა — მარჯვენა მაღალ კუთხეში. მორჩა. გერმანიის ნაკრები ფინალშია. სტადიონი ერთხანს გაყუჩდა. ინგლისის დროშისფრად შეღებილ სახეებზე ცრემლი დაგორდა და მასობრივი ისტერია დაიწყო.

...გალეშილი ქომაგები, დამწვარი მანქანები, დამსხვრეული ვიტრინები, დაჭრილი ადამიანები.

ინგლისის ნაკრებმა უკანასკნელი წლების მანძილზე თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. თუ ტერი ვენეიბლზის წასვლა გუნდის თამაშზე ნეგატიურად არ იმოქმედებს და ინლისელებმა შეინარჩუნეს ნაკრების ძირითადი ბირთვი — სიმენი, ნევილი, გასქოინი, ინსი, პლატი, მაკმანამანი, შერინგემი, შირერი — ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა ინგლისის ნაკრები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

მეორე შეხვედრა, ჩეხეთი-საფრანგეთი, პირველი მატჩის ფონზე ვარჯიშს უფრო გავდა, ვიდრე ნახევარფინალს. გუნდები მხოლოდ მეორე ტაიმში შეფუცხუნდნენ, როცა სახიფათო დარტყმები განახორციელეს (ჯორკაეფმა და ზიდანმა). აქაც საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. გულშემატკივრებმა ამჯერადაც ვერ იხილეს „უეცარი სიკვდილი" ე.წ. ოქროს გოლის სახით, რომელიც უეფას შეფებმა, როგორც საცდელი ექსპერიმენტი, ამ ჩემპიონატზე დანერგეს. უნდა ითქვას, რომ ახალი წესის შემოღება, გარდა იმისა, რომ დამარცხებულ გუნდს მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას უსპობს, არ გამორიცხავს შემთხვევითობას და შეიძლება ისე მოხდეს, რომ უძლიერესი გუნდი ფინალს მიღმა აღმოჩნდეს. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუ ამ წესის ავკარგიანობის თაობაზე სჯა-ბაასი კვლავაც გაგრძელდება.

ფინალში, ისევე, როგორც ოცი წლის წინ, ერთმანეთის პირისპირ გერმანიის და ჩეხეთის გუნდები წარსდგნენ. თამაშის წინ გერმანელები სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ცხრა ფეხბურთელი ტრავმირებული აღმოჩნდა, ხოლო მიოლერი და როიტერი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდნენ თამაშს. საქმე იქამდე მივიდა, რომ უეფას უპრეცედენტო გადაწყვეტილების თანახმად, ბერტი ფოგტსმა გერმანიიდან სასწრაფოდ გამოიძახა ორი მოთამაშე. ჩეხებმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს თავის სახელოვან მოწინააღმდეგეებს და პატრიკ ბერგერის ზუსტად შესრულებული პენალტის წყალობით ანგარიშიც გახსნეს — 1:0. გაშვებულ გოლს გერმანელთა ბუნებრივი გააქტიურება მოჰყვა. ბერტი ფოგტსმა ბრძოლაში მესამე ფორვარდი ჩართო, მეჰმედ შოლის ნაცვლად მინდორზე ოლივერ ბიერჰოფი შემოვიდა. ჩეხი მცველები, რომლებიც ისედაც ძლივს აჩერებდნენ კლინსმან-კუნცის შეტევებს, ნამდვილად ველარ გაუმკლავდნენ ბიერჰოფს და 73-ე წუთზე „უდინეზეს" თავდამსხმელმა თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1. ამ მომენტიდან გერმანელებმა მთლიანად ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და თუ ჩეხებმა დამატებით დროს მიაღწიეს, ეს მნიშვნელოვანწილად კოუბას დამსახურებაა. დამატებით დროში კი ნათელი გახდა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების მასიურ შეტევებს ჩეხები დიდხანს ველარ გაუძლებდნენ. და აი, 96-ე წუთზე, როგორც იქნა, ვნახეთ „უეცარი სიკვდილი" — ოქროს გოლი. ბიერჰოფის მოულოდნელი დარტყმა მეკარემ უხეიროდ მოიგერია და ბურთი ჩეხეთის ნაკრების კარში აღმოჩნდა — 2:1. თამაში შეწყდა. გერმანიის ნაკრები ევროპის სამგზის ჩემპიონი გახდა.

კახა ფარუაშვილი

თამარ დაბაძე

## ელ მაკფერსონი და რომან პოლანსკი

მოდელი და რეჟისორი მადრიდში, პარფიუმერიის სარეკლამო ფილმზე მუშაობისას შეხვდნენ ერთმანეთს. რომან პოლანსკი მოჯადოებული დარჩა 30 წლის ტოპმოდელის ხილვის შემდეგ. „მე მინდა ნამდვილი ფილმი შევქმნა ელის მონაწილეობით. მას საოცრად მომხიბვლელი აურა აქვსო“, — თქვა რეჟისორმა.



## კარენ მულდერი და ნაომი კემპბელი ერთობიან



მოდელი რკინისებური დისციპლინით უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ ხანდახან მათაც უმტყუნებთ ხოლმე ნებისყოფა: 26 წლის კარენ მულდერმა და 25 წლის ნაომი კემპბელმა პარიზში გამართული უამრავი შოუს და ღონისძიების შემდეგ სტრესის მოსახსნელად თავს დასვენების უფლება მისცეს და ბაზრობაზე გაიხეირნეს. აქ კი ტოპმოდელები პატარა გოგონებივით ერთობოდნენ: კარენ მულდერმა ბამბის ნაყინის უზარმაზარი ულუფა შეიძინა, ნაომი კემპბელმა კი, აქაოდა, ბავშვობას ვიხსენებო, პირველყოფილი სახიკვდილო იარაღი მოიმარჯვა.



## პრინც ჩარლზის ზაფხული



ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეობა იოლი საქმე არის. რაც არ უნდა ცხელოდეს, როცა ოფიციალური მოვალეობა გიხმობს, სოლიდურად უნდა გამოეწყო. სამწლიანი დახურვის შემდეგ ლონდონის ჰემპტონ-კოურ-პალასის ... რკი კვლავ გაიხსნა და ახლა იქ დროდადრო პრინც ჩარლზს კი შეიძლება გადააწყდეთ, მწვანეებთან ერთად ქალაქის ... ერთი შემოვლის დროს. დელეგაციის წევრებს „შიშველ... ჩაცმული წყვილი მოხვდა თვალში. წყვილი ბუჩქის ძირ... ნებივრად გაწოლილიყო და მზეს ეფიცხებოდა. ოფიციალურმა პირებმა თვალი აარიდეს ახალგაზრდებს. პრინცი ჩარლზ... კი გაფაციცებით მიშტერებოდა და აშკარად შენატროდა მა... მდგომარეობას. მისი ნება რომ ყოფილიყო, ისიც სიამოვნებით გაიშოტებოდა მათ გვერდით.


## შპს «ვესტ-ტური»

WEST TOUR

გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას ქ. ფრანკფურტში, ქ. ბერლინში, ქ. ამსტერდამში, დუბაიში, მანქანების ჩამოყვანით.

აგრეთვე, შოფ-ტურს ირანში, დასვენებას ბულგარეთსა და ესპანეთის ზღვისპირა კურორტებზე შეღავათიან ფასებში.

ფირმების ავია სალაროში შეგიძლიათ შეიძინოთ ინდივიდუალური და ჯგუფური ბილეთები შემდეგი მიმართულებით: თელ-ავივი, ვენა, პრაღა, პარიზი, ამსტერდამი, თეირანი, ათენი, მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, ვოლგოგრადი, ტაშკენტი.

მისამართი: ცენტრალური ოფისი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №6 (სასტუმრო „თბილისის“ ქვემოთ). ტელ: 99-05-38, ფაქსი: 99-83-20

ფილიალები: 1) გამსახურდიას გამზ. №4 ტელ: 36-25-60
2) ვაზხგის (ყოფილი პავლოვის ქუჩა) გამზ. №36 ტელ: 98-96-82
3) მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 68-58-70
4) ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №44 (ავტოსადგურთან) ტელ:7-61-35.
5) ალმაშენებლის №73. ტელ: 95-15-35
6) კოტეტიშვილის №1 ტელ: 93-58-04


## კროსვორდი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. მდინარე ეკვატორულ აფრიკაში; 7. ყვავილოვანი მცენარე; 8. ქვეყანა ევროპაში; 11. ვეტერანი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 12. მაჰმადიანთა სწავლული ღვთისმეტყველი და სამართლის მცოდნე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში; 13. ჰომეროსის პოემა; 14. დიდრონი ფრინველი სულხან-საბას მიხედვით; 16. ქარი, რომელიც დღე-ღამეში ორჯერ იცვლის მიმართულებას; 18. პერსონაჟი „ოტელოდან“; 19. სამხედრო-საზღვაო ალამი პირველი და მეორე რანგის გემებისთვის; 20. დაწესებულება, სადაც ძველი წერილობითი ძეგლები და საბუთები ინახება; 23. უძველესი დროიდან ცნობილი ბერძნული სიმებიანი საკრავი; 25. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 28. ლათინური ანბანის მეათე ასო; 29. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 31. ადამიანის ტანი თავისა და კიდურების გარეშე; 33. მინერალური, ტიტანის ორჟანგი; 35. გაერო-ს ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში; 36. ქალის გულამოჭრილი კაბა; 37. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. თავსართი, რომელიც ორგვლივობას აღნიშნავს; 2. სპორტული საჩხვლეტი იარაღი; 3. კვანძოვანი დამწერლობა კეჩუას ერთ-ერთი ინდიელთა ტომის ენაზე; 4. ხრიკი ანუ ...; 5. ჭკუაზედ დაყენებული სულხან საბას მიხედვით; 6. საპორტო ქალაქი გერმანიაში; 7. ერთგვარი სისტემის ძველებური თოფი; 9. ... ლურჯი საღებავი; 10. დათვის ნაშიერი; 15. დიონისეს დღესასწაული ძველ საბერძნეთსა და რომში; 16. ... ერთგვარი საღებავი; 17. ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი; 18. თვალის ფერადი გარსი; 21. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 22. მოქანდაკის, ფოტოგრაფის ან მხატვრის სახელოსნო; 24. სიტყვის ნაწილი, რომელსაც გრამატიკული მნიშვნელობა აქვს; 26. ჭრილობა ანუ...; 27. ფრანგული ანბანის ბოლოდან მეორე ასო; 30. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 31. მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ძველი ქალაქი; 32. ინდოეთის მდინარე; 34. უძველესი ქალაქი რუსეთში;

შეადგინა ᲠᲐᲢᲘ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ




## ავიაკომპანია „ორბი“

ORBI GEORGIAN AIRWAYS

ამა წლის 2 ივლისიდან შეასრულებს რეგულარულ რეისს მარშრუტით

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

გაფრენა თბილისიდან შედგება ყოველ სამშაბათს 22 საათზე. ჩამოფრენა თბილისში — ოთხშაბათს, 06 საათსა და 10 წუთზე. ფრენის ხანგრძლივობა 3 საათი.

ავიაკომპანია „ორბი“ უზბეკისტანის ავიაკომპანია „უზბეკისტან ხავა იულლარი“-სთან ერთად მგზავრებს სთავაზობს ტრანსფერულ გადაფრენას ტაშკენტიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში: ბანგკოკი, დელი, ყარაჩი, პეკინი, ბაჰრეინი, შარჯა, ჯაკარტა, სეული, კუალა, ლუმპური და სხვა. ტაშკენტიდან მგზავრებს ექნებათ შესაძლებლობა გადაფრინდნენ შუა აზიის ქალაქებში.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲝᲠᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲡ.



რედაქტორ-გამომცემლები
ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲙᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲚᲘᲐ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲠᲘᲒᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.